გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 9 დეკემბერი, 2005 წელი.
№285 (5318)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიტყვაა, ცვლილებით და ჭირებით ბუნების გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. | ფასი 50 თეთრი.

## აბანოში ვერ გამოჩნდა „წრიპა" შენი მოხერხება!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ გუშინ ჭრელ აბანოსთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს პატიმარი დავით ქურასბედიანი, ე.წ. კანონიერი ქურდი „წრიპა".**

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას დეპარტამენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, „წრიპა" სასჯელს იხდის ნარკოდანაშაულისთვის და მას მისჯილი აქვს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი უნდა ყოფილიყო გადაყვანილი პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, თუმცა, გუშინ ქურასბედიანი ჭრელ აბანოებთან აღმოჩნდა!

დაკავებულია აგრეთვე ბადრაგის რამდენიმე წევრი, რომელთაც უზრუნველყვეს ქურასბედიანის აბანოში გადაყვანა. აქვე იმყოფებოდა ქურასბედიანის ბიძა, რომელიც ასევე დაკავებულია. სწორედ მისი კუთვნილი „ნისანის" მარკის ჯიპით გადაიყვანეს ჭრელ აბანოებში „წრიპა".

როგორც დეპარტამენტის თანამშრომლები აცხადებენ, ბადრაგი აღნიშნული ქმედების სანაცვლოდ სოლიდურ ანაზღაურებას ელოდებოდა.

სპეცოპერაციის დროს ეჭვმიტანილებმა წინააღმდეგობა გაუწიეს სამართალდამცველებს.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი — მაკაროვის სისტემის პისტოლეტი.

„წრიპას" და მისი თანამზრახველების მოხერხება აბანოში ვერ გამოჩნდა!..

**საკუთარი ინფორმაცია.**


„წრიპა"

## დღეს „ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი 42 წლისა გახდებოდა...

## ქუთაისში ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლა იხსნება

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დღეს ქუთაისში გაემგზავრება.**

პარლამენტის თავმჯდომარე ქუთაისში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ადმინისტრაციული სკოლის „ჯიპას" გახსნას დაესწრება, რომელსაც ზურაბ ჟვანიას სახელი მიენიჭება.

სკოლის მესვეურებმა „ჯიპას" გახსნა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაბადების დღეს შეგნებულად დაამთხვიეს.



## ◉ ინფორმაცია

### ქართული დიპლომატიის წარმატება

**ლუბლიანაში** ეუთოს მინისტრთა საბჭოზე მიღებულ გადაწყვეტილებას პარლამენტში ქართული დიპლომატიის წარმატებად აფასებენ.

როგორც გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა განაცხადა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინტენსიური მუშაობით შედეგი მიღწეულია და ეუთოს მინისტრთა საბჭომ ის დოკუმენტი დაამტკიცა, რომელიც სამშვიდობო პროგრამის გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

ჯერ კიდევ ორი დღის წინ ეჭვი გვქონდა, რომ ეუთოს ყველა ქვეყანა ამ დოკუმენტს მხარს არ დაუჭერდა, თუმცა ჩვენ ეს შევძელით. დოკუმენტი აქცენტირებულია, რაც მეტად მნიშვნელოვანია, — განაცხადა გაბაშვილმა, რომელმაც საგარეო საქმეთა სამინისტროს, მთავრობას, პარლამენტის დეპუტატებს, ოპოზიციასა და უმრავლესობას მადლობა გადაუხადა.

ასეთივე შეფასება გააკეთა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემაც.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა იმედი გამოთქვა, რომ ეუთოს მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მაინც რუსეთი ოფიციალურად გამოხატავს საკუთარ პოზიციას სამშვიდობო გეგმასთან დაკავშირებით.

### პარლამენტი კონტროლის პალატის საქმიანობას შეისწავლის

**საქართველოს** პარლამენტი კონტროლის პალატის საქმიანობას შეისწავლის. ამ მიზნით პარლამენტში კონტროლის პალატის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნება, რომელიც მუშაობას სავარაუდოდ, იანვრიდან დაიწყებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განუცხადა, კომისიის შემადგენლობა, რომელიც ცხრა წევრისგან იქნება დაკომპლექტებული, ექვსი თვის განმავლობაში იმუშავებს და კონტროლის პალატის 2005 წლის საქმიანობას შეისწავლის.

საპარლამენტო ფრაქციებმა 12 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინონ კომისიის წევრების საკუთარი კანდიდატები, — განაცხადა კოვზანაძემ.

ვინაიდან კონტროლის პალატა პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული, საჭიროდ მივიჩნევთ, რომ მისი საქმიანობა ვიღაცამ შეისწავლოს, — დასძინა კოვზანაძემ.

კონტროლის პალატის საქმიანობას კომისია ყოველწლიურად შეამოწმებს.

### კომისიას საკუთარი ვებ-გვერდი ექნება

**ტერიტორიული** მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებით საპარლამენტო კომისიას საკუთარი ახალი ვებ-საიტი ექნება.

ეს განცხადება გუშინ კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ გაკეთა.

მისი თქმით, აღნიშნულ ვებ-საიტზე განთავსდება ყველა ინფორმაცია საქართველოში არსებული კონფლიქტების შესახებ. ასევე, გამოქვეყნდება ყველა ის განცხადება, რაც კონფლიქტებს და მის დარეგულირებას შეეხება.

მალაშხიას განცხადებით, ნებისმიერ მოქალაქეს უცხოეთში თუ საქართველოში საშუალება ექნება, აღნიშნული საიტის მიხედვით, უპრობლემოდ მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი ნემსაძე: კარგია, რომ გამორჩეულ ყურადღებას უთმობთ ეროვნულ ჩემპიონატებს



იხ. მე-8 გვ.

## რიყე დიდი არქიტექტურული დღესასწაულის ღირსია

**დაპირებისამებრ, არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ „განსასჯელად" წარმოგვიდგინა რიყის განვითარების კონცეფცია.**



იხ. მე-3 გვ.

## 10 წლის ბიჭი საფრანგეთში მუქთად წავა, თანაც მშობლებიანად



იხ. მე-7 გვ.

## ვინ გააკონტროლებს ციხეს?



იხ. მე-2 გვ.

## ◉ პანორამა



**კამიკაძე-ტერორისტმა** თავი აიფეთქა ბაღდადში, ხალხით სავსე ავტობუსში. 30 კაცი დაიღუპა, 18 — დაიჭრა. ავტობუსი მთლიანად განადგურდა. აფეთქების ადგილის მახლობლად მიმოფანტულია გვამები, რომელთა ამოცნობაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

* * *



**სირია** აწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკებას ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესის განახლების შესახებ. დამასკოს ამით სურს თავიდან აიცილოს გაეროს სანქციები რაფიკ ჰარირის მკვლელობაში ამ ქვეყნის სავარაუდო მონაწილეობის გამო. ეს ინფორმაცია გაავრცელა „გარდიანმა".

## შარშან ასე „ბაბილონის"...






იხ. მე-2 გვ.

## სიკვდილი – ქილაში

იხ. მე-6 გვ.

## საკირე, სადაც ცოდვები იხანძრება




იხ. მე-6 გვ.

## რად არ ეცინება გახუსს

იხ. მე-5 გვ.

ფინანსური პოლიციის სადაგი დღეები

◎ რა კანონი მოდის?

# ერთ-ერთი, იშვიათი შემთხვევებიდან



**მთავრობამ პარლამენტს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი წარუდგინა, რამაც განათლების კომიტეტის აღფრთოვანება ვერ გამოიწვია. ნოდარ გრიგალაშვილმა დაწუნებული მუხლების ალტერნატივა შეიმუშავა, მთავრობას შეუთანხმა და გუშინ პრეზენტაციაც გამართა.**

განათლების კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ადრინდელი კანონები არა მეცნიერის, არამედ მეცნიერთა ორგანიზებული სისტემებისთვის, ორგანიზატორებისთვის იწერებოდა. მის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის ამოსავალი წერტილი კი მეცნიერია.

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ავტონომიური იქნება. — ინსტიტუტების მართვა სახელმწიფოს საქმე არ არის, — აღნიშნა ნოდარ გრიგალაშვილმა. — ადრე დაწესებულებებს გარედან კარნახობდნენ როგორი უნდა ყოფილიყო მათი სტრუქტურა, უკომპლექტებდნენ კადრებს. ჩვენი კანონპროექტის თანახმად კი, სამეცნიერო საბჭო თავად გადაწყვეტს, თუ რა კვლევითი სტრუქტურები და როგორი კადრები სჭირდება.

„გარედან ნაკარნახევი“ არც ინსტიტუტის მეცნიერთა საბჭოს შემადგენლობა იქნება, მას მეცნიერთა კრება აირჩევს. სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს დირექტორის არჩევის უფლებაც ეძლევა, ძველი კანონებისგან განსხვავებით გრიგალაშვილის კანონპროექტი არ ცნობს სამეცნიერო საბჭოსგან წარდგენილი კანდიდატურის სხვა ორგანოების მიერ დამტკიცების ვალდებულებას. მაშინ, როცა საშუალო სკოლებს ენიჭებათ დირექტორის არჩევის უფლება, უნდა ვიფიქროთ, რომ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებშიც არიან გონიერი ადამიანები, რომლებიც შეძლებენ, გადაწყვიტონ, ვინ იყოს მათი დირექტორი, — იუმორი მოიშველია განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ.

კანონპროექტში გათვალისწინებულია საკითხი, რომლიც მეცნიერთა შეშფოთებას იწვევდა. მთავრობის მიერ შემოტანილი პროექტის თანახმად, სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა იმ დაწესებულების ლიკვიდაციის უფლება, რომელიც სამი წლის განმავლობაში ვერ მიიღებდა გრანტს. ახალი კანონპროექტი კი სახელმწიფოს ასეთ შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს, თუ სამი წლის განმავლობაში დაწესებულება გრანტის მოსაპოვებლად ნაშრომს არ წარადგენს (ე. ი. არაფერს აკეთებს).

კანონპროექტი გრანტის მიღებასთან ერთად ხელფასის შენარჩუნებასაც ითვალისწინებს. თანამდებობრივი სარგო მეცნიერს შეუნარჩუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი კვლევითი ინსტიტუტიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადავა და თავის ცოდნას სტუდენტებს გაუზიარებს. რაც შეეხება, ზოგადად, დაფინანსებას, ამისთვის რამდენიმე ფონდი შეიქმნება, რომელთაც მოხელეები ვერ განაგებენ. ფონდების მთავარი საბჭოების ორი მესამედი მეცნიერებით დაკომპლექტდება. ადგილებს თანაბრად გაიყოფენ მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მთავრობის მიერ წარდგენილი პირები.

კანონპროექტზე საუბრისას ხაზგასმით უნდა გამოიყოს მეცნიერთა შრომის ანაზღაურების საკითხი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მეცნიერების მოღვაწეებისთვის. მეცნიერის ხელფასი საჯარო მოსამსახურის მინიმალურ ხელფასზე (115 ლარზე) მეტი ხდება. ეს დიდი თანხა არ არის, მაგრამ, გრიგალაშვილის თქმით, მთავარია, რომ ამით ნაჩვენებია სახელმწიფოსთვის მეცნიერების პრიორიტეტულობა. ესეც არ იყოს, 48 ლარს 120 ლარი ნამდვილად სჯობს.

კანონპროექტი ოპოზიციამაც მოიწონა. მემარჯვენე მანანა ნაჭყებიას მთავრობის კანონპროექტი გადაუხაზავს, უმრავლესობის წევრ გუგული მაღრაძეს კი, საერთოდ, გადაუგდია. ლევან ბერძენიშვილმა წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავება მართალია პატარა, მაგრამ მაინც გმირობად ჩათვალა. მისი თქმით, განათლების კომიტეტის კანონპროექტი მთავრობის მიერ შემოტანილს არა თუ სჯობია, არამედ საერთოდ სხვა ენაზე ელაპარაკება მეცნიერებს. ბატონი ლევანის თქმით, ტონი ხელისუფლებას სწორედ მეცნიერებმა შეაცვლევინეს თავიანთი პროტესტით.

იყო შენიშვნებიც კანონპროექტის დასახვეწად, მაგრამ უფრო მეტი იყო მადლობა. შეიძლება ითქვას, რომ გუშინდელი პრეზენტაცია ერთ-ერთი იყო უმრავლესობისა და ოპოზიციის ერთსულოვნების იშვიათი შემთხვევებიდან.

**რუსუდან გახარია**

◎ „ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი!“

# ლაზერ-შოუ უკვე იყო, რა იქნება წლეულს?

**„ვარდების ხელისუფლებას“ მნიშვნელოვანი თუ ნაკლებადმნიშვნელოვანი დღესასწაულების პომპეზურად აღნიშვნა დასჩემდა და საამისოდ ერთობ დიდი რაოდენობის თანხების ხარჯვაც არაფრად უჩანს...**

გვახსოვს, წინა ახალწელს, თბილისის მაშინდელმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა, სადღესასწაულო საჩუქრად გრანდიოზული წარმოდგენა — ლაზერშოუ გვიფეშქაშა, რომლისთვისაც ყინულზე მოცეკვავე მსახიობები დიდი ბრიტანეთიდან მოიწვია და ამისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ლარი წარბშეუხრელად დახარჯა.

ჭიაბერაშვილის ამ „გმირობის“ შესახებ მითქმა-მოთქმა დღესაც არ შეწყვეტილა! მშიერ-მწყურვალი ხალხი თავში ხელებს ახლაც იცემს, ტლინკაობა ვის რად უნდოდა, ამდენი ფული თუ ჰქონდათ, საახალწლოდ ჩვენთვის დაერიგებინათ, ერთ ინდაურს მაინც ვიყიდდით.

იმის მტკიცებას, რომ ხალხი მართალია და არაფრისმომცემ სანახაობებში კოლოსალური თანხების გადაყრა — არასწორია, აქ აღარ მოვყვები. ისედაც ბევრი ითქმის და იწერება, თუმცა, ამაოდ, — შეაყარე კედელს ცერცვი.

როგორც გაირკვა, ქვეყნის ხელისუფლება და დედაქალაქის მთავრობა თბილისში სადღესასწაულო ზეიმის მოსაწყობად ამ საახალწლოდაც ბიუჯეტიდან საკმაოდ მსხვილ ასიგნაციებს გადმოალაგებს.



22-მეტრიან ნაძვის ხეს და უზარმაზარ თოვლის პაპას საზღვარგარეთიდან დღე-დღეზე ელოდებიან, განათებისთვის საჭირო აპარატურები და დეტალები უკვე მომარაგებულია, წერის პროცესშია ის სცენარიც, რომლის მიხედვითაც, ახალი წლის დღეებში საზეიმო ღონისძიებები გაიმართება.

ამ ღონისძიებათაგან თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გაამხილა: 31 დეკემბერს დედაქალაქში ღია ტიპის ავტობუსები ივლიან, რომელშიც საზეიმოდ გამოწყობილი მსახიობები ისხდებიან და ნაირგვარ წარმოდგენებს თბილისის ყველა უბანსა და დასახლებაში გამართავენ.

ნაძვის ხე პარლამენტის წინ დაიდგმება, ხოლო ყინულის თოვლის პაპა თბილისის ძველ უბანში — რიყეზე, მას ნახევარი თბილისი დაინახავს და იმდენად სითბოგამძლე იქნება, რომ გაზაფხულამდე წვეთი წყალი არ ჩამოვარდება.

თურმე ქვეყნის და დედაქალაქის უფროსობას ასე აქვს ნაბრძანები: ახალ წელს თბილისი ნიუ-იორკის დარად განათებულ-გაჩახჩახებული და მოზეიმე უნდა იყოსო.

თქვენ გაიხარეთ, კეთილო ბიძიებო, ასეთ სანახაობას რომ ჩუქნით ხალხს.

აბა, თქვენ იცით, ოღონდ სანახაობრივი მხარე მოაგვარეთ და მოსახლეობა დანარჩენს თავად მიხედავს.

28-ლარიანი პენსიით საახალწლოდ გოჭსაც იყიდის და ინდაურსაც, ხაჭაპურისთვის ყველსაც, თაფლს და ნიგოზს გოზინაყისთვისაც, ფოჩიან კანფეტებს ბავშვებისთვის და, მოკლედ, ისეთ ბარაქიან სანოვაგეს მოიმარაგებენ, სუფრა სიმძიმისგან ჩაეზნიქებათ.

მერე, ნასვამ-ნაჭამები და სიამემოგვრილები, ქუჩაშიც გამოვლენ და პომპეზურ სანახაობასაც შეავლებენ თვალს.

ამ დალოცვილიშვილებს, თბილისის ნიუ-იორკისებური გაჩახჩახება და მორთვა-მოკაზმვა რომ უბრძანებიათ, რატომ ის არა თქვეს, ახალ წელს, ნიუ-იორკივით თბილისშიც ხალხს საჭმელი, სასმელი, სითბო, სინათლე, სადღესასწაულო განწყობა და სტუმრის დახვედრის საშუალება ჰქონდესო?

მიწისძვრისგან დაზარალებულთა დახმარების საშუალება არ გვაქვს და ლაზერ-შოუებში და 22-მეტრიანი ნაძვის ხე-თოვლისკაცებში გადასაყრელი ფული საიდან?

მგლის თავზე სახარების კითხვას დროებით აქ დავასრულებ და უფრო მსუბუქ თემასაც შევეხები.

თბილისში, ახალი წლის მოახლოება, ჯერ მხოლოდ ჩინური პიროტექნიკის ბათქით თუ იგრძნობა, რომლებსაც წარამარა აფეთქებენ დედაქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულში ონავარი პატარები.

აი, სულ სხვაგვარი, 10-დღიანი საახალწლო ციებ-ცხელებაა ჩვენს ჩრდილოურ სამეზობლოში, რომლის დედაქალაქშიც სადღესასწაულო თადარიგის დაჭერა კარგა ხანია დაიწყეს.

მოსკოვში თოვლის პაპების ბუმია. სხვადასხვა ფირმები უკვე სთავაზობენ მოსახლეობას საკუთარ პროფესიონალ მსახიობებს, რომლებიც თოვლის ბაბუის ფორმებში გამოწყობილნი მოძრაობენ მოსკოვის ქუჩებში.

როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერს, თოვლის პაპებზე კოლოსალური მოთხოვნილებაა. ფირმების კლიენტებმა კარგად იციან, რომ თუ საახალწლო ბაბუას დროზე არ დაჯავშნავენ, კარგი მსახიობები შემდეგ ვეღარ შეხვდებათ.

დეკემბრის ბოლოსკენ მოსკოვში თოვლის პაპების მომსახურების საფასური ასტრონომიულად გაიზრდება, ჯერ კი ფასები არც ისე მაღალია.

მაგალითისთვის ვიტყვით: 31 დეკემბრის სადილობამდე თოვლის პაპა 50-100 დოლარი ეღირება, სადილის შემდეგ (10-დან 11-საათამდე) 150-200 დოლარი, შუაღამეს — 300 დოლარი და ზემოთ.

აი, ასეთი ამბავია მოსკოვში!

რატომაც არ იქნება. იქ ხალხს ბევრად მეტად ულხინს, ვიდრე ჩვენში. სხვა თუ არაფერი, მინიმალური პენსია სამჯერ ჩვენზე მეტია, სამამულო ომის ვეტერანების პენსია კი 300 ლარსაც აჭარბებს!

**ჯაბა ხუბუა**

◎ ენერგეტიკა

# ხუდონჰესის პროექტისთვის — სამი მილიონი დოლარი

**ხუდონჰესისთვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტის შედგენის მიზნით, ენერგეტიკის სამინისტრომ, მსოფლიო ბანკთან ერთად, საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განუცხადა, მსოფლიო ბანკისა და ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივით ხუდონჰესის მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია და ეკონომიკური დასაბუთება, სავარაუდოდ, 18 თვეში შეიქმნება, თუმცა მას შემდეგ, რაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება.

მსოფლიო ბანკმა პროექტის შედგენისთვის საქართველოს 3 მილიონი დოლარის გრანტი გამოუყო.

ტენდერი ერთ თვეში დასრულდება, შედეგები და შეფასებები კი ორ თვეში გახდება ცნობილი. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ 14-18 თვეში საქართველოს ხუდონჰესის მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი ექნება, — განაცხადა ხეთაგურმა.

ხუდონჰესის მშენებლობა XX საუკუნის 80-იან წლებში შეჩერდა.

ხუდონჰესის ამუშავების შემთხვევაში საქართველოს დამატებით 700 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგია შეიძლება ჰქონდეს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ერთი წავა და სხვა მოვა...

# ვინ გააკონტროლებს ციხეს?

**იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი კონტროლის საბჭო ერთი თვის წინათ გაუქმდა. საბჭოს წევრებსა და იუსტიციის მინისტრს შორის არსებული მწვავე დაპირისპირება ჩაცხრა. ამ ფონზე კოტე კემულარიამ 29 ნოემბრის ბრძანებით საბოლოოდ დაამტკიცა ახალი რგოლის — საზოგადოებრივი კონტროლის მუდმივმოქმედი კომისიის დებულება, რომლის ფარგლებში არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგს განახორციელებენ.**

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის შესაბამისად შემუშავებული დებულების თანახმად, დადგინდა ციხე-კოლონიებთან ადგილობრივი კომისიების შექმნისა და მუშაობის წესი, განისაზღვრა მათი უფლებამოსილება. კომისიის წარმომადგენლები მონიტორინგის განხორციელების პარალელურად, დაწესებულების ადმინისტრაციას დაეხმარებიან სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური საკითხის გადაწყვეტაში.

თითოეული კომისია არაუმცირეს ხუთი წევრისგან შედგება. წევრობის მსურველი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან კომისიისთვის კანდიდატები უკვე შეირჩა, ბათუმისა და ქუთაისის ადგილობრივ კომისიებში „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრებიც შევლენ. მომავალ კვირას იუსტიციის მინისტრი კომისიის წევრებს რაიონებში შეხვდება. კომისიებთან აქტიურად ითანამშრომლებენ სასულიერო პირებიც.

პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ ჟურნალისტებს კობა ღლონტი წარუდგინა, რომელიც მინისტრის გადაწყვეტილებით სასწავლო ცენტრის დირექტორად დაინიშნა.

საქართველოს პრეზიდენტის 8 ნოემბრის ბრძანებულებით, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი დაფუძნდა. ცენტრის მიზანია ამ სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება, მათთვის შემუშავდა სპეციალური პროგრამები.




ცენტრის ხელმძღვანელი, 1979 წელს დაბადებული კობა ღლონტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 2001 წელს მუშაობდა ფირმა „კრედოში“ ადვოკატად. აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ მრავალ პროექტში. 2004-2005 წლებში მუშაობდა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის სასწავლო პროგრამების შემმუშავებელ ჯგუფში. ბატონი კობა იმედოვნებს, რომ მისი თაოსნობით სასწავლო ცენტრი არაერთ საინტერესო პროგრამას განახორციელებს.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ამის შემდეგ, კიდევ მეგობარი გქვია?

**დიპლომატიური კონფლიქტების სერიის მიღმა შეუმჩნეველი დარჩა ის, რომ მოსკოვმა მხარი დაუჭირა სამხრეთ ოსეთის შესახებ საქართველოს გეგმას. სამშაბათს, ეუთოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მე-13 სამიტზე, ამ გეგმას მხარი დაუჭირა ყველა დელეგატმა, მათ შორის, სერგეი ლავროვმაც, რაც, ძალზე მოულოდნელი იყო. თბილისში უკვე ზეიმობენ დიპლომატიურ გამარჯვებას, სამხრეთ ოსეთის დელეგაციამ კი სასწრაფოდ მიაშურა მოსკოვს კონსულტაციებისთვის. ექსპერტთა აზრით, ამ გეგმის განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის გაქცევა სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილოეთში და კიდევ უფრო შეასუსტოს რუსეთის პოზიციები კავკასიაში, რუმინეთში ამერიკელთა სამხედრო ბაზების გახსნის შემდეგ კი, მთელს კასპია-შავიზღვისპირა რეგიონშიც.**

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ გეგმას რუსეთმა მხარი დაუჭირა საქართველოს დელეგაციასთან გამართული უშუალო მოლაპარაკების გზით. გადაუწყვეტი დარჩა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი საკითხი — კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანა. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ფაქტია, რომ მოსკოვმა, არსებითად, უარი თქვას ცხინვალის სრულფასოვან მხარდაჭერაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის შეხვედრა რუს კოლეგასთან დაგეგმილზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რაზე ისაუბრეს ორი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელებმა და რა არგუმენტები მოიყვანა ბეჟუაშვილმა. კომენტარის დროს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ლევ მირონოვმა მხოლოდ ასეთი რამ თქვა: რუსეთის მიერ კონფლიქტის მოწესრიგების გეგმის მხარდაჭერა გახდა პოზიციების დაახლოების შედეგი „— აქამდე ჩვენ სულ სხვა რამეს გვთავაზობდნენ“. მაგრამ თუ რა იგულისხმებოდა ამ „პოზიციათა დაახლოებაში“, ამის შესახებ მირონოვს არაფერი უთქვამს.


НЕЗАВИСИМАЯ
газета

Встреча министра иностранных дел Грузии Гелы Бежуашвили с российским коллегой продолжалась дольше запланированного. О чем беседовали руководители внешнеполитических ведомств двух стран, какие аргументы привел Бежуашвили – неизвестно.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების სამეტაპიანი სამშვიდობო გეგმა (ეგრეთ წოდებული სააკაშვილის გეგმა) ითვალისწინებს რეგიონის დემილიტარიზაციას, ევროკავშირის მიერ მისი ეკონომიკის დაფინანსებას, და, ბოლოს, სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას. სამხრეთ ოსეთის ავტონომია გააუქმეს 1990-იანი წლების დამდეგს, რასაც, მოჰყვა კიდეც საომარი დაპირისპირება. ახლა თბილისი ცხინვალს სთავაზობს ყველაზე ფართო ავტონომიურ უფლებებს ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში: ავტონომიის წარმომადგენლობა ხელისუფლების ცენტრალურ შტოებში, ავტონომიის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფო ენა (ოსური და ქართული), თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა და ა. შ. თუმცა, თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება აქამდე არ თანხმდებოდა თბილისის წინადადებებს და ნახევრადბლოკადურ რეჟიმში ცხოვრებას ამჯობინებდა.

ლუბლიანაში რუსეთმა უარი თქვა საქართველოდან თავისი ჯარების საბოლოო გაყვანის შესახებ პუნქტის დაფიქსირებაზე. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა თქვა, რომ არ არის საჭირო ვითარების დრამატიზება: „მთავარია, რომ ბაზების გატანის პროცესი შეუქცევად რეჟიმშია, რაც, კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა“.

პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტის სერგეი მარკედონოვის აზრით, ამ გეგმის მხარდაჭერაზე რუსეთის ფაქტობრივი თანხმობა დე-ფაქტო ნიშნავს, რომ მოსკოვმა ზურგი შეაქცია კოკოითის რეჟიმს. „რუსეთს კავკასიის მიმართულებით არანაირი სტრატეგია არ გააჩნია. სწორედ ეს იწვევს საქართველოსთან ურთიერთობაში ამდენ წარუმატებლობას. სააკაშვილის რეჟიმი კი გვიჩვენებს თავის თანამიმდევრულობას. ამ ბიჭებმა იციან, თუ რა სურთ. მათ გაიმარჯვეს ყველა კამპანიაში — აჭარით დაწყებული და ბაზების გატანასთან დაკავშირებული სიტუაციით დასრულებული“, — მიაჩნია ექსპერტს. ქართული გეგმის განხორციელება, მარკედონოვის თქმით, ნიშნავს იმას, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლდება ჩრდილოეთ ოსეთში და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, გამწვავდება ოსეთ-ინგუშეთის პრობლემა. „ჩრდილოეთ ოსეთში ეს ადამიანები ვერსად დასახლდებიან პრიგოროდნის რაიონის გარდა, სადაც უკვე მოხდა შეტაკებები“, — დაასკვნა მარკედონოვმა.

**იური სიმონიანი,**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“,**
**8 დეკემბერი.**

◎ ინფორმაცია

## ნინო ბურჯანაძე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

პარლამენტის თავმჯდომარესთან დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრას ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ და „ევრაზიის ფონდის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დონორ ორგანიზაციებს პარლამენტის მუშაობის ეფექტიანად განხორციელებისთვის ტექნიკური დახმარება სთხოვა.

პარლამენტის სპიკერის ინფორმაციით, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტს ორენოვანი ვებ-გვერდის დახვეწაშიც ეხმარებიან. მისივე თქმით, დაგეგმილია აგრეთვე საკანონმდებლო ორგანოს კვლევითი ცენტრისა და ბიბლიოთეკის შევსება თანამედროვე იურიდიული ლიტერატურით.

დონორ ორგანიზაციებსა და საქართველოს პარლამენტს შორის კოორდინაციას პარლამენტარი ნინო ნაკაშიძე ახორციელებს.

## ოსებს „შავი იუმორი“ ჰყვარებიათ

**საქართველოში** აშშ-ის საიდუმლო ციხეების არსებობის შესახებ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებას საქართველოს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია „შავი იუმორის ჟანრის“ ხუმრობას უწოდებს.

როგორც გუშინ კემულარიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ოსური მხარის ასეთი ცილისმწამებლური ინფორმაცია ზატულინის „ბუნაგში“ გაკეთდა, რაც ეუთოში საქართველოს დელეგაციის მიერ მიღწეული წარმატებების გამო რუსული მხარის გაღიზიანებით არის გამოწვეული.

დემოკრატიულმა ქვეყნებმა საქართველო ევროპის ნაწილად აღიარეს და საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივას მხარი დაუჭირეს. ამას საქართველოში და მთლიანად კავკასიის რეგიონში ეუთოს გააქტიურება მოჰყვება, რაც პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომასწავებელია. ოსური მხარის გუშინდელი განცხადება კი პოზიტიური პროცესების ხელის შეშლის მცდელობა იყო. ოსებისთვის, აფხაზებისთვის და ქართველებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა სასარგებლოა, მაგრამ დამღუპველია ზატულინისთვის, — განაცხადა კოტე კემულარიამ.

გუშინწინ მოსკოვში ოსი სეპარატისტების წარმომადგენლმა დიმიტრი მედოევმა განაცხადა, რომ აშშ-ს საქართველოს ტერიტორიაზე სპეციალური საიდუმლო ციხეები აქვს, სადაც ადამიანებს აწამებენ. მედოევმა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან საქართველოს ტერიტორიაზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხეების მოძიების პროცესის დაწყება მოითხოვა.

## თბილისს — 8, სვანეთს 2 მაჟორიტარი ეყოლება?

**მაჟორიტარული** მანდატების გადანაწილების წესთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტს“ მთავრობის მიერ მომზადებული პროექტის ალტერნატიული ვარიანტი გააჩნია.

„თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელთა აზრით, მაჟორიტარული მანდატების გადანაწილება რეგიონებს შორის პროპორციულობის პრინციპის მაქსიმალური დაცვით უნდა მოხდეს და იგი მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით განისაზღვროს.

გიორგი მელაძისა და აკაკი მინაშვილის მიერ გუშინ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საარჩევნო ოლქების დაყოფა ისტორიული საზღვრების მიხედვით უნდა მოხდეს და საშუალოდ 85 000 მოქალაქეზე ერთი მაჟორიტარული მანდატი განისაზღვროს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, არსებული 85 საარჩევნო ოლქი 14 საარჩევნო ოლქამდე მცირდება, ხოლო პარლამენტში 50 მაჟორიტარი დეპუტატი მოხვდება. მაჟორიტარული მანდატების მოსახლეობის რაოდენობის პრინციპის გადანაწილების შემთხვევაში თბილისს, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვან საარჩევნო ოლქს, 8 მაჟორიტარი, ხოლო მოსახლეობის ყველაზე ნაკლები რაოდენობით გამორჩეულ სვანეთს, პარლამეტში მხოლოდ ორი დეპუტატი ეყოლება.

## კოკოშინი რუსულად „უბერავს“



**რუსეთის** სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი კოკოშინს მიაჩნია, რომ საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების დაჩქარებული წესით გაყვანა საქართველოს მთავრობის „ისტორიული შეცდომაა“.

მისი თქმით, რუსული ბაზები „იქ მასტაბილიზებელ როლს ასრულებდნენ და ასრულებენ“. დეპუტატმა განსაკუთრებით აღნიშნა რუსი სამშვიდობოების როლი კონფლიქტის ზონაში.

ამასთან ერთად, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთი და საქართველო პრობლემურ საკითხებზე ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებას გამოძებნიან, რამაც ორი ქვეყნის ურთიერთობა უნდა გააუმჯობესოს.

**ინტერპრესნიუსი**

◉ დედაქალაქის ერთი პრობლემა ფართო პლანით







# რიყე დიდი არქიტექტურული დღესასწაულის ღირსია

**დაპირებისამებრ, არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ „განსასჯელად" წარმოგვიდგინა რიყის განვითარების კონცეფცია. თავდაპირველად ყურადღებით მოვუსმინოთ მას, მერე კი რამდენიმე კითხვითაც მივმართოთ...**







1. რიყის უბნის მიწის ქვედა სართული
2. საპროექტო წინადადების პირველი ვარიანტი
3. საპროექტო წინადადების მეორე ვარიანტი
4. საპროექტო წინადადების მესამე ვარიანტი

### რიყე და ურბანული გარემოს უნიკალურობა

რიყე და მისი აღქმის არეალი, არქიტექტურულ-სივრცული გარემო, ლანდშაფტისა და ურბანისტული კულტურის უნიკალური ნიმუშია. ის გარშემორტყმულია სამზერი იარუსებით და მოედნებით (ბარათაშვილის აღმართი, მეტეხის პლატო, სოლოლაკის ხეივანი, ნარიყალა, ფუნიკულიორის პლატო, მამადავითი და მისი ფერდობები). რიყე ბუნებრივი არენაა, თეატრალური სცენაა და დიდი არქიტექტურული სანახაობის, სპექტაკლის, დღესასწაულის მოლოდინშია. არქიტექტორის უპირველესი ამოცანაა სწორად ამოხსნას ადგილის გარემოს კოდი.

### მოსაზრება რიყის ფუნქციაზე

უნდა გამოირიცხოს მონოფუნქციურობა და სივრცისადმი კერძომესაკუთრული კონტროლი. დაუშვებელია ამ სივრცის ორგანიზაცია პრაგმატულობის, კომერციის პრიმატით. უნდა გამოინახოს პრაგმატულისა და სილამაზის ჰარმონიული სიმბიოზი. თავისი არსით პრაგმატულობა და სილამაზე, სარგებლიანობა და მშვენიერება არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. რიყე უნდა იყოს კომუნიკაბელური, დემოკრატიული, საერთო-საქალაქო სივრცე, ადგილი ყველასი და ყველასთვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა ასაკისა და ინტელექტის ადამიანთა სურვილები. არქიტექტურულმა ორგანიზმმა უნდა შეძლოს მრავალათასიანი, მასობრივი ღონისძიებების გამართვა. ამიტომაც არქიტექტურულ-სივრცული კომპოზიციის კონსტრუქციულ გააზრებაში უნდა ჩაიდოს გარდასახვის ფართო შესაძლებლობები.

### რიყის არქიტექტურული განვითარების კონცეფცია

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები (პრინციპი და არა პროექტები) გაგრძელება-განვითარებაა 1997 წლის კონკურსზე გამოტანილი კონცეფციისა. იდეის ამოსავალია სივრცის, არქიტექტურული სიტუაციის, კომპოზიციის, ატმოსფეროს, განწყობილების ცვალებადობა, მუდმივი განახლება დროში.

განახლება შესაძლებელია სრული, ასევე — ნაწილობრივი... არქიტექტურა განიხილება არა როგორც კონსტანტი, არამედ მუდმივად განახლებადი ბიოლოგიური პროცესი, — დაბადება, განვითარება, ცვალებადობა.

ეს პრინციპი, თავის მხრივ შესაბამის მხატვრულ-ესთეტიკურ ხედვას ითხოვს. მე განვიხილავ რიყეს, როგორც თეატრალურ სცენას, სადაც გარკვეული დროის ინტერვალით (ციკლით) დაიდგმება არქიტექტურული სპექტაკლები. ისევე, როგორც სპექტაკლის სცენოგრაფიას არ მოეთხოვება ანგარიში გაუწიოს თეატრალური დარბაზის არქიტექტურას, მის სტილს, ასევე რიყე — სცენას არ მოეთხოვება კონტექსტი გარემოსთან, ატმოსფეროსთან, განწყობილებასთან; ის დროებითი და წარმავალია.

მე ვიხრები რადიკალური კონტრასტისკენ ფორმით, ფერით, მასალით, მასშტაბით.

სასაუბრო ენაც განსხვავებულია: არქიტექტურული სტილი, კომპოზიცია, ღერძი, აქცენტი, თემა, რიტმი, ისტორიული კონტექსტი, დომინანტი, ქუჩა, მოედანი, პერსპექტივა და სხვა ტრადიციული მცნებები იცვლებიან: სივრცული ატმოსფეროთი, განწყობილებით, სანახაობით, სპექტაკლით, ცვალებადობით, რიტუალით, სცენოგრაფით, რეჟისურით, დროებითობით, პირობითობით, მონტაჟით, დემონტაჟით და სხვ. საპროექტო წინადადებას ბევრი აქვს საერთო საგამოფენო-საფესტივალო სივრცეებთან:

**ა) მიწისქვეშა სართული**

საპროექტო წინადადებაში ჩადებულია ორი დონის პრინციპი. პირველი დონე ანუ „მიწის ქვედა სართულის" საერთო ფართია 20-22 ათასი კვადრატული მეტრი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ამჟამად არსებული ობიექტების ჯამურ ფართს. აქ შეიძლება მოეწყოს მაღაზიები, კაფე-ბარები, მცირე თეატრალურ-სანახაობრივი დაწესებულებები, საგამოფენო სალონები, მოდების დემონსტრირება. სანაპიროს ქუჩის გასწვრივ მოწყობილია ავტოსადგომები 120 მანქანაზე. ქვედა სართულის კონსტრუქციული სქემა კარკასულია, რაც განსაზღვრავს სათავსოთა უპრობლემო გადაგეგმარების შესაძლებლობას. კარკასის „თავები" ისეა კონსტრუირებული, რომ შესაძლებელია მათი გამოყენება მიწისზედა მოცულობების დასამონტაჟებლად.

**ბ) მიწისზედა სივრცის ორგანიზაცია**

მიწისზედა „არქიტექტურა" ცვალებადია დროში, გარკვეული ციკლით. განახლების პერიოდულობას და ხასიათს განსაზღვრავს დრო, მოთხოვნა, ფინანსები. ციკლის დასრულების შემდეგ ხდება კომპოზიციის ელემენტების დემონტაჟი და გადატანა სხვა ადგილას. კონსტრუქციულ კვანძებში თავიდანვე ჩადებულია იოლი მონტაჟისა და დემონტაჟის შესაძლებობა. არქიტექტურული ფორმების შემომსაზღვრელად გამოყენებული იქნება სინთეტიკური ქსოვილი. საილუსტრაციოდ წარმოდგენილია [illegible] ლის ერთ-ერთი [illegible] დაწყვეტ[illegible] ცის ორ[illegible] ვარიანტ[illegible] რიანტე[illegible] ფარგლ[illegible] ფორმებ[illegible] მოსფერ[illegible] რიანტებ[illegible] ისინი ყ[illegible] და შეი[illegible] ველზე. [illegible] ტები გ[illegible] ზოლის [illegible] ბას, ორ[illegible] ბები გა[illegible] ტორნებ[illegible] ბით უკ[illegible] სახურა[illegible] ბულია.

არქიტ[illegible] მოცულ[illegible] განსაზღ[illegible] ანტები [illegible] ნილია [illegible] რაციოდ.

**ვახტანგ დავითაია,**
**არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.**
**რუსთაველის პრემიის ლაურეატი.**

***— ბატონო ვახტანგ, მაინც როგორ და დროის რა ინტერვალით მოხდება რიყის ზედა ნაწილის ანუ სცენის არქიტექტურულ-მხატვრული განახლება?***

— შესაძლოა, სამ-ხუთ წელიწადში, თუნდაც ათ წელიწადში მოხერხდეს ნაწილობრივი განახლება; ყველაფერს განსაზღვრავს დრო, მოთხოვნა, სახსრები. გამორიცხული არ არის „სცენა" გარკვეული დროით დაეთმოს დეკორატიულ კომპოზიციებს, სივრცულ ქანდაკებებს, დინამიურ პერფომანსებს და სხვ. მიწისზედა მოცულობები ლითონის ასაწყობი კონსტრუქციებით სრულდება, იოლია მათი როგორც მონტაჟი, ასევე დემონტაჟი და სხვაგან გადატანა ან ამ ელემენტებისგან ახალი მოცულობის აკრება. დროებითობა და აკრებადობა ჩემი იდეის განმსაზღვრელი ფაქტორია. „კედლის" მასალად გამოყენებულია სინთეტიკური ქსოვილი, დამუშავებული ფერადოვანი სუპერგრაფიკით.

***— როგორ იგუებს ტრადიციული არქიტექტურული გარემო ამ ნოვაციას?***

— კონსტრასტული ფორმები და ფერები არსებულ არქიტექტურულ ანტურაჟსაც ახლებურად წარმოაჩენს. ამ იდეის განხორციელებით შეიძლება საფუძველი დაედოს დიდ საერთაშორისო არქიტექტურულ ტრადიციას. ქრისტომ და ჟან კლაუდიმ ევროპის უდიდესი არქიტექტურული ძეგლები დროებით შემოსა (შეფუთა) სინთეტიკური ქსოვილით, რაც მნიშვნელოვან არქიტექტურულ წარმოდგენად იქნა აღქმული, ფინანსური მოგებაც დიდი იყო. რატომ არ შეიძლება რიყეც იქცეს არქიტექტურული სპექტაკლის არენად? მე ამას ოპტიმისტურად ვუყურებ.

***— როგორ მიიღებს ამ არქიტექტურულ ნოვაციას ქართული ცნობიერება, დიდი ტრადიციის და ხუროთმოძღვრული, მონუმენტური ისტორიის ერები ხომ აღქმის თვალსაზრისით კონსერვატორები არიან?***

— ამის თაობაზე საკუთარი თვალთახედვა ჩემმა მეგობარმა შოთა ბოსტანაშვილმა ასე ჩამოაყალიბა: „ვახტანგ დავითაია სხვა „ცნობიერებას" გვთავაზობს. მას უსიტყვოდ გაუგებენ და იდეას აიტაცებენ ჩეხები, პოლონელები, ფრანგები, ბალტიისპირელები, სხვანი და სხვანი. ჩვენ კი ჯერჯერობით „ჩვენა" ვართ, რიყესთან მიმართებაში ჩვენი სოფლური ნოსტალგიებით, „ტაშფანდურებით" და გასტრონომიული მიდრეკილებებით. ამიტომაც არის, რომ შერეკილები ეკრანზე მოგვწონს და არა ცხოვრებაში".

მე მაინც მგონია, აქ მენტალიტეტის, ცნობიერების პრობლემა არ იქნება. ქართველები სიახლეს უკომპლექსოდ ვღებულობთ.

***— რას სთავაზობთ რიყის დღევანდელ ბინადართ?***

— რიყეზე არსებული შენობა-ნაგებობები დარჩებიან თავის ადგილზე, სანამ ეს მათ ინტერესებში იქნება. ვინც მოისურვებს, შეიძლება გადაინაცვლოს ე. წ. „მიწამიყრილ" ფართებში, ან მტკვარზე „გადმოკიდებულ" მოცულობებში.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო „პარტისიპაციის" მაღალი შესაძლებლობა. რიყე არ იქნება მხოლოდ არქიტექტორების საუფლო, მათი მონოპოლია, არამედ ეს იქნება ყველა დარგის ხელოვანთა შემოქმედებითი თანამშრომლობის არენა. ამ იდეის განხორციელებას უსათუოდ ექნება ფართო რეზონანსი და კარგი შესაძლებლობა, ქართული ხელოვნების კიდევ ერთი დარგის — არქიტექტურის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის.

***— ვნახოთ. წინადადება ერთობ ორიგინალური და შთამბეჭდავია. თუ თქვენს ნააზრევს ჩეხები, პოლონელები, ფრანგები, ბალტიისპირელები და სხვანი სიხარულით აიტაცებენ, ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრება? იქნებ, ახლა მაინც გავცდეთ გასტრონომიულ მიდრეკილებებს და რიყე არქიტექტურულ დღესასწაულად ვაქციოთ.***

მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ საინტერესო წინადადებათა ავტორები არიან ვახტანგ და მაია დავითაიები.

**სპარტაკ ქოზულია**

◉ ინფორმაცია

## რობერტ სტურუა გამოკეთდა



გამოჩენილი ქართველი რეჟისორის რობერტ სტურუას ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორმა გია თევზაძემ განუცხადა.

რეჟისორი გუშინ გულიკო ჩაფიძის კარდიოლოგიურ კლინიკაში გადმოიყვანეს.

რობერტ სტურუა ინფარქტის ნიშნებით გუშინწინ ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს კარდიო-რეანიმაციურ განყოფილებაში მოათავსეს.

ამის მიზეზი, ბათუმის დრამატული თეატრის წარმომადგენელთა განცხადებით, აჭარის უმაღლეს საბჭოში გამართული შეხვედრა გახდა, რომლის დროსაც გაირკვა, რომ აჭარის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად შემცირდება კულტურის სფეროს და კონკრეტულად, თეატრის დაფინანსება.

## სპეცფორმების და განათების პრეზენტაცია

საქართველოს შს სამინისტროს ფოიეში დადგმული მანეკენები შემოსილია ამ უწყების სხვადასხვა დანაყოფის ფორმებით.

წარმოდგენილია შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, კრიმინალური პოლიციის, საგანგებო დავალებათა და სამოქალაქო უსაფრთხოების ქვედანაყოფის, სწრაფი რეაგირების სამმართველოს თანამშრომლების და სხვა ქვედანაყოფის ფორმები.

გუშინ ღამით, შს სამინისტროში სპეცფორმების გამოფენისა და შენობის განათების სისტემის პრეზენტაცია გაიმართა.

## სააფთიაქო ქსელიდან მონოპრილი ამოიღეს

საქართველოს სააფთიაქო ქსელიდან პრეპარატი მონოპრილი (ანტიჰიპერტენზიული საშუალება) ამოიღეს. აღნიშნული პრეპარატის ამოღება პარტიის ბლისტერებში ერთდროულად 10 მგ-იანი და 20 მგ-იანი დოზის ტაბლეტების არსებობამ გამოიწვია.

როგორც წამლის სააგენტოში განაცხადეს, დაშვებული ხარვეზის გამო წამლის მწარმოებელმა იტალიურმა კომპანიამ გვაცნობა.

სააგენტო მოუწოდებს ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებს, ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია სააგენტოს აცნობონ.

## მერაბ ბოცვაძეს რომან მელია უტევს

ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი რომან მელია საპარლამენტო უმრავლესობის წევრ მერაბ ბოცვაძეს უცხოური ფირმების ლობირებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ იგი თევზჭერის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით გამოცხადებულ აუქციონზე უცხოურ ფირმებს შუამავლობს.

როგორც გუშინ მელიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, აუქციონში მონაწილეობენ ის შუამავალი ფირმები, რომელთაც არც გემები აქვთ და არც თევზის გადამმუშავებელი საწარმოები. თუმცა, მათ არაოფიციალური გარიგებები აქვთ გაფორმებული უცხოელ გემთმფლობელებთან.

„აუქციონის შედეგების შედეგად გაძვალტყავებული ქართველი მებადურები ხახამშრალები დარჩნენ. თუ ადრე კორუფციული გარიგებები არაოფიციალურად ხდებოდა, დღეს კანონის ფარგლებში ჩასვეს. ამ პროცესში მერაბ ბოცვაძეა ჩართული", — განაცხადა მელიამ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა რომან მელიას გამოსვლა შეაწყვეტინა და განაცხადა, რომ იგი ბოცვაძის სახელს პირადი ანგარიშსწორებისათვის იყენებს და სხდომის ჩაშლა სურს. „ამოვიდა ყელში. თქვენ სხდომის არევა გინდათ, რასაც არ დავუშვებ", — განაცხადა მაჭავარიანმა.

## დირექტორის მხარდასაჭერი აქცია

126-ე საშუალო სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა გუშინ სკოლის ყოფილი დირექტორის მხარდამჭერი საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სკოლის პროფკავშირების ხელმძღვანელმა ირინა გაბიძაშვილმა განუცხადა, ისინი განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ლომაიას 4 ნოემბრის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რადგან თვლიან, რომ მინისტრმა მაია ბლიაძე თანამდებობიდან არასამართლიანად გადააყენა (სკოლაში კომპიუტერები მოიპარეს!)

მისი თქმით, გუშინ სკოლის ყოფილი დირექტორი დაიბარეს განათლების სამინისტროში და მინისტრის სამდივნოში გადასცეს განთავისუფლების ბრძანება.

„ჩვენ აქციებს გავაგრძელებთ, რადგან მინისტრის აღნიშნული ბრძანება უკანონოა. სკოლაში მოსულმა მინისტრმა არც კი ისურვა ჩვენთან გასაუბრება. აღშფოთებულები ვართ ლომაიას ასეთი მოქმედებით. მოვითხოვთ მასთან შეხვედრას, რათა განვუმარტოთ ჩვენი პოზიცია", — აღნიშნა მან.

## „მოძრაობა თეატრისკენ!"



კახა ბაკურაძის „მოძრაობის თეატრმა" გუშინ რუსთაველის გამზირზე, პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ, თეატრალური ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, აქცია „მოძრაობის თეატრი — მოძრაობა თეატრისკენ" გამართა.

რუსთაველის გამზირზე „მოძრაობის თეატრის" მიერ მომზადებულ წარმოდგენაში კულტურის ინსტიტუტის მსახიობებიც მონაწილეობდნენ, ოჩოფეხებზე ამხედრებულმა მსახიობებმა დაარიგეს მოსაწვევები, რომლის მფლობელებსაც თეატრ „გლობუსში" მოძრაობის თეატრის სპექტაკლზე — „ლაბირინთი" 30-პროცენტიანი [illegible]

რუსთაველის [illegible] ვისუფ[illegible] ბა ც[illegible] ბის [illegible]

**ინტერპრესნიუსი**

◉ მომხმარებელს აბუჩად იგდებენ

# პრიალა ქაღალდში გახვეული ტყუილი

**„შოკური თერაპია", როგორც ეკონომიკური გარდაქმნის მოდელი, სახელმწიფოს მიერ ფასების ერთბაშად განთავისუფლებას გულისხმობდა. მიაჩნდათ, რომ ამით ქვეყანაში ფასების სტაბილიზაცია მოხდებოდა (ისევე, როგორც ეს მოხდა პოლონეთში, ბალცეროვიჩის რეფორმის შედეგად), მაგრამ არა, ფასები პროდუქტებზე დღითი დღე მატულობს და ვინ იცის, მომავალ წელს რა ნიშნულს მიაღწევს.**

**თუ ასე გაგრძელდა, არსებობისთვის საკმარის ხარჯებს ველარ გამოვყოფთ ჩვენი ორგანიზმისთვის.**

საქმეს ისიც ართულებს, რომ შემოსავალ-გასავლის განაწილება მთელ საზოგადოებაში ერთნაირი არ არის. ამასთან, შემოსავლების განაწილება რამდენადმე უფრო უთანაბროა, ვიდრე ხარჯების. 2004 წელს ჯინის ინდექსი ერთ შინამეურნეობაზე შემოსავლებისთვის 0,464 იყო, ხარჯებისათვის კი — 0,409.

დღესდღეობით შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების უთანაბრობა ქალაქად უფრო მაღალია სოფელთან შედარებით.

თურმე შემოსავლების მიხედვით განაწილებიდან ყველაზე მაღალი უთანაბრობით აჭარისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები გამოირჩევა. მათ ოდნავ ჩამორჩება თბილისი, საექსპერტო მონაცემებით საკვები ენერგიის მოხმარებამ ერთ სულზე საშუალოდ დღეში 2461 კილოკალორია შეადგინა, რაც არსებითად აღემატება მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის კრიტერიუმებით განსაზღვრულ რისკის ზღვარს — 2100 კილოკალორიას.

მოსახლეობას კვლავ დიეტაზე ყოფნა მოუწევს, რადგან მათი საკვები უმეტესწილად ნახშირწყლოვანია და მასში ყველაზე მაღალი პურპროდუქტების ხვედრითი წილია — თითქმის 50 პროცენტი.

პურპროდუქტების ხვედრითი წილი კარგი ინდიკატორია ქვეყანაში არსებული საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 1993-94 წლებში იყო, როდესაც პურპროდუქტების წილი მოხმარებულ საკვებ ენერგიაში კატასტროფულად მაღალი — 70 პროცენტი იყო. თუმცა ათი წლის შემდეგ ამ მაჩვენებლის 50 პროცენტამდე შემცირება დიდ მიღწევად არ ჩაითვლება.

ჩვენმა ეკონომისტებმა თავის დროზე კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს ეკონომიკა 90 პროცენტით რუსეთისაზე იყო მიბმული როგორც რესურსებით, ისე სარეალიზაციო ბაზრებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი ეკონომიკის გასაღები მოსკოვის ხელში იყო, მაგრამ როგორც ირკვევა, „შოკური თერაპიის" დაწყებისას რუსეთის ამგვარი დამოკიდებულება — ომები, ეკონომიკური ბლოკადა — არ იყო გათვალისწინებული.

თუმცა, სამწუხაროდ, არც ქართველები აკლებენ ხელს ეროვნული ეკონომიკის ჩაწიხლვას და სიღარიბის დონის გაუარესებას.

აბა, რა უნდა დავარქვა ლამაზ ცელოფანში შეფუთულ პროდუქტს, რომელსაც ცეცხლის ფასი ადევს და ამას შორიდან შევყურებთ?

ლამაზად შეფუთვა, მოგეცათ ლხენა, კარგია, მაგრამ მასზე გამოსახული წონა მაინც ხომ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს?

ამას წინათ ერთ უბრალო ჯიხურში, გამყიდველს ვთხოვე ერთი შეკვრა ბრინჯი და წიწიბურა მოეცა. მთელი დღის შრომით დაღლილმა არც წონა შევამოწმე და არც ფასი.

სახლში მისულმა კი, როცა ჩანთა გავხსენი და „ნავაჭრი" ამოვალაგე, წიწიბურაც და ბრინჯიც ძალიან მემსუბუქა. ავწონე, თითო შეკვრა 750 გრამის ნაცვლად 500 გრამი იყო. ავღშფოთდი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. შეკვრას „სიუხვე" ეწერა.

— ყოჩაღ, კარგად გივაჭრია, — დამცინეს სახლში, — თუ ასე ანიავებ ლარებს, გამდიდრებულხარ და ეგ არისო.

მოდი და, ენდე „სიუხვეს", რომელსაც პრიალა ქაღალდში გახვეული სიყალბე და ტყუილი აურჩევია თავისი საქმიანობის მთავარ მეგზურად.

როცა კონტროლი მოშლილია, უარესსაც უნდა ველოდეთ.

**ლალი ქინქლაძე**

◉ გვწერენ

# იქნებ, გამოვეხმაუროთ?

**აგერ, უკვე რამდენი წელია, ხელფასი არ ვიცი, რა არის. საპატენტო დონეზე დამზადებული მაქვს კონკურენტუნარიანი ფართო მოხმარების საგნების ნიმუშები. საწარმოში, სადაც ვმუშაობ, დახმარების მაგივრად ხელს მიშლიან. მეუბნებიან, დამფინანსებელი უნდა ნახოო. დრო მიდის, საწარმოები კი ინვესტორის მოლოდინში ნადგურდება.**

ფუჭსიტყვაობა რომ არ გამომივიდეს, აქვე დავასახელებ ჩემს მიერ დამზადებულ ზოგიერთ ხელსაწყოს, რომელთა მასობრივი წარმოება ხელსაყრელია როგორც ქარხნის, ისე სახელმწიფოსთვისაც.

მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე გაზქურა, რომლითაც ოთახის გათბობაც შეიძლება. მაქსიმალურად უსაფრთხოა; მტვრისგან ჰაერის გამწმენდი ელექტრო ვენტილიატორი; ელექტრო წყალგამაცხელებელი (ტანსაბანი, პირსაბანი); მინის ჭურჭელში ჩასადგმელი ელექტრო წყალგამაცხელებელი; მნათი ნავთქურა (შეიძლება ოთახის განათება, გათბობა); წყლის გამოსახდელი (ელექტრო); ინვალიდის გადასაყვანი ურიკა.

დამზადებული მაქვს, აგრეთვე, მარტივი მოწყობილობის ნახაზი, რომლის განხორციელება საშუალებას იძლევა, რომ ტრანსპორტმა თვითონ გაადნოს მოყინული გზა.

განა ეს ეკონომია არ არის?

მე მხოლოდ საარსებო მინიმუმსა და მუშაობის საშუალებას მოვითხოვ, მაგრამ არვინ მისმენს. ასე გვინდა ეკონომიკის გაჯანსაღება?

არა მგონია, სახელმწიფო მხოლოდ „კოკა-კოლასა" და ლუდის წარმოებამ ააშენოს.

**ოთარ მაისურაძე,**
**სს „ორიონის"**
**ინჟინერ-გამმართველი.**

# ენა თავად უნდა დაგეუფლოს და შენს სუნთქვად იქცეს

ესაუბრება ხათუნა მუზაშვილი



**დაიბადა** 1976 წლის 21 სექტემბერს თბილისში. პროფესიით მხატვარია. 2002 წლიდან არის მწერალთა დარბაზის წევრი, ამჟამად მწერალთა კავშირის წევრ-კორესპონდენტია. წერს ლექსებს, აქვს თარგმანები. ნაწარმოებებს პერიოდულად აქვეყნებს „ცისკარში", „მწერლის გაზეთში", „მწერლურ ცხოვრებაში".

ცხოვრობს მამისეულ სახლში მშობლებთან და დასთან ერთად. ჰყავს 12 წლის ვაჟი.

*1. რას ფიქრობთ 21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?*

*2. გამართლებულია წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?*

*3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?*

*4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?*

*5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?*

*6. რაზე მუშაობთ ამჟამად?*

● **ჩემთვის** ყოველთვის საინტერესო და მისაღებია ყველაფერი ახალი, მით უმეტეს, თუ იგი საუკუნეების მანძილზე ნაგროვები ცოდნისა და გამოცდილების ბაზაზე შეიქმნა.

„ყველაფერი უკვე ითქვა, ყველაფერი უკვე დაიწერა", — ვფიქრობ, რომ ეს სიტყვები იმ ადამიანთა დევიზია, ვინც ახალს ვერაფერს ჰქმნის და სხვის შექმნილსაც ვერ ამჩნევს.

● **გამართლებულია** იმდენად, რამდენადაც იდეალურ შემთხვევაში, მწერალს არ უნდა დასჭირდეს რაიმე ბიზნესზე და კომერციაზე ფიქრი, რათა შემდეგ მშვიდად ფიქრისა და წერის საშუალება მიეცეს.

მართალია, რეკლამირებული წიგნები უფრო იყიდება, მაგრამ მკითხველი ცოტა ჰყავს. დღეს წიგნებს კითხულობს საზოგადოების იმდენივე პროცენტი, რამდენიც უწინ კითხულობდა. ხოლო „სახელგავარდნილი" წიგნების შეძენა და თაროებზე შემოდება გუშინ და დღეს არ ქცეულა მოდად. „სახელგავარდნილად" კი, სამწუხაროდ, იმ წიგნებს მიიჩნევენ, რომელთაც კარგი რეკლამა უკეთდებათ.

● **შური**, ბოლმა, გაუტანლობა... მაგრამ ეს არა მარტო ჩვენი სატკივარია. „ბოროტისაგან კეთილის შურით ვერ განურჩევლობა" შეიძლება კაცობრიობის პრობლემად ჩაითვალოს.

● **კლასიკურმა** ქართულმა მწერლობამ ყველაფერი მომცა, რისი აღქმა-ათვისებაც შევძელი. იგი სათანადოდ შეფასებულია კიდეც. სხვა საკითხია, რამდენად არის დაფასებული.

ჩემი სამაგიდო წიგნები იცვლება წელიწადის დროების, ამინდის და განწყობის მიხედვით, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიასთან გრძნობების განსაკუთრებული სინაზე მაკავშირებს.

● **მწერლის** თვალით თუ შევხედავთ ქართულ ენას, როგორც მასალას, რომლისგანაც უნდა შევქმნათ... სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის საუკეთესო მასალა, უმაღლესი ხარისხის, მოქნილი და არაჩვეულებრივად ძერწვადი, სამყაროში არსებულ ფერთა ყველა გრადაციით მბრწყინავი და მდიდარი.

მთავარია ენას იმ დონეზე ფლობდე, რომ მას მისცე საშუალება, თავად დაგეუფლოს და შენს ოხვრად იქცეს, სუნთქვასავით, თავისთავად.

● **მალე** გამოვა ჩემი პირველი ლექსებისა და თარგმანების კრებული „გაქცევა — ანუ ეროსის ნათლულს სადედოფლო მომართვით ცხენი". წიგნში წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ქართველი პოეტის რუსულენოვანი თარგმანი. თარგმანზე მუშაობას განვაგრძობ და ვამზადებ ქართული პოეზიის კორიფეების რუსულენოვან კრებულს. ასევე, პარალელურად ვთარგმნი ოტია იოსელიანისა და ტერენტი გრანელის შემოქმედებას.

**ჩაიწერა**
**თამარ შაიშმელაშვილმა.**

## ხათუნა მუზაშვილი

# „ლექსთა კონა"

* * *

მოულოდნელ ალერსის სევდიანი ნამსხვრევი
გამჭვირვალე ქალაქში აირეკლეს თვალებმა,
სიყვარულის მაგვარი რაღაც სევდანარევი
ჩამორეცხეს ცრემლებმა წვიმის წვეთით
მთვრალებმა...

ღამეს ალბათ რაღაცა უჩვეულო ეწადა,
თითქოს სულაც არ ითქვა და ბროლივით მსხვრევადი
მთვარესავით გაფითრდა როცა ღიმილს ეცადა
განცდა ტკივილნარევი საყვედურით ყელამდი.

ახლა მიჭირს აჰრილის გამომწვევი სურნელი,
გულისცემაც ლურჯია, როგორც წვიმის წუურვილი
მოაქვს ყოველ გაზაფხულს რაღაც განუკურნელი —
აჰრილამდე აჰრილის სიახლოვის სურვილი.

* * *

სული სავსეა სისხლისფერ ღვინით
და შეცოდების რეკენ ზარები,
ნასუფრალ ჭიქას აკოცებ ჟინით
და გაუღიმებ ბედს ნამთვრალევი.

გადაიფარებ ღამის სუდარას,
სიზმრებში ეძებ დაკარგულ სითბოს,
ყურს წაუყრუებ სულის მუდარას,
სხეულთან ერთად ყოფნას რომ ითხოვს.

თითქოს დამშრალა ცრემლების ვერცხლი,
აღარც სიგიჟის მოვლენ ქარები
და იმუქრება ცდუნების ცეცხლით
ათასი ჭინკით სავსე თვალები.

## აგონია

**გ. ტაბიძის ხსოვნას**

ჰაერს ჩამოემსხვრა ზეცა მიწიერი,
ბილწი შეცოდებით დაშრა ოაზისი,
მცნებამ შეუმოკლა თვალებს საწიერი,
შიშით აღესრულა გრძნობას ჰარაკლისი.

ქარი მარტოხელა ქვრივ მზეს მიეხალა,
ბოღმით აიმრიზა სიტყვა ავხორცული...
ფიქრ-სულ-ხორც გმობილი ხვედრით მიემალა
ნათელს, სიმახინჯე ეშმასგან ორსული.

სამოთხის კარიბჭეს — ყიჟინა ყვავების,
უმწეო მკლავების სიმკრთალის სინათლე...
ყრუ ხმები ბორკილთა კაუჭთა კავების,
წყვდიადით ვერ ჩანაქოლარი სიმართლე...

ბერდება. კივილი უხმო და ყინული.
ვედრება. სურნელი სისხლის და მირონის
და უცოდვილესი სამყაროც ჩერდება...
ვერ დგება ქალაქში მზე გალაკტიონის.

* * *

შენი მზის აღლუმი მთავრდება,
უკვე დათვლილია წამები...
წარსული ჯოჯოხეთს ბარდება
განაწამები.
მტვრიანი დღეების მწკრივები
გუშინდელ ლანდებად ჩნდებიან.
თვალებში სინათლის სხივები
ქრებიან.
ბაგეს აღარავინ აკვდება,
ღამე გაჟღენთილა სიზმრებით,
ხვალე გაზაფხულიც მთავრდება,
ვცილდებით.

* * *

ნაალუბლარი ტუჩების ეშხით,
ნაგიშრალ თვალებს ნაცრავს იარა.
უსაამოეს სურვილთა ცეცხლით
სუნთქვამ ზედ სულზე გადაიარა.

ყოველი სიტყვა დამდგარი ყელზე,
უთამამესი მზერის ბრალია...
ბაგის შეხება დადნება ხელზე,
რომელიც თოვლზე უფრო მკრთალია.

წელზე მარტყია მკათათვის ღამე
— უნატიფესი კაბის სარტყელი...
ჩქარა და კიდევ მითხარი რამე,
თორემ განათდა დილით სარკმელი.

* * *

უდარდელობის ჩუმი დაისი:
— მშვიდი ოცნების ღრმა იდილია...
შენ არ გაწუხებს ჩქეფით მაისი
და შენი გრძნობაც თოვლმისჯილია.

შენ არც სიზმრებით გელის ბოდვები,
არც უნებლიედ შემლა სახელის...
თითქმის არასდროს გტანჯავს ცოდვები,
კოცნაც კი შეგწევს თვალებგახელილს.

არც მონატრება გიჭერს მარწუხებს,
ვერც ნოსტალგია გიცრემლებს თვალებს.
ცალ თითზე თვლადი რამე გაწუხებს:
„რატომ უყვარხარ ესოდენ ქალებს"?

ვერც მადლი სქელი სისხლისფერ ღვინის
და ვერც თამბაქოს მოლურჯო კვამლი,
არც ღამის ცეცხლი, არც სხივი დილის,
არ არის რასაც ვერ გაუმკლავდი.

* * *

ისევ ვედები ღობეს და ყორეს,
მახსოვს გუშინწინ ფერიას ვგავდი
და უცნაური მეჯლისის ალში
სიზმრები ახდა.

სულში ნაბუდებ ღალატის ტბორებს
სულის გამქირდავ ცოდვების ქარში,
ცრემლის ბზარებით დამსხვრეულ ხმაში
განწყობაც წახდა.

და თუ წარსული დღეების დარდი
დაუნდობელი გათელავს იებს,
შევათევ დამზრალ ოცნებებს მთიებს,
აღარ ვტირივარ.

სფინქსად ქცეულა სურვილის არსი,
ლოლუებისგან ავაცვამ მძივებს,
ამაზე მეტად ვერ გამაცივებს...
აღკვეცილი ვარ.

⊙ **დრო, რომელშიც ველარ ვიცხოვრებთ**

# უმამოდ გაზრდილ თაობათა მემატიანე

**ნუგზარ წერეთლის ახალი რომანის გამო**

**არაერთხელ მომიხდა, აზრი გამომეთქვა ჩემი სიყრმის მეგობრის ნუგზარ წერეთლის ნაწერებზე და საამისოდ ბიძგს ბევრი რამ მაძლევდა. თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ოჯახების ბედი გასაოცრად მსგავსია და ერთნაირ დუხჭირ პირობებში გავატარეთ ბავშვობა, სიყმაწვილე. გარდა ამისა, იგი მუდამ იმ სატკივარს ეხება, რაც თავად მაღელვებს და რის ასახვასაც მე ჩემებურად ვცდილობ.**

სასიამოვნოა, რომ სამოცდაათ წელს მიტანებული ნუგზარ წერეთელი ასეთ დაუცხრომელ ნაყოფიერებას იჩენს. წლეულს მან გამოსცა დიდძალ დოკუმენტურ მასალაზე, ფაქტებზე დამყარებული, ავტობიოგრაფიული პასაჟებით უხვად გაჯერებული, თითქმის ექვსასგვერდიანი რომანი „დაუსრულებელი ზამთარი". დიდი მიხვედრილობა არ არის საჭირო, რომ ამ სევდისმომგვრელი სათაურის სიმბოლური მნიშვნელობა შევიგრძნოთ და გავაცნობიეროთ.

ნუგზარ წერეთელი უმამოდ გაზრდილი თაობების ერთ-ერთი უტყუარი, პირუთვნელი მემატიანეა და თავის რომანსაც მარჯვედ, მოხდენილად შეურჩია ეს მრავლისმთქმელი სათაური. ჩვენს უმძიმეს, გაუხარელ ბავშვობაში ყველაზე ძნელი გადასატანი სწორედ ზამთრის გრძელი და ცივი ღამეები იყო და მაშინდელი უსიამო განცდა ხშირად შეგვახსენებს თავს ნუგზარ წერეთლის შეულამაზებელ და შთამბეჭდავ მონათხრობში.

ნუგზარ წერეთლის რომანში აღწერილი ამბები, ავტორისეული ტკივილები და უმძაფრესი განცდები ჩემთვის იმდენად ნაცნობი და ახლობელია, არაფრით არ შემიძლია ამ წიგნის „მიუდგომელი სიმკაცრით" შეფასება, პედანტური ჩაკირკიტება და ზოგიერთ, სტილისტურად მოუხეშავ წინადადებაზე თუ უნებლიე ლაფსუსზე გამოდევნება, რასაც იოლად მოევლება. პუბლიცისტური პათოსი და პირდაპირობა, რომანის ცალკეულ ეპიზოდებში ჭარბად რომ იგრძნობა, თვით მასალამ განაპირობა და ეს, ამასთანავე, თხრობას დამაჯერებლობას მატებს.

დოკუმენტურობის მიუხედავად (ეს საყოველთაოდ მიღებული ხერხია), ნუგზარ წერეთელი შეგნებულად ცვლის პროტოტიპების, პერსონაჟებად გამოყვანილი ადამიანების გვარ-სახელებს, რითაც იგი მის მიერ ოდესღაც ნანახისა და გადატანილის მიმართ გარკვეულ დისტანციას ინარჩუნებს და მეტყველებას, კილოსაც მეტ ბუნებრიობას სძენს.

მამამისი, დახვეწილი ინტელიგენტი, შემოქმედი ადამიანი, თავგადაკლული ბიბლიოფილი, კულტურის უანგარო მოღვაწე, არაფრის გამო დამსმენთა მიერ გაუბედურებული და საკუთარ კერას მოწყვეტილი უმწიკვლო პიროვნება ალექსი მაჩაბლადაა წარმოდგენილი. დედა — ოჯახზე გადაგებული, ქმარ-შვილის უსაზღვროდ ერთგული მანდილოსანი, ვისაც გასაზრდელად სამი მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა, ბაბი ჯაყელად იხსენიება. სწორედ ასეთმა დედებმა გადაარჩინეს პირსისხლიანი ჯალათების მიერ დაჯიჯგნილი საქართველოს მომავალი და ყველა ჩვენგანის ვალია, მათი თავგანწირვა, ფასდაუდებელი ამაგი ღირსეულად დავაფასოთ. იმ შავბნელ დროში კეთილი, გულმოწყალე ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, ცხადია, თვით ბაბი ჯაყელისთანა სამაგალითო დედებიც ვერაფერს გახდებოდნენ, ულმობელი სინამდვილის პირისპირ მარტოდ დარჩენილები. რომანში ამის ნათელმყოფელი არაერთი ცოცხალი ეპიზოდია დასურათხატებული.

ყველაზე დასამახსოვრებელი და გულისშემძვრელი მაინც (ამაზე დიდი წიგნი დაიწერებოდა) ვაჟა-ფშაველას ძმისწულის ეთერ რაზიკაშვილის საბედისწერო, უაღრესად ტრაგიკული ცხოვრებაა. აქ სახელი და გვარი უცვლელადაა დატოვებული და ასედაც უნდა ყოფილიყო.

ნუგზარ წერეთელს უთუოდ ემარჯვება ხსოვნაში ღრმად ჩარჩენილი, გარდასული სურათების გაცოცხლება. დაუვიწყარია ბავშვის თვალით დანახული ომამდელი თბილისის გარემო. წამიერად გაბრმავებს ეტლის კოფოზე დადგმული ორი ფარნის შუქი და მათრახმომარჯვებული მეეტლის მკვეთრი შეძახილიც ჩაგესმის. ყველაფრიდან იგრძნობა თბილისური შემოდგომის ჩუმი ნაღველი. აქ ავტორი საკუთარ პატარაობას დღევანდელი დღის სიშორიდან აკვირდება, ესიყვარულება და ვგრძნობთ, გული როგორ სხვანაირად ეკუმშება. მშვენიერია მამასთან ერთად ახლო ნათესავების ოჯახებში სტუმრობის ეპიზოდები. იმის დასტურად, თუ როგორ უშუალოდ, ბუნებრივად და თვალსაჩინოდ იქმნება სასურველი განწყობილება, ორიოდე აბზაცის ამოწერა მაინც მოგვიწევს:

„მალე სიბნელეს გამოეყო ეტლი, გამოჩნდა მკრთალი, მოცახცახე სანთლების შუქი, ოთხკუთხა დახურული ფარნებიდან რომ ანათებდა, მცირე მოლაპარაკების შემდეგ ეტლში მოთავსდნენ და მდუმარებით მოცულ თბილისის ქუჩებს გაუყვნენ, ხანდახან ცხენის ნალები ქვაფენილზე გაკვესავდნენ. გიგას მოსწონდა ეს სანახაობა და გაფაციცებით იცქირებოდა ძირს, რომ დროდადრო გამომკრთალი ნაპერწკლების დანახვა არ გამორჩენოდა.

ერთხელაც დილით წავიდნენ ბიძასთან სტუმრად, მზე ანათებდა და კარგი დარი იდგა, ორი-სამი საათის შემდეგ მოიღრუბლა, ზეცა მძიმე საავდრო ღრუბლებით დაიფარა, ჯერ ქარაშოტმა წამოუბერა, მიდამო მტვრით, ფოთლებით, ქაღალდის ნაგლეჯებითა და რუხი სიცივით აივსო, მერე კი, როცა გრიგალისებური ქარი მინელდა, კოკისპირული წვიმა დაიწყო. წვიმდა მსხვილად, გაბმითა და გულდაჯერებით, ეზოში დიდი გუბეები დადგა, ქუჩებში მდინარესავით ნიაღვარი მიექანებოდა".

ეს ყოფა, სამწუხაროდ, მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. სამი პატარა სულ მალე უმამოდ რჩება. ახალდაპატიმრებულ მეუღლეს რამენაირად რომ უშველოს, ბაბი ჯაყელი ქმრის გავლენიან ნაცნობებს ნახულობს. ამ ფონზე რომანში მთელი გალერეაა წარმოდგენილი პირუტყვებად ქცეული მედროვე არაკაცებისა.

რუსთაველზე, ჩეკისტების ცნობილ სახლში მცხოვრები ემილ კვირიკაძე — ალექსი მაჩაბლის მეგობარი — წესიერი კაცია, იგი ყველას უყვარს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში დახმარების გაწევა არ ძალუძს, მხოლოდ სინანულს გამოთქვამს ახლობლის დაპატიმრების გამო. ასევე გულისხმიერი პიროვნებაა ვალიკო ლეჟავა, რომლის უმცროსი ძმა ლენგო ბერიას სიძეა (ცოლად ჰყავდა შერთული ავად სახსენებელი ლავრენტის ყრუ-მუნჯი და), მაგრამ არც ამ ნაცნობების მოწადინებამ არ იკმარა საამისოდ, რომ უდანაშაულო პატიმარი დაეხსნათ.

რომანში შემაძრწუნებელი სიმძაფრითა და დამაჯერებლობით არის გადმოცემული უშიშროების ჯურღმულებში მოხვედრილი ალექსი მაჩაბლის ჯოჯოხეთური ტანჯვა. აშკარაა, რომ სადისტად ჩამოყალიბებულ, მასავით დაუნდობელი ხელქვეითი ჯალათებით გარშემორტყმულ გამომძიებელ მარგარიანს რეალური პროტოტიპი ჰყავს. გონების დაკარგვამდე ცემა და ძვლების დამტვრევა რა მოსატანია. ეს პირუტყვები სახეზე აშარდავენ მათგანვე ფეხით გათელილ პატიმარს, რაც იშვიათი შემთხვევა სულაც არ ყოფილა საბჭოეთის საპატიმროებში (თუნდაც სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი" გავიხსენოთ). მწიგნობარს, დიდი განათლების ადამიანს ტვინბნელი გამომძიებელი „ტრაწაკა, ტილიან ინტელიგენტს" ეძახის. ეპიზოდურად ჩანს, მაგრამ სამუდამოდ გამახსოვრდება შემოვლაზე მოსული მაღალჩინოსანი ჩეკისტი, პატიმრის მოგვარე შალვა მაჩაბელი, რომელსაც ამ შემთხვევიდან თორმეტი წლის შემდეგ მართლმსაჯულება, როგორც სისხლისსმსმელ ჯალათს, დახვრეტას მიუსჯის. საპატიმროში თარეშობის ჟამს ეს დორბლმორეული ქოფაკი გენერალ ხაფავას (მინიშნება იოლი ამოსაცნობია) მოადგილეა.

ხელშესახები, მკვეთრი შტრიხებითაა დახატული ხსენებული გენერლის მოგვარე, შედარებით წვრილფეხა ჩეკისტი, მრავალი ადამიანის გამაუბედურებელი ტარიელ ხაფავა, რომელიც დასმენებისა და უდანაშაულო მოქალაქეების დაჭერების გარდა, გაუმაძღარი, ხარბი მომხვეჭელიც არის: მაჩაბლებისგან მიტაცებულ ნაკვეთზე აშენებული სახლის საუკეთესო სართულის დასასაკუთრებლად, იგი დაპირისპირებულ მხარეებთან ჩხუბს გამართავს და ამ შეხლა-შემოხლაში გული უსკდება.



გროტესკის უძველესი და მარად ახალი ხერხის მარჯვედ გამოყენების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ტარიელ ხაფავას დატირებისა და დასაფლავების სცენები. სამგლოვიარო მიტინგზე გულისამაჩუყებელ სიტყვას წარმოსთქვამს დილიდანვე ღვინით გამტყვრალი და გამოთაყვანებული, გარდაცვლილის მეგობარი ჩეკისტი ევგენი მელია. ამ „საპროგრამო სიტყვაში" კარგად ჩანს წარმოუდგენელი სირეგვნე და აბსურდულობა ბნელი ძალებისა, საწყალ ხალხს ამდენი უბედურება რომ დაატეხეს.

გიგა მაჩაბლის პიროვნებაში ნაბიჯ-ნაბიჯ, ფსიქოლოგიური სიმართლით არის ნაჩვენები მრავალმხრივ ნიჭიერი, უნარიანი, წერა-კითხვას დაწაფებული მოზარდის თანდათანობითი ჩამოყალიბება. უკვე ცამეტი წლის გიგა სულშეძრულია ახლობელი ადამიანების დაკარგვის გამო. საშინლად განიცდის იგი ახალგაზრდა, ლამაზი, გაუთხოვრად დარჩენილი, ცხოვრებაში გაუხარელი დეიდის გარდაცვალებას, მის დამარხვას მშობლიური სოფლის მიწაში. მთელი ღამე არ შორდება შავად შეფერილი ფიქრები:

„პირველად მიხვდა, რომ ამ ცხოვრებიდან, ამ ქვეყნიდან ყველა უნდა წასულიყო — დედაც, მამაც, ძმებიც, მეზობლებიც, მეგობრებიც, სტუმრებიც. ამ საშინელ აზრს ვერ შეურიგდა, დილამდე თვალი ვერ მოხუჭა, ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, სად წავიდა დეიდა შორენა, რა დაემართა ასე უდროოდ საწყალ არჩილას".

რომანში ოსტატურად არის გამოკვეთილი მეზობელთა სახეები, ხასიათები. იოლად გამახსოვრდება კეთილი, გონებამახვილი, თავადური წარმომავლობის ქვრივი სომეხი ქალბატონი ბაბო გაიანე, რომელსაც სამი გასათხოვარი, ფერხორციანი ქალიშვილი — სუსანა, ჟანა და კლარა — ჰყავს. საბოლოოდ, სამივე ეწევა ბედს, დაბინავდებიან. ყველაზე დაუდგრომელი, თავშეუკავებელია ჟანა. მასთან რომანის მთავარ გმირსაც აქვს ინტიმური ურთიერთობა.

საერთოდ, ნუგზარ წერეთელი არ ერიდება ეროტიკული სცენების ჩვენებას, მაგრამ ქალ-ვაჟთა ერთმანეთისკენ ლტოლვა მუდამ ბუნებრივად, ჯანსაღად არის წარმოსახული და ამას არაფერი აქვს საერთო იმ გულისამრევ პორნოგრაფიასთან, რაც ასე მოხშირდა ბოლო წლების ექსპერიმენტულ ნაცოდვილარებში. ყოველივეს ჩვენს დაუხმარებლადაც ცხადად დაინახავს მკითხველი.

წიგნში ამაღელვებლად და ამდენადვე დამაჯერებლად არის გადმოცემული პატიმრობიდან ალექსი წერეთლის დაბრუნება, მისი შეჩვევა საკუთარი ოჯახის გარემოსთან. გიგას, მაგალითად, ეხამუშება, რომ იგი მამამისზე ბრგე და მაღალია და ეს განცდა სულაც არ გახლავთ მოგონილი, ყალბი. გიგამ კარგად იცის თავისი ულვთოდ ნატანჯი მამის ფასი. ზნეობრივი სისპეტაკე კაცისა, ვინც აურაცხელმა წამებამ ოდნავადაც ვერ გააბოროტა. ქუჩაში მიმავალი ალექსი ფულს ჩუქნის დახეიბრებულ, გაბურძგნულ მათხოვარს, რომელშიც, მისდა გასაკვირად, მარგარიანის გვერდით მდგარ საკუთარ ჯალათს შეიცნობს.

შვილი ლამობს, მამამისის გამაუბედურებელთა და მწამებელთა კვალს მიაგნოს, მაგრამ მალევე რწმუნდება, რომ ამასაც არა აქვს აზრი, ყველა მათგანს თავისი მიეზღო, დაუსჯელი არავინ დარჩენილა. ფართოპლანიან ნაწარმოებში მთელი მრავალფეროვნებითა და სისავსით არის წარმოჩენილი სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელი ბრძოლა, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ, საბოლოოდ, სიავე არავის შერჩება.

ნუგზარ წერეთელი ღრმად და შეუცდომლად სწვდება მის მიერ დახატულ პერსონაჟთა სულის მოძრაობას, კვალდაკვალ მიჰყვება მათ ცხოვრებას, ცხადლივ გვიჩვენებს ბოროტთა სატანურ ქმედებას თუ ღვთისნიერ ადამიანთა ზნეკეთილობას. ჩვენს თვალწინ იმსხვრევა მრავალთა ბედი, მოწმენი ვხდებით შემაძრწუნებელი ტრაგედიებისა, რამაც შეუძლებელია გულგრილნი დაგვტოვოს. ამავე დროს, ჩვენც გადმოგვედება რომანის დასასრულს აპოთეოზად გახმიანებული ავტორისეული რწმენა. ამ წიგნის შემქმნელს სჯეროდა, „რომ უჩვეულოდ მსუსხავი დღეების მიუხედავად, კვლავ იქნებოდა მზე, სითბო და ცივ ზამთარსაც როდისმე ექნებოდა დასასრული".

**ემზარ კვიტაიშვილი**

⊙ **მიწისძვრა ჩვენს სულებში**

# რით ჰგავს საქართველო ლენინის ქანდაკებას (?!)

**ალბათ, გაგიგონიათ „წვერებიანი" ანეკდოტი — გურული გურულს რომ ეკითხება:**

**— რავა ხარ, ძამა?**

**— კი ვარ ლენინის ქანდაკებასავით: ხელი მაქვს მუდამ გაშვერილი და არავინ არაფერს მაძლევსო, — იყო პასუხი.**

სამწუხაროდ, ჩვენი პატარა საქართველოც, დაახლოებით ამგვარ მდგომარეობაში ჩააგდო დრომ და ისტორიულმა პროცესებმა. ერთ ხანს წელგამართული ქვეყანა გაღარიბდა. მდიდარი ქვეყნების რიგიდან ღატაკ ქვეყანათა რიგში გადავინაცვლეთ.

ძნელია, როცა ქვეყანა უცხოეთიდან შემოსული დახმარებების იმედზეა, როცა ეკონომიკა დასუსტებულია, მოსახლეობის ნახევარზე მეტი კი — ან უმუშევარია, ან საზღვარგარეთ არის გახიზნული, რათა ოჯახს ლუკმაპურის ფული მოაწვდინოს.

სწორედ ასეთ პირობებშია საჭირო, რომ იტყვიან, „ცხელი გული და ცივი გონება", რათა ქვეყანამ გაჭირვებას თავი დააღწიოს!..

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? როგორ ნაწილდება ის სახსრები, რაც გამგეობებს გადაეცემათ და რა კეთდება საერთოდ? — სწორედ ამ საკითხების გასარკვევად ვესტუმრეთ ზესტაფონის რაიონის გამგეობას. უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ზესტაფონის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელია ბატონი **დავით ფერაძე**.

***— რა გაკეთდა წლის მანძილზე რაიონისთვის?*** — ამ კითხვით დავიწყეთ საუბარი ბატონ დავითთან.

— ყველანაირად ვცდილობთ გონივრულად გამოვიყენოთ თანხა, რაც გამოყოფილია ჩვენი რაიონისთვის. ყველა სოფელს მივეცით ტრანსფერები გზების შესაკეთებლად. გზები შეკეთდა თვით ზესტაფონშიც. საკმაო თანხა დაიხარჯა განათლების სისტემის დასაფინანსებლად.

***— რა ღონისძიებებს მიმართავს გამგეობა სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად?***

— ჩვენი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი წილი სწორედ ამგვარი მოსახლეობისთვის არის განკუთვნილი. ასე მაგალითად: საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მეომართა ოჯახებს დავუნიშნეთ დახმარება 50 ლარის ოდენობით.

ამ ზაფხულს ბრონქული ასთმით დაავადებული 17 ბავშვი გავაგზავნეთ დასასვენებლად და სამკურნალოდ ბაკურიანში.

უნდა აღვნიშნო, რომ სასწრაფო დახმარება ჩვენს რაიონში ერთი წლით ადრე გახდა უფასო, სანამ ეს ღონისძიება რესპუბლიკის მასშტაბით განხორციელდებოდა.

***— ბატონო დავით, ცნობილია, რომ ზესტაფონი იყო უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონი. დღეს რა მდგომარეობაა ამ მხრივ?***

— მოგახსენებთ: აქ ერთდროულად სამი საკავშირო მნიშვნელობის ქარხანა არსებობდა. ამჟამად მათგან მხოლოდ ერთი — ფეროშენადნობთა ქარხანა მუშაობს სრული დატვირთვით. ბიუჯეტის 70 პროცენტს შემოსავლებიდან სწორედ ეს ქარხანა ავსებს.

***— ზესტაფონი არაერთი გამოჩენილი პიროვნებით ამაყობს — აქ არის დიდი ქართველი მსახიობის უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი. რა კეთდება საიმისოდ, ეს სახლ-მუზეუმი რომ შენარჩუნდეს?***

— უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმისთვის გამოყოფილია 8000 ლარი. ჩვენ არა გვაქვს უფლება, რომ სახლი, სადაც დიდი ხელოვანი დაიბადა და გაიზარდა, უყურადღებოდ დავტოვოთ.

***— რას გვეტყვით კულტურის სხვა კერების შესახებ?***

— ძველებურად ეწევიან შემოქმედებით საქმიანობას ზესტაფონის თეატრი და კულტურის სახლი. ჩვენც ვცდილობთ, გულისყურით მოვეკიდოთ მათ შემოქმედებას.

ბატონ დავითთან საუბარში კრიმინოგენურ ვითარებასაც შევეხეთ.

— დანაშაული ყველგან ხდება, — თქვა მან, მაგრამ საბედნიეროდ, ჩვენთან შედარებით სიმშვიდეა. ყოველ შეთხვევაში, — ამ ბოლო ხანებში მაინც...

***— და ბოლოს, მივუბრუნდეთ ყველაზე დაუცველ ფენებს — რა გაკეთდება მათი კეთილდღეობისთვის?***

— თვით ქალაქის ხელმოკლე პირთათვის გამოყოფილია 56 ათასი ლარი, ხოლო სოფლებისთვის — 200 ათას ლარამდე. უპირველესად ეს თანხა იმ ადამიანებს მოხმარდება, ვისაც მატერიალურად ყველაზე მეტად უჭირს...

***და მაინც — რას ფიქრობს ადგილობრივი მოსახლეობა, თუ შეიცვალა მათ ყოფაში რაიმე, არის თუ არა ძვრები რაიონის ცხოვრებაში?*** — ამგვარ კითხვებზე უბრალო მოქალაქეები მპასუხობენ: ხალხი ხომ ყველაზე სამართლიანი და მიუდგომელი მსაჯულია!

ნინო: — პირადად ჩემს ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილა, ისევ იგივე მდგომარეობაში ვარ, როგორც შარშან თუ შარშანწინ. რაც შეეხება ცვლილებებს რაიონში — თვითონ ზესტაფონი პატარა ქალაქია და აქ ყველაფერი ჩანს: გზები შეკეთდა, აწესრიგებენ სანაპირო ზოლს. რა ვიცი, მეტი რა უნდა შეცვლილიყო...

სოფო და ნათია:

— საერთოდ, ბევრი არაფერი შეცვლილა. მნიშვნელოვანს ვერაფერს ვხედავთ (თითქმის ერთხმად პასუხობენ ისინი)...

გიორგი:

— აბა, რა ძვრები მოხდება იქ, სადაც ყოველ წელს იცვლება გამგებელიც და მისი მოადგილეებიც! რატომ ირჩევენ განვითარებულ ქვეყნებში თანამდებობის პირებს რამდენიმე წლით? — თუ საქმე კარგად წავა, კიდევ ერთხელ დატოვებენ თავის ადგილზე, თუ არადა, გონიერი კაცი რამ გამოლია ამქვეყნად?

თამაზი:

— რა ვიცი, შვილო, ქვეყნის საქმისა მე რა გამეგება, ერთი უბრალო, მშრომელი კაცი ვარ. სოფელში ვცხოვრობ, როგორც ვმუშაობდი თოხითა და ბარით, ახლაც ისე ვმუშაობ. ვიცი, რომ საკუთარ თავსა და ოჯახს მე თვითონ უნდა ვუპატრონო. სხვების იმედზე ვერ ვიქნებით. „სხვისი შემხედვარეო — წყალში ჩამხედვარეო", — უთქვამს ბრძენ ქართველ კაცს...

მგონი ყველაზე დიდი სიმართლე ამ უბრალო, მშრომელმა კაცმა მითხრა იმ დღეს. მართლაცდა — სანამ უნდა ვიყოთ სხვათა და სხვათა შემყურე, სანამდე უნდა ჰგავდეს საქართველო ლენინის იმ ქანდაკებას, რომელიც მუდამ ხელგაწვდილია!.. და "ელოდება" ღვთის წყალობას.

**ხათუნა ჩიგოგიძე**
**ზესტაფონი-თბილისი**

## ◎ გენერალისიმუსის გზა

## კოჩკენ საქტანოვი

# უცნობი სტალინი

## მეორე ნაწილი



სტალინმა ულვაშებში ჩაიცინა.

**— თუ, ვთქვათ, მე მომეწონება ფრანგი გოგონა? თუ კარგია, ნებისმიერი შეიყვარებს ეროვნების მიუხედავად. ასეთი რამ ცხოვრებაში ხდება. წავიკითხე რომანი. ზოგიერთი ნაკლი შეინიშნება. ჩემი აზრით, პირველი ხარისხის პრემიის ღირსია, ამხანაგო ფადეევ. რა შეხედულება გაქვთ საპრემიოდ წარმოდგენილ ვერა პანოვას მოთხრობაზე „ახალი ნაპირი“?**

— ვერა პანოვა კარგი მწერალია, მაგრამ ეს ნაწარმოები მის შესაძლებლობათა დონეზე არ დგას.

სტალინი:

**— სწორია. მეც ასე ვფიქრობ. მან კარგად იცის ცხოვრება და შეუძლია წერა. მაგრამ თუ მწერალი შემთხვევას არ განაზოგადებს, შემოიფარგლება უბრალოდ ფაქტებით, ამას მხატვრულ ნაწარმოებად ვერ ჩავთვლით.**

მწერლებთან, განსაკუთრებით ისეთ წამყვან მწერლებთან, როგორებიც არიან ფადეევი, ერენბურგი და სიმონოვი, სტალინს შეეძლო ისევე თავისუფლად ესაუბრა, როგორც სამხედრო ან პროფესიონალ პოლიტიკოსებთან. სტალინი ბავშვობიდანვე თავგადაკლული მკითხველი გახლდათ. ჯერ კიდევ გორში სწავლისას პატარა სოსო ჯუღაშვილი ძალიან ბევრს კითხულობდა. ქართველ მწერალთა რომანებს თავაუღებლად, სულმოთქმელად კითხულობდა. ხოლო ქართველი კლასიკოსის ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „მამის მკვლელი“ ერთბაშად ერთ ღამეში წაიკითხა. ნაწარმოების მთავარი გმირის სახელი კობა სწორედ აქედან აიღო თავის ფსევდონიმად, როდესაც რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა... ბავშვობიდანვე გამოყოლილი ჩვევის გამო, დიდი მოუცლელობის მიუხედავად, ახლაც კითხულობდა უამრავ მხატვრულ წიგნს, თანაც სწრაფად. რაც შეეხება სტალინურ პრემიაზე წარდგენილ ნაწარმოებებს, მათ ხომ უთუოდ თავიდან ბოლომდე დაწვრილებით ეცნობოდა.

სტალინმა ხელში აიღო კაზაკევიჩის რომანი „გაზაფხული ოდერზე“.

**— ინტერესით წავიკითხე რომანი... აქაც ცოტა როდია ნაკლოვანება. რომანში ფართოდ არიან ნაჩვენები როკოსოვსკი და კონევი, მაგრამ არ არის ჟუკოვი. ოდერზე, ძირითადად, ეს ორი როდი სარდლობდა, არამედ ჟუკოვიც. იგი, შესაძლოა, უფრო უკეთ იბრძოდა, ვიდრე როკოსოვსკი და კონევი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, მათზე ნაკლებად. კაზაკევიჩის რომანს აკლია ჟუკოვის იერსახე. როგორ შეიძლება გავიგოთ ავტორის დამოკიდებულება ჟუკოვისადმი?**

სტალინმა კითხვა კატეგორიულად დააყენა და ფადეევმა უმალვე უპასუხა:

— ამხანაგო სტალინ, სწორია თქვენი აზრი რომანის შესახებ, მაგრამ ამაში ავტორს ბრალი არ მიუძღვის.

ორმოცდაშვიდ წელში ჟუკოვის გაკრიტიკების, აგრეთვე იმის გამო, რომ თანამდებობრივად ჩამოაქვეითეს და სხვა სამუშაოზე ოდესაში გაგზავნეს, ცენზურამ დასაბეჭდად დამზადებულ ხელნაწერში ჟუკოვის სახელი ამოიღო და შეცვალა სამხედრო საბჭოს რომელიღაც წარმომადგენლით. სტალინი ნათქვამის აზრს მიხვდა, შეჩერდა და გულისტკივილით თქვა:

**— ჩვენში მუდამ ასეა... ნუთუ ყოველ გადაცდომისათვის ადამიანი უნდა ამოშალო ისტორიიდან და რომანებიდან? რატომ არ მოგვმართა კაზაკევიჩმა? ამხანაგო ფადეევ... თუ ვინმე წინ აღუდგება ისეთ ნიჭიერ მწერლებს, როგორც კაზაკევიჩი გახლავთ, ასეთმა მწერალმა დაუყოვნებლივ მოგვმართოს ჩვენ, ყოველგვარი მორიდების გარეშე! ჩემი აზრით, დასტურ იმსახურებს პრემიას. ოღონდ, როდესაც წიგნი მეორედ დაისტამბება, ჟუკოვის სახელი ავტორმა უთუოდ უნდა შეიტანოს. რა თქმა უნდა, ომის შემდეგ ჟუკოვს ჰქონდა დაუდევრობანი, მაგრამ ომის მოგებაში მისი წვლილი მეტად მნიშვნელოვანია.**

სტალინი ახლა ჟდანოვისაკენ შებრუნდა.

**— კიდევ რა ნაწარმოებებია წარმოდგენილი საპრემიოდ?**

ჟდანოვი ფადეევისაკენ შეტრიალდა. ფადეევმა კი მაშინვე უპასუხა:

— თუთელბაი სიდიკბეკოვის „ჩვენი დროის ადამიანები“.

**— როგორია თქვენი შეხედულება?**

— კარგი. მასში მოვლენები ვითარდება ღრმა ზურგში, ყირგიზეთში. რომანში ასახულია ხალხთა მეგობრობა, ადამიანთა თავგანწირული შრომა გამარჯვებისათვის.

სტალინი:

**— ამ რომანის ავტორი პარტიის წევრია თუ არა?**

— არა, ამხანაგო სტალინ.

**— ხომ ხედავთ?.. ეს მწერალი პარტიის წევრი არ არის, მაგრამ პარტიული პოზიციიდან წერს. რომანი წავიკითხე. ამ რომანის ავტორთან დაკავშირებით ერთი რამის თქმა მსურს: ზოგიერთი ჩვენი ლიტერატორი, თუ მათ უცბად რომელიმე ნაწარმოები არ მოეწონებათ, მაშინვე ფარად მოიმარჯვებს „ლიტერატურის პარტიულობის“ ტერმინს და ადანაშაულებს თვით ავტორს, აქაოდა, ეს ნაწარმოები დაწერილია არა პარტიული პოზიციიდან იმიტომ, რომ ავტორი პარტიის წევრი არ არის. ისინი ეცემიან ლენინის სიტყვებს: „ძირს უპარტიო ლიტერატორები!“ ეს სწორია, ამხანაგო ფადეევ? არა! უმართებულოა! როდის ამბობდა ლენინი ამ სიტყვებს? კარგა ხნის წინათ! იგი ამას ამტკიცებდა მაშინ, როდესაც ოპოზიციაში ვიდექით და ჩვენ მხარეზე საჭირო კომუნისტები უნდა გადაგვებირებინა. რადგანაც ოპოზიციას წარმოვადგენდით, ამიტომ ვებრძოდით უპარტიოებს და ჩვენს ბანაკს ვქმნიდით. ახლა ხომ ასე არ არის! მას შემდეგ, რაც ოპოზიციურობა მივატოვეთ და თვითონვე მოვიპოვეთ ძალაუფლება, შევწყვიტეთ ადამიანთა დაყოფა პარტიულებად და არაპარტიულებად...**

სტალინმა მაგიდიდან აიღო რუსულ ენაზე თარგმნილი რომანის „ჩვენი დროის ადამიანების“ კარგა მოზრდილი ტომი.

**— ზოგიერთ ამხანაგს პარტიულობა ესმის როგორც საბჭოთა ლიტერატურაში უარყოფითი გმირის არარსებობა. ეს რაპელთა უვარგისი ახლანდელი თეორიაა. აქაოდა, ყველა გმირი უნდა იყოსო დადებითი, ყველა გმირის უნდა იყოსო იდეალური! სისულელეა! ცხოვრებაში არ არიან იდეალური ადამიანები, მაშასადამე, ლიტერატურაშიც აგრეთვე ასეთი რამ არ შეიძლება არსებობდეს! რა არის პარტიულობა? პარტიულობა — ეს არის საბჭოთა პატრიოტიზმის ქება-დიდების შესხმა ცხოვრებაში, საბჭოთა ცხოვრებაში სიმართლის ღრმა და ფართო ასახვის მეშვეობით, პატრიოტების გამოყვანა წინა მხარეზე, ადამიანების აღზრდა ამ სულისკვეთებით, მოწოდება მიბაძონ მათ! ჩემი აზრით, „ჩვენი დროის ადამიანები“ სწორედ ასეთი წიგნია.**

* * *

სტალინი ძილისაგან საბოლოოდ გამოფხიზლდა. რატომ გაახსენდა სამი წლის წინათ მომხდარი ამბები სწორედ დღეს, მაინცდამაინც ახლა? ამის ბრალი პატრიოტიზმი ხომ არ არის? ყველაფერი მისგან იწყება. ხომ არ გარდაიქმნება ახლანდელი ჭეშმარიტი პატრიოტიზმი მოგვიანებით ცრუ პატრიოტიზმად? დღეს თუ არა ხვალ იგი დატოვებს ამ საწუთროს, ვინ შეძლებს გარემოცვიდან მისი საქმის განგრძობას ერთი გზით, ერთი მიმართულებით არა ცრუ, არამედ ნამდვილი პატრიოტიზმით, თან მასებს გაიყოლიებს ჭეშმარიტი ლოზუნგით. ვინ შეძლებს დაიმსახუროს ხალხის ნდობა და ვინ მოიპოვებს ასეთივე ავტორიტეტს, პატივისცემასა და დიდებას, როგორც მან?

შინაგანად მზერა მიაპყრო მის წინაშე წარმომდგარ პოლიტბიუროს წევრებს. გაზეთებში ყოველთვის მისი სახელის შემდეგ წერენ მოლოტოვის სახელს. მხოლოდ მერე მოდიან მალენკოვი, ვოროშილოვი, ბულგანინი, ბერია, კაგანოვიჩი, ხრუშჩოვი, ანდრეევი და, სულ ბოლოს, მიქოიანი, დიახ, ანასტას მიქოიანი...

სტალინმა სულ ბოლოდან დაიწყო. მართალი რომ ითქვას, მიქოიანი არც ოცნებობს მის ადგილზე, ალბათ, გონებაშიც არ ჰქონია, თუკი ასეთ რამეს ფიქრად გაივლებს, ამას არც არავინ დაუშვებს. იგი უდიდესი გაიძვერა და უჯიათი კაცია. იგი უჩვეულოდ მოქნილი და ზუსტი რომ არ იყოს საქმეში, დიდი ხანია ზედა ფენებში ადგილს ვერ შეინარჩუნებდა. ისინი არა მარტო შესაფერისი, არამედ ერთი ხნისაც არიან ხრუშჩოვთან ერთად. თუმცა ორივე სხვადასხვა ხალხის შვილები არიან, მაგრამ ყოველთვის ერთმანეთს უჭერენ მხარს. ამით ისინი სტალინს მოსწონს. არავის არანაირი ზიანი მათგან არ მიუღია. დაე, ერთმანეთთან იმეგობრონ და იმუშაონ თავიანთთვის.

ანდრეევი ხალხისათვის უცნობია. არავინ, მსხვილი პარტიული მუშაკების გარდა, მას არავინ იცნობს. მასებიც კარგად არ იცნობენ. ჭკიანი, ახოვანი კაცია, მაგრამ იდეური მისწრაფებანი არ გააჩნია. თავს ძლივს ართმევს ახლანდელ თანამდებობას. გენერალური მდივნობისათვის არ იქაჩება. შესაძლოა ახლა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდანაც გამოიყვანონ.

ხრუშჩოვი ხომ ტლუა. არათუ ისტორიულ ან მხატვრულ ლიტერატურას, არამედ, ალბათ, გაზეთებსაც არ კითხულობს. კადრების ნაკლებობის გამო ახალგაზრდობაში შემთხვევით ხელი გამოკრა ხელმძღვანელ სამუშაოს, თავისი ღარიბული წარმოშობის მეოხებითა და იღბლიანი ბედის გამო ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მდგომარეობამდე მიაღწია, და აი მუშაობს. კაცმა მართალი რომ თქვას, იგი მხოლოდ საოლქო მასშტაბის მუშაკია და ახლო დგას არა შემოქმედ ინტელიგენციასთან, არამედ უბრალო ადამიანებთან. ყოველნაირი წინააღმდეგობის გაუწევლად მიემართება იქ, სადაც პარტია აგზავნის. მუშაობს ხან უკრაინაში, ხანაც მოსკოვში. დაე, იმუშაოს, სტალინისთვის სულ ერთია, არსებობს იგი თუ არა. მიქოიანის მეგობარია. მიქოიანი კი მასთან პოლიტიკური მოსაზრებით მეგობრობს. ხრუშჩოვმა რომ თანამდებობა დაკარგოს, მიქოიანი იმავე დღეს ზურგს უჩვენებს. ხრუშჩოვს ეს არ ესმის. თუ ხრუშჩოვი ძალაუფლებას ხელთ იგდებს, მაშინვე პარტიის ავტორიტეტი დაეცემა, მაგრამ გენერალური მდივნის თანამდებობასთან ბერია ახლოს არ მიაკარებს.

კაგანოვიჩი კი ებრაელი ერის ერთადერთი წარმომადგენელია პოლიტბიუროში. იგი ხომ სისხლით ებრაელია, მაგრამ სულით უკვე დიდი ხანია რუსია. როგორც თვითონ იგი, სისხლით ქართველი, და უკვე რუსი რუსთაგან. ებრაელთაგან არავინ გულწრფელად ისეთი ერთგული არ ყოფილა, როგორც კაგანოვიჩი. მას ვერ აიძულებ გენერალურ მდივნად გახდომას იმიტომ, რომ თავისი ადგილი იცის.

ო, ბერიაზე სხვაგვარი საუბარი მოგვიწევს. ბერიამ თავისი უნარითა და მოწოდებით იაგოდასა და ეჟოვს გადაამეტა. მხოლოდ იგი მუშაობს თავის თანამდებობაზე საკმაოდ დიდხანს. როგორც ჩანს, განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდება ჩემ სიკვდილს...

წინათ სტალინს ბერიასი სჯეროდა, თანაც ძალიან სჯეროდა. მას განსაკუთრებით მოსწონდა ის, რომ ბერია სწრაფად წყვეტდა საკითხებს, სიტყვის თქმაც მყისვე იცოდა, იყო კატეგორიული, მაგრამ უამრავი უარყოფითი ნიშან-თვისებაც გამოაჩნდა, განსაკუთრებული ტრფიალი ქალებისადმი. მაგრამ სტალინისთვის რაც უფრო მეტად ცნობილი ხდებოდა ბერიას ნეგატიური მხარეები, მით უფრო ენას კბილს აჭერდა. იგი დიდი ხანია ბერიას თავიდან მოიშორებდა, მაგრამ დიდი დამსახურება ჰქონდა ტროცკის ლიკვიდაციაში. ამიტომაც სტალინი დუმს. ბერიამაც იცოდა ეს და ამიტომ სულ თავს გაუვიდა, მეტისმეტად გათამამებულია, რაც მოეხასიათება, იმას სჩადის. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ხელისუფლებამდე მიაღწიოს — ყველაფერს ყირამალა დააყენებს. ყველა, როგორ ერთი, გენერალური მდივნის თანამდებობამდე მისვლის საშუალებას არ მისცემს, შოვინისტები მოინახებიან და მოაშორებენ იქაურობას. ისე, კაცმა რომ თქვას, ბერია ამას იმსახურებს.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 257-262, 265-268, 274-279, 282-284.**

# ბუშის რეიტინგი კვლავ გაიზარდა

**ნოემბერში კვლავ გაიზარდა ამერიკელების მიერ თავიანთი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მხარდაჭერის მაჩვენებელი. ეს ხაზგასმულია „სი-ბი-ეს“ ტელეკომპანიის და გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ შეკვეთით განხორციელებულ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებში. ნოემბრის რეიტინგმა 40 პროცენტი შეადგინა და ოქტომბრის მაჩვენებელს 5 პროცენტით გაუსწრო.**




ომი ერაყში კვლავ რჩება თეთრი სახლის მეთაურის რეიტინგის ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი: იმ გამოკითხულ ამერიკელთა 53 პროცენტზე მეტმა, რომლებიც არ იწონებენ პრეზიდენტის საქმიანობას, აღნიშნეს, რომ სახელმწიფოს მეთაურის რეიტინგის დაქვეითების მთავარი მიზეზია შეიარაღებული მოქმედება ერაყში. გაიზარდა ასევე იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც მხარს უჭერენ ჯორჯ ბუშის ეკონომიკურ პოლიტიკას — 38 პროცენტი (ოქტომბერში ეს მაჩვენებელი 34 პროცენტს შეადგენდა).

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა პირველად აღიარა, რომ „ერაყში დაშვებული იყო შეცდომები, თუმცა განაცხადა, რომ ამ ქვეყნიდან ამერიკელთა ჯარების სწრაფი გამოყვანა არ მოხდება.

ვაშინგტონში მან წარმოთქვა სიტყვა მნიშვნელოვანი არჩევნების წინ, რომლებიც ერაყში უნდა გაიმართოს ზუსტად ერთი კვირის შემდეგ. ბუშის ამ გამოსვლათა სერიას მეთვალყურეები მიიჩნევენ, როგორც ამომრჩეველთა ნდობის და ოდესღაც მაღალი რეიტინგის დაბრუნების მცდელობას.

პრეზიდენტის თქმით, მართალია, ერაყის რეკონსტრუქციის საქმეში შეერთებული შტატების მიერ გაწეული დახმარების შედეგები ვერ შეესაბამება ამერიკელთა მიერ გაღებულ ძალისხმევას, მაგრამ ეს მაინც გამართლებულია, რასაც კონკრეტული მონაცემებიც ამტკიცებენ.

განაცხადა რა, რომ ერაყის ეკონომიკა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა სადამ ჰუსეინის მმართველობამ, პრეზიდენტმა აღნიშნა: „დიქტატორის მიერ გაპარტახებული ქვეყნის აღდგენა დიდი თაოსნობაა. ამ მიზნის მიღწევას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ტერორისტები ცდილობენ ყოველივე იმის აფეთქებას, რაც ერაყელებმა ააშენეს ამ ბოლო ხანებში“.

ბუშის თქმით, შეერთებული შტატები დაეხმარა ერაყს 3 ათასი სკოლის გარემონტებაში, მონაწილეობდა 30 ათასი მასწავლებლის მომზადებაში, მოსწავლეებს შორის გაანაწილა 8 მილიონი სახელმძღვანელო და ხელი შეუწყო საირიგაციო სისტემების აღდგენას, რომლებიც სასმელი წყლით უზრუნველყოფენ სამ მილიონ ერაყელს.

# არჩევნები ეგვიპტეში შეტაკებებით დასრულდა

**ეგვიპტეში პარლამენტის არჩევნების ბოლო ტურის დროს პოლიციასა და ოპოზიციის მომხრეებს შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად დაიღუპა ექვსი კაცი.**

შეტაკებები ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ დამიეტაში მოხდა მას შემდეგ, რაც უშიშროების ძალებმა სცადეს არ შეეშვათ საარჩევნო უბნებში აკრძალული დაჯგუფების „მუსლიმანი ძმების“ მომხრეები.




სხვა საარჩევნო უბნებში პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები.

ოთხშაბათს არჩევნების დასკვნითი ტური უნდა გამართულიყო ეგვიპტის 127 ოლქში. წინა ტურების შედეგების მიხედვით მთავარ ოპოზიციას პარლამენტში წარმოადგენს აკრძალული ოპოზიციური ისლამური დაჯგუფების „მუსლიმანი ძმების“ მომხრეები.

რადგან ამ დაჯგუფებას არა აქვს არჩევნებში უშუალო მონაწილეობის უფლება, მისი მომხრეები კენჭს იყრიდნენ როგორც დამოუკიდებელი კანდიდატები, და არჩევნებში მათ დიდ წარმატებას მიაღწიეს.

წინა ტურების შედეგების მიხედვით „მუსლიმანი ძმების“ მხარდამჭერმა კანდიდატებმა პარლამენტში 454 ადგილიდან მოიპოვეს 76 (18 პროცენტი). ეს ხუთჯერ აღემატება ადგილების იმ რაოდენობას, რომელიც დაჯგუფებას ჰქონდა წინა მოწვევის პარლამენტში.

დაჯგუფების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ არჩევნების წინ დააკავეს „მუსლიმანი ძმების“ 1400 წევრი, რომელთაგან მრავალი მონაწილეობდა წინასაარჩევნო კამპანიაში.

1 დეკემბერს გამართული წინა ტურის დროსაც ეგვიპტის პოლიციამ განახორციელა ზოგიერთი საარჩევნო უბნის ბლოკირება და ცდილობდა არ შეეშვა იქ აკრძალული დაჯგუფების მომხრეები. ყოველივე ამის შედეგად მაშინაც მოხდა შეტაკება ოპოზიციონერებსა და პოლიციელებს შორის.

# იაპონიამ გაახანგრძლივა ერაყში თავისი ჯარების ყოფნის ვადა

**იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა ხუთშაბათს ოფიციალურად მოიწონა გადაწყვეტილება ერაყში ამ ქვეყნის თავდაცვის ძალების მისიის ყოფნის ვადის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების შესახებ.**

ამავე დროს არ არის გამორიცხული, რომ იაპონელთა ძირითადი კონტინგენტი ერაყიდან შეიძლება უკვე მომავალი წლის ზაფხულისთვის გამოიყვანონ.

„კარგია, რომ მთავრობა პასუხისგებით მოეკიდა თავდაცვის ძალების გამოყვანის პოლიტიკას“, — განაცხადა კომეიტოს პარტიის ლიდერმა ტაკენორი კანძაკიმ. მან აღნიშნა, რომ ვითარება ერაყში შეიძლება შეიცვალოს მას შემდეგ, რაც მომავალი წლის მარტში ავსტრალია და დიდი ბრიტანეთი დაიწყებენ ამ ქვეყნიდან თავიანთი ჯარების გამოყვანას.

ერაყში იაპონიის თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეთა მისიას მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო ხასიათი აქვს, რაც არ ეწინააღმდეგება იაპონიის პაციფისტურ კონსტიტუციას, რომელიც ქვეყანას უკრძალავს საზღვარგარეთ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას. იაპონელები მსახურობენ ეგრეთ წოდებულ „არასაბრძოლო რაიონებში“ და მონაწილეობენ აღდგენით სამუშაოებში, აგრეთვე, სამედიცინო დახმარების გაწევაში.

600 კაცისგან შემდგარი იაპონიის საჯარისო კონტინგენტი განლაგებულია სამხრეთ ერაყის მუთჰანის პროვინციის ქალაქ ეს-სამავაში.

ერაყში იაპონიის თავდაცვის ძალების ყოფნის ამჟამინდელი ვადა იწურება 2005 წლის 14 დეკემბერს.




# მოკლედ



**ნორვეგიამ 750 ათასი დოლარი გამოუყო პალესტინის ავტონომიას უშიშროების ძალების რეფორმისთვის. პალესტინის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მოაწერა ხელი შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ნორვეგიის მთავრობა მხარს დაუჭერს „სამოქალაქო პოლიციის“ განვითარების პროექტს. ეს პროექტი არის პალესტინის უშიშროების ძალების რეფორმაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების დახმარების გაწევის შესახებ შეთანხმებათა პაკეტის ნაწილი.**

* * *

**ხუთშაბათს ყირგიზეთის დედაქალაქის სახელმწიფო ავტოინსპექციის მთელმა პირადმა შემადგენლობამ გამოაცხადა გაფიცვა და არ გასულა სამუშაოდ. ბიშკეკის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსისადმი გაგზავნილ წერილობით მიმართვაში 169 თანამშრომელი ამტკიცებს, რომ მათი ხელმძღვანელი მონაწილეობდა მთელ რიგ კორუფციულ გარიგებებში.**



* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მოითხოვს, რომ დაკავებული რუსული თბომავალი „ტერნეი“ შევიდეს ჩრდილოეთ კორეის ერთ-ერთ ნავსადგურში. მხოლოდ ამ მოთხოვნის**



**შესრულების შემდეგ დართავენ რუს დიპლომატებს გემზე ასვლის და მის ეკიპაჟთან შეხვედრის უფლებას. ამჟამად ხომალდზე იმყოფება რვა სამხრეთკორეელი მესაზღვრე, რომელთაგან ორი ავტომატებითაა შეიარაღებული.**

* * *

**2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ტერორისტები უფრო გონივრულად მოქმედებენ და უნარიანად იყენებენ ინტერნეტს თავიანთი მიზნების მისაღწევად. „მაგრამ მე არ მაქვს ინფორმაცია ამერიკის შეერთებულ შტატებზე რა-**



**იმე მნიშვნელოვანი ელექტრონული შეტევის მომზადების შესახებ“, — განაცხადა გამოძიების ფედერალური ბიუროს საკომპიუტერო სფეროში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების ხელმძღვანელმა ლუ რიგელმა.**

* * *




**რუსეთის მოქალაქეები მოხვდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ძებნილ ყველაზე საშიშ ეჭვმიტანილთა სიაში. ერთ-ერთი ძებნილი ალექსეი ვოზიანოვი ეჭვმიტანილია იმაში, რომ იგი ინტერნეტის გამოყენებით ეწეოდა თაღლითობას. ეს ადამიანი ქსელში რამდენიმე ფსევდონიმით სარგებლობდა და სთხოვდა თავის „მსხვერპლთ“, მიწოდებული საქონლისთვის ფულადი სახსრები გადაეგზავნათ ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონის ერთ-ერთ მისამართზე.**

* * *

**80 წლის მარგარეტ ტეტჩერი, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობას ედგა სათავეში 1979-1990 წლებში, საავადმყოფოში მოათავსეს მას შემდეგ, რაც იგრძნო სისუსტე საპარიკმახეროში ყოფნის დროს. „რკინის ლედი“ მიიყვანეს ლონდონის „ჩელსი ენდ ვესტვინსტერის“ ჰოსპიტალში.**

## ◎ რეგიონებში ფხიზლობენ

# რად არ ეცინება ბახუსს

### იმ „სამარესთან“ არავინ მივა...

**რამდენიმე** კვირის წინათ ფინანსურმა პოლიციამ ფირმა „პოპულის“ მაღაზიათა ქსელი დალუქა. გამოძიება საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის საკითხს იკვლევდა, თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა „პოპულის“ მაღაზიები ვადაგასული და უაქციზო საქონლითაც ვაჭრობდნენ. შედეგად, მაღაზიებიდან ამოიღეს დიდი ოდენობით ათზე მეტი მარკის ლუდი, მრავალი დასახელების ძეხვი და იოგურტი. აღნიშნული პროდუქციის იმპორტს ფირმა თავად აწარმოებდა.

ამოღებული უვარგისი და უაქციზო საქონელი, რომლის საერთო წონამ ოთხი ტონა შეადგინა, თბილისის მახლობლად, იაღლუჯაზე სპეციალურ სამარხში ჩამარხეს.

### როცა კაცს ბახუსი უწყრება...

**ახალციხეში**, გელა გულიაშვილის საცხოვრებელ სახლში, საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, კუსტარულად მოწყობილი ალკოჰოლიანი სასმელების ჩამოსასხმელი საწარმო აღმოაჩინეს. თურმე გ. გულიაშვილი უნებართვოდ ასხამდა ფალსიფიცირებულ კონიაკ „თბილისურს“, შამპანურ „ბაგრატიონს“ და სხვ. ჩხრეკისას ამოიღეს სხვადასხვა კომპანიის, მათ შორის, „სამგორი-ალკოსა“ და „გომის“ ეტიკეტები და თავსახურავები, ასევე ნაირ-ნაირი ლიქიორების დასამზადებელი ესენციები. პოლიციამ გამოძიება დაიწყო.

### ვის „იავა“ უყვარს, ვის კიდევ მისით მიღებული ფული

**მიუხედავად** იმისა, რომ ფინანსური პოლიცია მრავალი სახეობის ეკონომიკურ დანაშაულს იკვლევს, არსებობის არცთუ დიდი ხნის მანძილზე უკვე გაჩნდა, ასე ვთქვათ, გარკვეულწილად „მარადიული თემები“. უპირველეს ყოვლისა ესაა აღურიცხავი პროდუქციისა და უაქციზო (უმთავრესად თამბაქოს) საქონლის უკანონო ბრუნვა.

კერძოდ, ქვემო ქართლის სამმართველოს მუშაკებმა ცისანა კიკვაძე და კანვოი ნაიბოვი მაშინ დააკავეს, როცა 4 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდათ; შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა კი გიორგი ბატაშური და ლევან მელაძე ამავე „საქმეზე“ დააკავეს; სამეგრელოს სამმართველოში კი, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სოფელ რუხთან დავით შენგელია და ვახტანგ ძაძანია მიიყვანეს, რომლებსაც 2 ათასი კოლოფი სიგარეტი გადაჰქონდათ; იმერეთში, როგორც ჩანს, დიდად პოპულარულია „იავას“ მარკის უაქციზო სიგარეტი, ვინაიდან აქაური სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს დავით რუსაძე, რომელსაც 4500 კოლოფი გადაჰქონდა, პაატა ტაბატაძე (1970 კოლოფი) და მამუკა გუმბერიძე (5900 კოლოფი). საქონელი ქუთაისიდან სარეალიზაციოდ გაჰქონდათ, ხოლო თუ სად და როგორ, ამას გამოძიება დაადგენს.

აღურიცხავ საქონელს კი პრაქტიკულად ყოველ ცისმარე დღესა და კუნაპეტ ღამეს ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლები აკავებენ. ახლაც სამი დიდი სატვირთო ავტომანქანა, დატვირთული სამრეწველო პროდუქციით, ტერმინალშია შეყვანილი. ჯარიმის ოდენობის განსასაზღვრად ტარდება ექსპერტიზა.

**ქვემო ქართლის** სოფელ სადახლოში რკინიგზის სადგურში რეგიონის სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერაცია ჩაატარეს. როგორც ცნობილია, სადახლოს საბაჟო-გამტარი პუნქტის მებაჟეთა ცვლა დანაშაულის ფაქტზე ცოტა ხნის წინათ დააკავეს. იმ დღეს კი სადახლოში უკვე ახალი მებაჟეები ერევნიდან თბილისში მიმავალ მატარებელს ამოწმებდნენ. ფინანსურმა პოლიციამ შემოწმებაც სწორედ ამ დროს დაიწყო. შედეგად, მატარებლის სამალავებში აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით სასურსათო და სამრეწველო საქონელი, მათ შორის ძეხვეული, ყავა, თევზი, კონიაკი, ჭურჭელი და სხვ.

კონტრაბანდული წესით გადმოტანილი საქონელი პოლიციამ, ცხადია, ამოიღო და ახლა მას ექსპერტიზა უტარდება.

**ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

ერთად თავმოყრილი

# წასაკითხად არასახიფათოა!..

***ამ წიგნის შესახებ პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ ასეთი აზრი გამოთქვა: ეს ჩანაწერები საფუძველს ხომ არ ჩაუყრის სრულიად ახალ მიმდინარეობასო. გაზეთ „თბილისის" რედაქტორის იოსებ ჭუმბურიძის „სახიფათო ჩანაწერები" გაზეთის ფურცლებზე პერიოდულად იბეჭდებოდა, ერთად თავმოყრილის, წიგნად შეკრულის (გამომცემლობა „ინტელექტი") წარდგინება კი, ახლახან, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სალონში გაიმართა.***

***მოკლედ გაგაცნობთ ზოგიერთი გამომსვლელის აზრს.***

**როსტომ ჩხეი□ე:**
იოსებ ჭუმბურიძე ის ჟურნალისტია, რომელიც თავისი წერის მანერით, სიღრმით, ზნეობრივი პოზიციით ბევრ რამეს განსაზღვრავს ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში. სახელწოდება „სახიფათო ჩანაწერები" მხოლოდ მეტაფორა არ არის, ამ გაბედული პოზიციის გამო მას თავსაც დაესხნენ, ამიტომ სახიფათოობა პირდაპირაც უნდა აღვიქვათ. ეს ჩანაწერები, ერთად თავმოყრილი, სულ სხვა შთაბეჭდილებას ჰქმნის — რომ გაუძლო დროს, რომ აქვს ის ღირებულება, გარეკანში მოექცეს და ახალი სიცოცხლე დაიწყოს... და ისევ მახსენდება თამაზ ბიბილურის აზრი, რომლითაც ის უპირისპირდებოდა მოარულ გამოთქმას, თითქოს, გაზეთი მხოლოდ ერთი დღისაა. ბატონი თამაზი ამბობდა, რომ „ერთი დღის" არის კონიუნქტურული პრესა, ნამდვილი გაზეთი კი არ შემოისაზღვრება კონკრეტული დროით.

ეს ჩანაწერები ეხება თითქმის ყველა მტკივნეულ პრობლემას ჩვენი დღევანდელობისა და ყურადღებას იპყრობს გაბედულებით, გაბედულებაა, როცა არ უფრთხი პოლიტიკურ კონიუნქტურას, არც ლიტერატურულ კონიუნქტურას (პოლიტიკურზე უარესი რომ მგონია)... და, ბოლოს და ბოლოს, არ გეშინია საკუთარი თავის...

ფორმა ამ წერილებისა ორიგინალურია — პატარ-პატარა ჩანაწერები, დატვირთული სათქმელით. და ეს ყველაფერი ისეთი ფორმითაა გადმოცემული, რომ მხატვრულ-დოკუმენტურ პროზად წარმოგვიდგება.




**ვახტანგ დავითაია:**
მე ამ ყველაფერს ზნეობის პუბლიცისტიკას დავარქმევდი. იცით, ვფიქრობ, რომ მხოლოდ პუბლიცისტობა, პროფესიონალიზმი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ღირებული წერილი დაწერო, თუ შინაგანად პოეტიც არა ხარ, კარგ ნაწარმოებს ვერ შექმნი. ეს, საერთოდ, ასეა შემოქმედების ნებისმიერ სფეროში. იოსებ ჭუმბურიძე ის ჟურნალისტია, რომელსაც ეს სამივე თვისება აქვს. გარდა ამისა, იგი მრწამსის კაცია. გამოხატავს თავის პოზიციას და არ ფიქრობს იმაზე, არგებს თუ აწყენს ეს მის პირად მდგომარეობას. ალბათ, ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა კაცი მართალი ხარ საზოგადოების, ქვეყნის და, რაც მთავარია, საკუთარი თავის წინაშე. ხანდახან ვფიქრობ, რომ ის ცოტა დონკიხოტურიც არის, რადგან იმ დროის, იმ გარემოს მიღმა ამჯობინებს ცხოვრებას, რომელშიც ვარსებობთ.

**ნათელა არველა□ე:**
მე ბატონ იოსებს იმ ქართველ გლეხკაცს შევადარებდი, წელიწადში 35-ჯერ რომ უნდა ჩაიმუხლოს ყოველ ვაზთან, რათა კარგი ღვინო დააყენოს. ასე ჩაიმუხლებს ხოლმე ისიც ყოველ ფრაზასთან, რომ ის აზრი მოგვაწოდოს, რომლის გაცნობის შემდეგაც, გონება გაგვინათდება, ბურუსი გაიფანტება...

რენუარისთვის უკითხავთ: რა არის მთავარი შემოქმედებაში — რა თუ როგორ? მას უპასუხია: ვინ! ჟურნალისტიკაში სამივე მნიშვნელოვანია — რა, როგორ და ვინ უნდა თქვას.

ეს წიგნი ამ ყველაფრის კარგი ნიმუშია.

**რევაზ სირა□ე:**
— **მახსენდება** ორი დიდი მწერლის შეპასუხება, ერთმა მეორეს რომ უთხრა: დრო რომ მქონოდა, უფრო მოკლედ მოგწერდიო. ასე წერას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება, ბევრი უნდა იფიქრო, რომ მკითხველს ასე ლაკონიურად და ღრმად გააზრებულად მიაწოდო მნიშვნელოვანი სათქმელი. დღეს, როცა მთელი ქვეყანა ენად გაიკრიფა, სოსო ჭუმბურიძე ამ ფორმით უფრთხილდება ენას და თავის მკითხველს...

ჩანაწერები გამოირჩევა ენობრივ-აზრობრივი კულტურით, აქ ითქვა: ისე სადად წერს, ისე უბრალოდ ამბობს სათქმელს, სტილი არ იგრძნობაო. სწორედ, ეს არის ენობრივი დარბაისლობა.

**გიორგი გოგოლაშვილი:**
ეს ჩანაწერები სახიფათოა არა მხოლოდ ავტორისთვის, მკითხველისთვის, რადგან დღესაც არიან ადამიანები, ვინც იმას აკვირდებიან, თუ ვინ რას კითხულობს. ამ ჩანაწერებში, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ნაკადი, განათლების სფეროს რომ ეხება. მინდა, ავტორს მადლობა ვუთხრა გონივრული, მახვილი ფორმის, მართალი პოზიციის თუ არისტოკრატიული ირონიისათვის, ვნატრობ იმ დროს, როცა ასეთი კრიტიკული წერილები სახიფათო იქნება ადრესატისათვის.

**ლევან ბრეგა□ე:**
მე თუ მკითხავთ, ამ წიგნის ქებაც სახიფათოა. ეს ნიშნავს, რომ ხელახლა გავაკრიტიკოთ ის მოვლენები, დავეთანხმოთ ამ წერილების ავტორს და დავადასტუროთ მისი ნათქვამი. წიგნი, კი უთუოდ, იმსახურებს ქებას, საერთოდ, როცა ვინმეს აკრიტიკებ, ვრცელი წერილით, უხვსიტყვაობით, ისე ვერ მოქმედებ მასზე, როგორც ასეთი მოკლედ ნათქვამით. ალბათ, იმიტომ, რომ ის „პუბლიცისტური შხამი" ვრცლად ნაწერში გაფანტულია, პატარაში კი უფრო კონცენტრირებულია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ რაც უფრო მოკლეა კრიტიკული ჩანაწერი, მით უფრო სახიფათოა (განსაკუთრებით ადრესატისათვის). ამ წიგნში სწორედ ასეთი სახიფათო წერილებია თავმოყრილი.

**ცისანა გენ□ეხა□ე:**
ეს მხოლოდ ჟურნალისტური ჩანაწერები არ არის. მე ლიტერატურათმცოდნე ვარ და მინდა, სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ ეს მწერლობაა. ჩვენ ამ წიგნით მეტად საინტერესო ჟანრს შევეხეთ. საერთოდ, ჟანრის აქტუალურობას დრო განსაზღვრავს. იყო პერიოდი, როცა წინა პლანზე წამოვიდა, ვთქვათ, ომის თემაზე დაწერილი ნარკვევი და რომანი დაიჩრდილა; ისეთი დროც იყო, პოეზიამ რომ გადმოინაცვლა წინ. დღეს კი, პრობლემებით დატვირთული დროის დეფიციტის, ყოფიერი ქაოსის პერიოდში, ასეთ მინიატურებსა და ესკიზებს უფრო მეტი დატვირთვა აქვს.

მინდა, ამ ჩანაწერების ავტორს მივმართო: არაფერია საშიში, როცა ასეთი ეროვნული ცნობიერებით, ასეთი სიყვარულით ცხოვრობ.

**ჩაიწერა**
**ეკა ბუჯიაშვილმა**

რაც არ გვქონია

# გადასადგმელია კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი

**ახლახან მკითხველმა მიიღო 822-გვერდიანი მეტად საჭირო ნაშრომი — ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი (ავტორ-შემდგენლები: ავთანდილ სილაგაძე, გივი გოშაძე, ვლადიმერ ზურაბიშვილი, თენგიზ დემეტრაშვილი, თამარ ათანელიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. ავთანდილ სილაგაძის საერთო რედაქციით).**

ლექსიკონში განხილულია დაახლოებით 10 000 ცნება და მეტნაკლებად ეხება ეკონომიკის თითქმის ყველა მიმართულებას, იგი ადამიანის ეკონომიკური ცოდნისა და პრაქტიკის ყველა სფეროს მოიცავს და პრაქტიკულად უნივერსალური ცნობარის როლს ასრულებს.

ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ლექსიკონის თეორიულ-მეთოდოლოგიური ინფორმაციულობის დონეს, რომელიც გლობალური აზროვნებისა და კონკრეტული მოქმედების დამკვიდრების, ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობებს განსაზღვრავს. რაც მთავარია, დახასიათებულია ეკონომიკური თეორიის ყველა ძირითადი მიმართულება, ასევე, ყურადღებას იპყრობს კონკრეტული, გამოყენებითი ხასიათის თეორიების, მეურნეობრიობის მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესახებ ძალიან ფართო სპექტრის განხილვა.

ფართოდაა განხილული ბოლო ათწლეულის უახლესი პრობლემები, მათ შორის თეორიული და მენეჯმენტური მიღწევები, ადამიანისეული კაპიტალი, ვენჩერული კაპიტალი, გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებანი, შოკური თერაპიის, გრადუალიზმის ცნებები. ლექსიკონი განსაკუთრებით ფასეულია იმით, რომ იგი იძლევა ფრიად საინტერესო ინფორმაციას ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატების თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მიღწევების შესახებ, რაც უახლოეს მომავალში ეკონომიკური




აზროვნების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს გვიჩვენებს.

აღსანიშნავია, რომ ლექსიკონი არ ჰგავს არც უცხოურ და არც ქართულ უშუალო წინამორბედს, გამოირჩევა ორიგინალურობით, შინაარსობრივი დატვირთვით, მასში ხომ ქართველი სწავლული ეკონომისტების გალერეაც არის წარმოდგენილი, ასევე შეტანილია ისეთი არაეკონომიკური ტერმინებიც, რომლებიც ხშირად გამოიყენება ეკონომიკურ ლიტერატურაში. ლექსიკონი დაწერილია არა მხოლოდ ქართულ, არამედ ინგლისურ, გერმანულ, რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, რამაც ავტორებს საშუალება მისცა, ეკონომიკური ცნებების მაქსიმალურად ზუსტი განმარტებები მოეცათ.

ლექსიკონის მთავარი ფასეულობა ის არის, რომ იგი ამ ეტაპზე ეკონომიკაში გამთლიანებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დაუფლების ფრიად წარმატებული ცდაა.

ინფორმაციულობის მაღალი დონე განაპირობებს იმას, რომ ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი მნიშვნელოვნად დაეხმარება მეცნიერ-ეკონომისტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ეკონომიკური პროფილის სტუდენტებს, ასპირანტებსა და ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ყველა სხვა მკითხველს.

და მაინც, ორიოდე შენიშვნაც: 1. წიგნში დაშვებულია რამდენიმე დასანანი ტექნიკური თუ კორექტურული ხასიათის შეცდომა, რაც მცდარად წარმოაჩენს ამა თუ იმ რეალობას; 2. გამონაკლისის სახით შეიძლებოდა „სტანდარტების" დარღვევა და ყველაზე გამოჩენილი ქართველი ეკონომისტებისთვის მეტი სივრცის დათმობა, ვინემ რიგითი მოკვდავებისთვის; 3. ალბათ, უკეთესი იქნებოდა წიგნს ერქვას „ენციკლოპედიური ეკონომიკური ლექსიკონი".

ბოლოს კი ერთი სურვილიც: გადასადგმელია კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი — დაგროვილი გამოცდილებისა და ყველა წამყვანი სპეციალისტის ჩართვით უნდა შეიქმნას მრავალტომიანი „ქართული ეკონომიკური ენციკლოპედია".

**რევაზ გოგოხია,**
**თამაზ ჩიკვაიძე,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები.**

მებრძოლი სიტყვა

# საკირე, სადაც ცოდვები იხანძრება

## სერგი საჯაიას „შეგინებულ სარეცელთა ბოლმა"

**ცნობილი აფხაზეთელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სერგი საჯაიას მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი „შეგინებულ სარეცელთა ბოლმა" ორიოდე თვის წინათ მიიღო მკითხველმა (თბილისი, 2005 წელი, ი/მ ფირმა „ლიკა", რედაქტორი თემურ ქორიძე). ეს წიგნი მორიგი ცდაა XX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრების ყველაზე ტრაგიკული ფურცლის — აფხაზეთის საომარი ავანტიურის მიუკერძოებელი და უშეღავათო გაანალიზება-შეფასებისა.**

ავტორს კარგადა აქვს გასიგრძეგანებული ის ფაქტი, რომ აფხაზეთის პრობლემა სცილდება როგორც ქართულ-აფსუურ ურთიერთობათა, ასევე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ჩარჩოებს და იგი მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, როცა რუსეთი იბრძვის კავკასიაში საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად, ხოლო დასავლეთი — თავად ცდილობს აქ ფეხის მოკიდებას და საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოებას. გულისტკივილით საუბრობს საქართველოში ასრებულ ძალთა პოზიციებზე, ურთიერთქიშპობასა და დაპირისპირებაზე.

სავსებით გასაზიარებელია მწერლის გულისთქმა, რომ ბევრმა ვერ გაიცნობიერა სახელმწიფო ინტერესების უზენაესობა, რითაც ხელი შეუშალა საქართველოს მოსახლეობას, ერთ მუშტად შეკრული შეხვედროდა განსაცდელს, რათა თავიდან აგვეცილებინა აფხაზეთის ტრაგედია. ძალაუფლებისათვის ბრძოლამ, კლანურმა ამბიციებმა ხელი შეუწყო გარეშე მტრის მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას, რაც საბოლოოდ საქართველოს ძირძველი მიწაწყლის ექსპანსიით დასრულდა. ავტორი ხაზგასმით მიგვანიშნებს „მურმანობის" საფრთხეზე: ზნეობრივი ორიენტირების დაკარგვისას ადამიანებს არ გაეგებათ, თუ რას სჩადიან; არ სურთ გაიაზრონ, თუ რა შედეგი მოჰყვება მათ ქმედებას; საყოველთაო დაბნეულობაში იკარგება საერთო მიზანი და ადამიანებიც ინთქმებიან მოვლენათა ქაოსში.

მწერალი „მურმანობის" საფრთხის აცილების მხოლოდ ერთ ჭეშმარიტ გზაზე მიანიშნებს: „ღვთისგანდობა და ღვთისწვდომა სვლაგეზია თვითგანწმენდისაკენ, კვლავაღდგომის წინ საალსარებოდ ადამიანს შინაგანი „წუთშესვენება" სჭირდება: გარინდებაში თვითწვდომა ზეშთაგონების ნიჭია" (გვ. 12). აქვე შევნიშნავ, რომ წიგნის ცალკეულ თავებს უმეტესწილად ფსალმუნებიდან, ახალი აღთქმიდან, წმინდა წერილებიდან მოხმობილი სიტყვები გასდევს ეპიგრაფად. ეს არ არის შემთხვევითი. ეს მწერლის შინაგანი რწმენიდან მოდის, კერძოდ კი, მისი ხედვით ადამიანთა მიწიერი მოვალეობაა მარტოობის (ულვთისმშობლობის) ხატისკენ გზის გაგნება; იგი იმდენადაა ბედნიერი, თუ რამდენად სძლია პირადში ულვთისმშობლობას (უსამშობლობას), ე.ი. რამდენად შეინარჩუნა ვინაობა და ეროვნული მეხსიერება (გვ. 14):

ანდა მეორე პასაჟი, სადაც ავტორი მსჯელობს თაობის ისტორიულ პასუხისმგებლობაზე უფლის, სამშობლოსა და ერის წინაშე: „თავგანწირვა იდეისთვის — ყოველთვის არ ნიშნავს, რომ თავი სიმართლისთვის დაიდო. სიმართლე არის **წმინდა წერილთან** შეჯერებული შინაარსი (გვ. 44).

მწერალს აფიქრებს ის საფრთხე, რაც საკუთარი კერიდან მოწყვეტილ ადამიანებს ემუქრებათ: „უსამშობლოდ ცხოვრების წესი მიზნობრივად ანაგვიანებს წარმოდგენებს მამრისა და მდედრის რაობაზე" (გვ. 30), ასეთ პირობებში მამაკაცი კარგავს თავის ფუნქციას და ქალზე გადადის ოჯახის რჩენის სიმძიმე, რაც მამაკაცისთვის შეურაცხმყოფელია.

სერგი საჯაიას წიგნში გადაჯაჭვულია ლიტერატურა და პოლიტიკა, ფსიქოლოგია და ეკონომიკური ყოფა. მწერალს აღელვებს ადამიანთა ბუნების ორმაგობა და კონტრასტულობა; აოცებს, თუ რა ემართება ადამიანს, ოთარ ჭილაძისა არ იყოს, „რა შეაყოლა ღმერთმა ტალახს ამისთანა მოურჩენელი" („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან"). მოტანილია მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის განსაკუთრებული სისასტიკით წამების, გაჟლეტის ფაქტები. მაგრამ ომმა არ იცის ეროვნება. მკითხველი გულისტკივილით მიადევნებს თვალს ეპისტოლარულ ჩანართებს მოხუცი ქალბატონისა, დიდედით აფსუასი. ამპარების შთამომავლისა — თავისი შვილებისადმი. ამ ქალბატონმა ვერ მიატოვა ნაჯაფარი ოჯახი ენგურს გაღმა, რასაც საბოლოოდ ემსხვერპლა. იგი ცოცხლად ამოწვეს საკუთარ სახლში. ბატონ სერგის გულისტკივილი ჩანს იმ აფხაზი




ვაჟკაცების ტრაგიკული აღსასრულის შესახებ თხრობისას, რომელთაც სამერმისოდ ქართველი და აფსუა ხალხის ერთად ცხოვრება ესახებოდათ. მწერალი არ იფარგლება მხოლოდ ტრაგიკული ფაქტების კონსტატაციით, ცდილობს სამომავლო გზების განსაზღვრას, სჯერა, რომ აფხაზეთის კონფლიქტში აფსუა სეპარატისტთა პოლიტიკას არ იზიარებს მთელი აფსუა ხალხი. აფსუა ხალხს (ისევე, როგორც აფხაზეთის ტერიტორიიდან იარაღით განდევნილ ქართველებს) ამ ომმა არ მოუტანა არც თავისუფლება („თავისუფალი აფხაზეთი" ლამისაა რუსეთის ერთ-ერთი გუბერნიად იქცეს), არც ეკონომიკური კეთილდღეობა. ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ასაფუძვლიანებს ავტორის რეტროსპექტული ჩანართები ახალგაზრდობის ჟამს გუდაუთის რაიონში მისი მეგობრის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე და ჭეშმარიტად აფსუა ოჯახში შვილის უფლებებით ცხოვრების შესახებ.

ბატონმა სერგიმ კარგად იცის, რომ აფხაზეთის ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ძირძველი ტერიტორიის გასხვისება „ჩვენი სახელმწიფოს მოსპობისა და ქართველი ხალხის, როგორც ერის გადაშენების დასაწყისია" (აკაკი ბაქრაძე, „დაწუნებული გზა"). დღეს, ფასეულობათა გადაფასების ჟამს, აუცილებელია ერთი მხრივ, აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებით მოვლენების პირუთვნელი განსჯა და მეორე მხრივ, იმ ნიშანსვეტის მონიშვნა, რომელიც ერთგვარ ორიენტირად იქცევა ქართველი და აფსუა ხალხის სამომავლო ურთიერთობებისთვის.

მწერლის ღრმა რწმენით, „აფხაზეთის სახალხო ცხოვრების სახლიკაცური წესი გულისხმობს მორდუობისა და ძუძუმტეობის აღორძინებას. ეს საკითხის ზნეობრივი მხარეა. რაც შეეხება პოლიტიკურ-სამართლებრივს — ცხუმ-აფხაზეთის არსობრივი შინაარსიდან გამომდინარე, აფხაზეთი უნდა იყოს ქართველთა (ე.ი. აფხაზთა) და აფსუათა შიდა ფედერაციის საგანი — უნიტარულ ქართულ სახელმწიფოში.

და ბოლოს, სერგი საჯაიას წიგნმა შეიძლება სულიერი წონასწორობა დაურღვიოს ქართული საზოგადოების იმ ნაწილს, რომელშიც თავი იჩინა პასიურობის, უნებისყოფობის, მონური მორჩილების სინდრომმა. იგი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, არ შეიძლება დანებდე აპათიის დამღუპველ სენს; რომ ძნელბედობის ჟამს საზოგადოებას მხოლოდ ზნეობრივი ფასეულობები გადაარჩენს; უპირველესად — „ღვთისწყალობა — („მამულში ფეხშიშველი გავლა") არის ის „საკირე" (ცეცხლი), რომელშიც ცოდვები იხანძრება და გამოიდნობა სულის თავანკარობა".

**მარიამ მირესაშვილი,**
**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი.**

სიკვდილი — ქილაში

# სანამ კონსერვს გავხსნიდეთ

**ბოტულიზმი უმძიმესი დაავადებაა, რომელიც ინტოქსიკაციით (მოშხამვით) და ნერვული სისტემის დაზიანებით მიმდინარეობს. ეს სასიკვდილო საფრთხე ხშირად ჩვენსავე საკუჭნაოში იმალება. საქართველოში ბოტულიზმით ავადობის შემთხვევებმა მკვეთრად მოიმატა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც ფართოდ დამკვიდრდა ოჯახურ პირობებში ბოსტნეული პროდუქტების (დანდური, ბადრიჯანი, მწვანე ლობიო, პომიდორი, კიტრი, წიწაკა, სტაფილო, სოკო) და ხილის დაკონსერვება. აგრეთვე კუსტარული წესით შებოლილი თევზისა და ხორცის დამზადება.**

ქვეყანაში პერიოდულად აღინიშნება ბოტულიზმის დაავადების ცალკეული თუ ჯგუფური შემთხვევები, რაც უმეტესწილად კუსტარულად დამზადებული სათალის, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების მოხმარებასთან არის დაკავშირებული.

**რა არის ბოტულიზმი?** ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერია (კლოსტრიდია) ცხოველებისა და თევზების ნაწლავებში ბინადრობს. გარემოში (ნიადაგში) მოხვედრისას წარმოქმნის სპორებს, და ჩვეულებრივ, ნიადაგის მიკროფლორის წარმომადგენელია. ნიადაგთან ერთად საკვებზე მოხვედრის შემთხვევაში სპორა გარდაიქმნება ვეგეტაციურ (ცხოველყოფილ) ფორმად, პროდუქტში მრავლდება და წარმოქმნის შხამს, რომელიც საკვებში გროვდება. სპორები შეიძლება მოხვდეს ადამიანის ორგანიზმში და ბოტულიზმი არ განვითარდეს. მაგრამ, საკმარისია სპორა აღმოჩნდეს უჟანგბადო არეში, რომ მისგან მაშინვე „გამოიჩეკოს" ბოტულიზმის ჩხირები და დაიწყოს სასიკვდილო შხამის გამომუშავება. ასეთი პირობები კი შეიძლება შეიქმნას ჰერმეტულად დახურულ კონსერვში, ძეხვში, შებოლილ თევზში, ლორში. სპორები ძალზე გამძლენი არიან და საათობით დუღილს უძლებენ. მათი ინაქტივიზაციისთვის საჭიროა ცელსიუსის 120 გრადუსზე მაღალი ტემპერატურა.

**ბოტულიზმით დაავადების კლასიკური სიმპტომებია:** მხედველობის გაორება ან დაბინდვა, მეტყველებისა და ყლაპვის გაძნელება, თვალის ქუთუთოების დამბლა, ყრუ ტკივილები მუცლის არეში, გულისრევა, თავბრუსხვევა. ბოტულიზმით ავადობის მძიმე შემთხვევის დროს შეიძლება ავადმყოფი დაიღუპოს.

დაავადება ვითარდება ტოქსინიანი პროდუქტების მიღებიდან 18-36 საათში, ეს დამოკიდებულია მიღებული ტოქსინის რაოდენობაზე და ამის მიხედვით ზოგ შემთხვევაში შესაძლოა 6 საათში ან 10 დღეშიც კი გამოვლინდეს. ყველა გამოკვეთილ და საეჭვო შემთხვევაში აუცილებელია ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია.

ბოტულიზმის გართულების დროს ავადმყოფს უვითარდება სასუნთქი გზების დამბლა. ასეთ დროს მას აუცილებლად ათავსებენ რეანიმაციის განყოფილებაში. დიაგნოზის დასმის შემდგომ სამკურნალოდ გამოიყენება ანტიტოქსიური შრატი, რომელიც აფერხებს სისხლში მოძრავ ტოქსინს, ეს ავადმყოფს იცავს მდგომარეობის გაუარესებისაგან, თუმცა მისი საბოლოო გამოჯანმრთელებისათვის მაინც რამდენიმე კვირაა საჭირო.

ყველა პირზე, რომლებმაც ბოტულიზმით დაბინძურებული საეჭვო პროდუქტი მიიღეს, აუცილებელია სამედიცინო მეთვალყურეობა 10-12 დღის განმავლობაში.

**ბოტულიზმს თავიდან ავიცილებთ:** თუ შინაურ პირობებში კონსერვების დასამზადებლად შევარჩევთ ახალ პროდუქტებს და გულმოდგინედ გავრეცხავთ (თავი შევიკავოთ ისეთი პროდუქტების ჰერმეტულად დაკონსერვებისაგან, რომელთა გარეცხვის დროს დიდია მათზე ნიადაგის უმცირესი ნაწილაკების მოხვედრის ალბათობა, მჟავე კიტრი და პომიდორი ჯობს ტრადიციულად მოუხუფავად დავამზადოთ). საკვები პროდუქტები, მათ შორის კონსერვები, შევინახოთ ცივ ადგილას. საკვებად არ გამოვიყენოთ სახურავშებერილი კონსერვები. დაკონსერვებული პროდუქტები მოხმარების წინ აუცილებლად წამოვადუღოთ ან შევწვათ 10-15 წუთის განმავლობაში. ასევე თერმულად უნდა დამუშავდეს წვრილ ნაჭრებად (სისქით არა უმეტეს 1 სანტიმეტრისა) დაჭრილი ყველა საეჭვო პროდუქტი. არ შევიძინოთ კუსტარულად დამზადებული შებოლილი თევზი (სათალი), შაშხი, ძეხვი და კონსერვები.

ახლა ზამთრის პერიოდია, დაიწყო შინაური კონსერვების გამოყენების „სეზონი". გავითვალისწინოთ რჩევები, გავუფრთხილდეთ ჩვენს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**მოამზადა**
**ბელა ლომთაძემ.**


# შპს „ენერგოქსელპროექტი"

**აცხადებს კონკურსს საზოგადოების ბალანსზე რიცხული ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქ. №2, V სართულზე განთავსებული, დროებით თავისუფალი 400 მ² ფართის იჯარით გაცემის თაობაზე.**

**1 კვ.მ. საწყისი საიჯარო ფასი თვეში დღგ-ის ჩათვლით 6 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.**

**საკონკურსო პირობები:**

— ფართის გაცემა იჯარით მოხდება 2008 წლამდე;

— დამქირავებელი იხდის ელენერგიისა და სხვა კომუნალურ გადასახადებს;

— დაქირავებული ფართი გამოყენებული იქნას ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

— იჯარის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს სრულად ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

— განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა კონკურსის პირობების შესრულებაზე;

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

— საზოგადოების ანგარიშზე №032467623 სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ფილიალში, კოდი 220101502 „ბეს" შეტანის ქვითარი საწყისი ფასის 20 პროცენტის ოდენობით.

— კონკურსი ჩატარდება ღია აუქციონის წესით.

მისამართი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2. ტელ: 93-43-26; 92-20-93 (10-დან 16 საათამდე).

**საკონკურსო კომისია**
**შპს „ენერგოქსელპროექტის" დირექტორი**
**გურამ ჭუმბურიძე**


## პარასკევი, 9 დეკემბერი,

**07.55** "ადრე" **10.00** სერიალი "**ანასტასია**" **11.00** დოკ. ფ. "შედევრის ბედი" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფ. "მხიარული ქალაქის პატარა კლოუნები" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "**პიტერ ბენჩლის ქმნილება**" **15.00** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "კიბერსამურაების რაზმი" **16.00** სერ. "**ძლიერი ხანძარი**" **17.00** დოკ. ფ. "ავაზები და ბოკვერები ლომების მიწაზე" **18.00** "მთავარი" **18.30** თოქ-შოუ – კონფლიქტის ზონა - გალის რაიონი **19.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "**ანასტასია**" **22.00** მსოფლიო რაგბი **22.30** მუსიკა – ქეით ჯარეტი **23.20** ფეხბურთში **2006** წლის მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრა. **01.00** მხ. ფილმი "**დღეები და ღამეები**" (12) მე-**2**ს. **02.30** საინფორმაციო გამოშვება

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ამბები ბავშვობის შესახებ" **19.40** სიცილის ოთახი **19.50** ქართული ფოლკლორი **20.00** აფხაზეთის ტელევიზია **20.40** სპექტაკლი "**დიდოსტატის მარჯვენა**"

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **10.00** სერ."**მოპარული გულები**" **11.00** სერ. "**ქარვის ამულეტი**" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** სერიალი "**გრძნობათა ტყვეობაში**" **13.30** "ჯეო-ბარი" **15.25** მულტფ."ადამიანი-ობობა" **16.00** სერ."**მოპარული გულები**" **16.40** სერ. "**მეამბოხე სული**" **18.30** პატრული **19.30** სერიალი "**გრძნობათა ტყვეობაში**" **22.00** ღამის შოუ **23.00** "ჯეო-ბარი" **00.00** მხ. ფილმი "**მოდილიანი**" (18) (ენდი გარსია) **02.30** პატრული **02.50** მხ. ფილმი "**გაქირავებული საქმრო**" (18)

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **11.15** სერ. "**საბრალო ნასტია**" **12.25, 16.15, 17.10, 03.35** იმედის მელოდიები **12.40, 16.25 ტვ**-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "**იქ სადაც ფულია**" (პოლ ნიუმენი) **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.25** ქრონიკა **15.20** სერიალი "**მოჯადოება**" **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერ."**ჩემი შეყვარებული**" **19.05** სერიალი "**მოჯადოება**" **20.30** "რეაქცია" **22.30** "ათასიდან ერთი შანსი" **23.30** უცნობი საქართველო **00.05** მხ.ფ."**ნამდვილი სიყვარული**" (**18**)(კ.სლეიტერი) **02.35** სერ."**თამაში გავარდნაზე**"

**08.30** მუსიკა **09.00** ანიმ. ფ. "აბა დამაცადე" **09.30** სერიალი "**ასა**" **10.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55** მზერა **11.05** სერიალი "**ქვიშის თოკი**" **12.05** მხ.ფ."**მაგდანას ლურჯა**" **14.05** რუს. ფ. "**გაზაფხული**" **16.30** შემ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.55** მზერა **17.05** სერ. "**გვერდი-გვერდ**" **17.35** ანიმ. ფ. "აბა დამაცადე" **17.55** მზერა რეგიონებიდან **18.00** "რუსთაველი" **18.25** ტელემეტრი **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.05** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **20.00** "მზერა", ბაბაჯანა **20.50** მხ. ფ. "**მაია წყნეთელი**" **22.30** სერიალი "**ასა**" **23.00** გადაღემა "ტაბუ" **00.00** მხ. ფილმი "**მოწმე**" (15) (ე. მაკგრეგორი)

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 13.00, 17.20, 23.00, 01.30** Style-TV **12.45** მხ. ფილმი "**ითამაშე როგორც ზიზუმ**" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფ."**მაქსიმალური ექსტრიმი**" (ნ. დიუვოშელი) **00.30** "ტვ-შოპი"

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია "**გამგზავრება ამერიკაში**" **10.50** მხ. ფილმი "**ჯაშუშური თამაშები**" **13.00** ფანტასტიკა "**უცხოპლანეტელებზე მონადირე**" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი "**ეშმაკის საკუთრება**" **16.30** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.10** "ხელხვავი" **19.30**"შესანიშნავი შვიდეული" **21.00** ინდური ფილმი **01.00** "შესანიშნავი შვიდეული"

◉ ბედი მომეც და...

# 10 წლის ბიჭი საფრანგეთში მუქთად წავა, თანაც მშობლებიანად

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან შეგვატყობინეს, რომ ბატონმა კონსტანტინე კემულარიამ მოქალაქის პასპორტთან ერთად სპეციალური საჩუქრები გადასცა 10 წლის ივანე კალმახელიძეს, რომელიც წლეულს სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიული ბიუროების სერვისით მოსარგებლე მემილიონე ადამიანი აღმოჩნდა. მოზარდს, როგორც ერთ-ერთი ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრს, მოქალაქის პასპორტი საზღვარგარეთ გასამგზავრებლად დასჭირდა.**



მინისტრმა 10 წლის ივანეს შოკოლადები, კომპიუტერული ფირმა „ალტასგან" კომპიუტერი და პარიზში ერთკვირიანი საშობაო საგზური უბოძა, სადაც დასაჩუქრებული მშობლებთან ერთად გაემგზავრება. კალმახელიძეებს საფრანგეთში იუსტიციის სამინისტროს პარტნიორი, საქართველოს მოქალაქის პასპორტების მომწოდებელი ფრანგული კომპანია „Impremirie Nationale" უმასპინძლებს.

იუსტიციის მინისტრის თქმით, წლეულს სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ ბიუროებში ოთხჯერ მეტი დოკუმენტი გაიცა, ვიდრე 2004 წლამდე გაიცემოდა. 2004-2005 წელს გაცემული პირადობის მოწმობებისა და პასპორტების რაოდენობა კი ბოლო 12 წლის მანძილზე გაცემული ამ სახის დოკუმენტების 41 პროცენტს შეადგენს.

2004 წლიდან იუსტიციის სამინისტროში მიმდინარეობს სამოქალაქო რეესტრის რეფორმა, რომლის პრიორიტეტი მოქალაქეზე ორიენტირებული საჯარო მომსახურების დანერგვაა. გაერთიანდა საპასპორტო და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები და „ერთი სარკმლის პრინციპით" ჩამოყალიბდა სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიული ბიუროები. 2005 წლის განმავლობაში ახლადგარემონტებული ოფისები გაიხსნა ბათუმში, ქუთაისში, მარნეულში, რუსთავსა და თბილისის საბურთალოს რაიონში. სარემონტო სამუშაოები სხვა რაიონებშიც მიმდინარეობს.

გამარტივდა დოკუმენტების მიღების პროცედურა. ამისთვის დადგენილი ერთთვიანი ვადა შემცირდა 5 დღემდე, მოიხსნა სახელმწიფო ბაჟი პირადობის მოწმობების მისაღებად.

აი, ამას ჰქვია რეფორმაც და ხალხის მომსახურების გაუმჯობესებაც.

**ლელა ცქიტიშვილი**

◉ ფეხბურთი



# ყველაფერი გაირკვა

**მაშ ასე, ჩემპიონთა ლიგა ორი თვით დაგვემშვიდობა. აი, ის თექვსმეტი კლუბი, რომელიც მომავალი წლის თებერვლიდან ყველაზე პრესტიჟული ევროპული ჯილდოსათვის გააგრძელებს ბრძოლას: „იუვენტუსი", „ბაიერნი", „არსენალი", „აიაქსი", „ბარსელონა", „ვერდერი", „ვილიარეალი", „ბენფიკა", „მილანი", „ეინდჰოვენი", „ლიონი", „რეალი", „ლივერპული", „ჩელსი", „ინტერი" და „გლაზგო რეინჯერსი". უეფას თასზე ითამაშებენ ჯგუფების მესამეადგილოსნები: „ბრიუგე", „თუნი", „უდინეზე", „ლილი", „შალკე", „რუსენბორგი", „ბეტისი" და „არტმედია".**



შეგახსენებთ, რომ მერვედფინალიდან მოყოლებული, მეტოქეები ერთმანეთს წრიული ტურნირის ნაცვლად, ოლიმპიური სისტემით — ორი მატჩი შინ და სტუმრად — დაუპირისპირდებიან, თანაც არ დაწყვილდებიან ის გუნდები, ვინც პირველ ეტაპზე ერთ ჯგუფში ასპარეზობდა. ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრას 17 მაისს პარიზი უმასპინძლებს.

გთავაზობთ ჯგუფური ტურნირის დასკვნითი რაუნდის შედეგებს:

**„ა" ჯგუფი**

„რაპიდი" — „იუვენტუსი" 1:3.

**გოლები:** კინცლი; დელ პიერო (2), იბრაჰიმოვიჩი.

**„ბრიუგე" — „ბაიერნი" 1:1.**

**გოლები:** პორტილიო; პისარო.

საბოლოო მდგომარეობა: „იუვენტუსი" — 15, „ბაიერნი" — 13, „ბრიუგე" — 7, „რაპიდი" — 0 ქულა.

**„ბ" ჯგუფი**

„არსენალი" — „აიაქსი" 0:0.

„სპარტა" — „თუნი" 0:0.

**საბოლოო მდგომარეობა:** „არსენალი" — 16, „აიაქსი" — 11, „თუნი" — 4, „სპარტა" — 2 ქულა.

**„გ" ჯგუფი**

„უდინეზე" — „ბარსელონა" 0:2.

**გოლები:** ესკერო, ინიესტა.

„ვერდერი" — „პანათინაიკოსი" 5:1.

**გოლები:** მიკუ (პენალტით), ვალდესი (2), კლოზე, ფრინგსი; მორისი.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ბარსელონა" — 16, „ვერდერი", „უდინეზე" — 7-7, „პანათინაიკოსი" — 4 ქულა.

**„დ" ჯგუფი**

„ვილიარეალი" — „ლილი" 1:0.

**გოლი:** გუაირე.

„ბენფიკა" — „მანჩესტერი" 2:1.

**გოლები:** ჯოვანი, ბეტუ, სქოულზი.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ვილიარეალი" — 10, „ბენფიკა" — 8, „ლილი", „მანჩესტერი" — 6-6 ქულა.

◉ კალათბურთი

# ეს ანონსია...



**დღეს ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზში კალათბურთელ ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის ერთბაშად 4 მატჩი გაიმართება.**

**12 საათზე:** „ავიამშენი" — სსუ. რომ იტყვიან, ამ წყვილში სხვადასხვა წონითი კატეგორიის მეტოქენი გაარკვევენ ურთიერთობას. ძალების აშკარა უთანაბრობა ავიატორებს იოლ გასეირნებას უქადის, თუმცა გარკვეული ინტრიგა აღნიშნულ შეხვედრას მაინც გააჩნია: საინტერესოა, ფავორიტის წინააღმდეგ რამდენი ქულის მოგროვებას მოახერხებს ზღვისპირელთა ლიდერი, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი დავით თორთლაძე.

**14 საათზე:** „დინამო" — „აზოტი". ეს გახლავთ XI ტურის ცენტრალური მატჩი. უფრო კონკრეტულნი თუ ვიქნებით, ერთმანეთს დაუპირისპირდებიან „პლეი-ოფში" გასასვლელად გაჩაღებულ ბრძოლაში უშუალო კონკურენტები, რომლებიც 4-4 გამარჯვებით სატურნირო ცხრილში სანუკვარ IV ადგილს ინაწილებენ. მართლაც, ვინ დაწინაურდება დღეს?

**16 საათზე:** სტუ — ქუთაისი. ავლენ პოლიტექნიკოსები სამნიშნა ციფრამდე? რამდენქულიანი უპირატესობით დაჯაბნიან ისინი რიონისპირელებს? — აი, ის ორიოდე კითხვა, რომელიც ამ შესაძლო „ცალფარა" თამაშის წინ შეიძლება დაებადოს გულშემატკივარს. თანაც, სტუმრებს დისკვალიფიცირებული ნიჟარაძე დააკლდებათ.

**18 საათზე:** თსუ „ნიკორა" — „მაქაბი". ალბათ, სტუდენტებს არ გაუჭირდებათ დაუმარცხებელი სერიის გაგრძელება. რაც შეეხება ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდს, საინტერესოა, როგორ წარმოაჩენს მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ საკუთარ ღირსებებს მისი ჭაბუკი გიგანტი გიორგი შერმადინი. სავარაუდოა, რომ მისი მეურვეობა თსუ „ნიკორას" დებიუტანტს, უცხოეთიდან სამშობლოში დროებით დაბრუნებულ დავით უგრეხელიძეს მოუწევს.

დღეს ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი ხდება — სარბიელს უბრუნდება დისკვალიფიკაციამოხდილი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი დავით ბერეკაშვილი, მასთან ერთად დასჯილ ამავე რანგის კოლეგას ზაზა მაჩალაძეს კი იძულებითი შვებულება 19 დეკემბრამდე აქვს გამოწერილი.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაყვანა მთლიანად დასრულებულია

„ზერკალო" (აზერბაიჯანი), 8 დეკემბერი.

Зеркало

**დასასრულს უახლოვდება სამხრეთ კავკასიის გაზსადენის პროექტის რეალიზაცია, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანის „შაჰდენიზის" საბადოდან თურქეთში გაზის ექსპორტირებისთვის.**

როგორც პროექტის ოპერატორი კომპანიის „ბპ-აზერბაიჯანის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, სადღეისოდ მთლიანად დასრულებულია მილსადენის გაყვანის სამუშაოები მთელი მარშრუტის გასწვრივ (აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის საზღვარი). ამასთან, გაზსადენის აზერბაიჯანის მონაკვეთზე ამ პროექტის ფარგლებში სამუშაოები შესრულებულია 90 პროცენტით და მეტით, საქართველოს მონაკვეთზე კი — 80 პროცენტით. ამჟამად აზერბაიჯანში შესასრულებელი დარჩა ნიადაგის საფარის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის სამუშაოები, რომელშიც გაყვანილია მილსადენი. გარდა ამისა, 50 პროცენტით და მეტით არის შესრულებული გაზსადენის ჰიდროგაწმენდის სამუშაოები. მთლიანად კი, აღნიშნეს კომპანიაში, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის აზერბაიჯანის მონაკვეთის მექანიკური მშენებლობა, როგორც ეს დაგეგმილი იყო, მიმდინარე წლის დამლევამდე დასრულდება.

საქართველოში შესასრულებელი დარჩა მთელი რიგი სხვა მექანიკური სამუშაოები, რომელთა დასრულებაც კომპანიას გათვალისწინებული აქვს მომავალი წლის აპრილისთვის, სექტემბრიდან კი გაზსადენი მთლიანად უნდა იყოს მზად თურქეთში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისთვის.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ კავკასიის გაზსადენი გაჰყავთ თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენთან ერთ დერეფანში, თანაც, სამუშაოებს ასრულებენ ამ ნავთობსადენის მშენებლობის მოიჯარეები.

კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში მდებარე „შაჰდენიზის" საბადოს მარაგი შეფასებულია 750 მილიარდ კუბურ მეტრად. როგორც მოელიან, თურქეთის ბაზარზე პირველი გაზი გავა 2006 წლის ზამთრის დადგომამდე.

◉ ევრიკა!

# ვაი, ამისთანა რეპორტაჟს!

## ფეხბურთის ნაცვლად — უკუნეთი

**თქვენ, რასაკვირველია, გიყვართ ფეხბურთი. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ნაკრები ერთ მატჩში სისტემატურად ხუთ-ექვს გოლს უშვებს საკუთარ კარში, სიყვარული ამ დიდი თამაშისადმი მაინც არ გაგინელდათ. იგი არც იმიტომ გაგიცამტვერდათ, რომ ქვეყნის მართლაც კომიკურ ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდები ევროპული დონის შეჯიბრებების პირველი წრიდან პანტაპუნტით, ტყვიანაკრავივით ვარდებიან. ეს ამბავი, სამწუხაროდ, ასახავს მთლიანად ჩვენი დღევანდელი სპორტის უთუოდ კატასტროფულ მდგომარეობას. საჭიროა გავბედოთ და ვაღიაროთ — ახლანდელ სახელმწიფოს არ ჰყავს არცერთი თუნდაც შედარებით სერიოზული ოსტატი ისეთ სახეობებში, როგორიცაა ყველაფრის თავი და თავი მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფარიკაობა, ფრენბურთი, ცურვა, ხელბურთი და სხვა. ვითარება ასეთია და მას ვერანაირად ვერ შეცვლიან ეგრეთ წოდებული ზემდგომი ორგანოების მითითებებით გაკეთებული ოპტიმისტური განცხადებები, ნაძალადევი ტაში, ყურით მოთრეული ხოტბა, ფარისევლური გუნდრუკის კმევა.**



მაშასადამე, მიუხედავად ამისა, ხალხს ფეხბურთი ძველებურად უყვარს. უყვარს უეჭველად, თითქმის ყველა მამაკაცს, ძალზე ბევრ ქალსაც. და ვინაიდან აქ, თბილისში, უსუსური მატჩების სანახავად, სტადიონზე თითო-ოროლა მაყურებელი დადის, გულშემატკივრების მთელი ყურადღება, ბუნებრივია, ტელეეკრანისკენ არის გადატანილი. მაგრამ...

მაგრამ აქაც სრულ განუკითხაობასთან გვაქვს საქმე. სავსებით კადნიერად და თავხედურად ირღვევა ადამიანის უფლებები და ისე იქცევიან — ვითომ აქ არაფერიაო. ყველამ იცის — არსებობს ასეთი ორგანიზაცია „აიეტი". თუკი მოქალაქე მას ყოველთვიურად უხდის ფულის განსაზღვრულ რაოდენობას, იგი ვალდებულია უზრუნველყოს ეს მოქალაქე მრავალი ტელეპროგრამის ჩვენებით, მათ შორის რუსეთიდან მომავალი სპორტული პროგრამებით. ვალდებული კია... თუმცა, თუნდაც ამ სამშაბათს (6.XII) ან ოთხშაბათს (7.XII) ჩაგვერთო სპორტული არხი (НТВ+спорт), როცა ჩემპიონთა ლიგის მატჩები იმართებოდა. რას იხილავდით ეკრანზე? მხოლოდ წყვდიადს და სიბნელეს. ამასთან, გადაეყრებოდით შემაშინებელ, აბსოლუტურ დუმილს. არავითარი წარწერა ეკრანზე, რომ ვთქვათ, სიგნალი სუსტია ან გადაცემა არ არის შესყიდული. როგორც კი მატჩი მთავრდებოდა, ეკრანიც ცოცხლდებოდა.

სპორტული კი არა, 6 დეკემბერს მთავარი არხიც (НТВ), რომელიც ფეხბურთს გადმოსცემდა, პირწმინდად გათიშეს და ამით კიდევ ერთხელ ძირფესვიანად უკუაგდეს, გააქარწყლეს ჩემი, შენი, იმის უფლებები. თითქმის მთელი თბილისის მოსახლეობა, მილიონი ადამიანი არაფრად ჩააგდეს და აბუჩად აიგდეს. ვითომ მიუთითეს — ერთ-ერთ მატჩს ფაქტობრივად სამთავრობო კომპანია „რუსთავი-2" გადასცემს და სხვა არხით, ძალიანაც რომ მოინდომოთ, ვერაფერს ნახავთო.

ასეთი ვანდალური ტელემეთოდები დიდი ხანია დამკვიდრდა ჩვენს ეთერში. მათ „წარმატებით" იყენებდნენ, მაგალითად, 2004 წლის ევროპის საფეხბურთო პირველობის გაშუქებისას, ათენის ოლიმპიადის დროსაც... კი მაგრამ, ხომ უნდა არსებობდეს კონკურენცია „საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში"? იქნებ მე მონოტონურ, უსიცოცხლო, რბილად რომ ვთქვათ, არაინტელიგენტურ რეპორტაჟს ვამჯობინო, რომ ცნობილ მეკარეს და კომენტატორს ვლადიმერ მასლაჩენკოს მოვუსმინო ან კიდევ სხვა ვინმეს. ბარემ ისიც არ დაგვავიწყდეს, ხალხი კვლავ ძველებურად რომ იხდის ფულს, „აიეტმა" კი ამ ზაფხულს ხმის ამოუღებლივ გააუქმა სპეციალური საფეხბურთო არხი (НТВ+футбол). კომპანია „მზე" აჩვენებს მხოლოდ ინგლისის და ესპანეთის ჩემპიონატების მატჩებს. ვითომ გვაწყენდა იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, პორტუგალიის, შოტლანდიის, ბრაზილიის, უკრაინის პირველობები? თუ ისევ კონკურენციის შიშთან და საფრთხესთან გვაქვს საქმე?

ეს, რაზეც იყო ლაპარაკი, სხვათა შორის, სისხლის სამართლის დანაშაულია და ზოგიერთს შეიძლება პასუხიც მოეთხოვოს.

**გიორგი ჩარკვიანი**

◉ სპორტულ ორბიტაზე



## ოლიმპიური ცეცხლი „გადარჩა"

**გუშინწინ დილით რომის აეროპორტ ჩამპინოში განგაში გამოცხადდა ჩადებული ბომბის თაობაზე ანონიმური სიგნალის გამო. საბედნიეროდ, საფრთხე ყალბი გამოდგა. საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ აეროპორტმა მუშაობა განაახლა.**

არადა, სწორედ ოთხშაბათს იტალიის სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავით ს-130 „ჰერკულესი" ქვეყნის დედაქალაქში ათენიდან ჩამოიტანეს ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც თვითმფრინავიდან გამოიტანა 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მეთაურმა ვალენტინო კასტელანიმ.

გუშინ კი დაიწყო ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა იტალიის მიწაწყალზე. ის თავის მოგზაურობას 2006 წლის 10 თებერვალს თამაშების მასპინძელ ქალაქ ტურინში, ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიაზე დაამთავრებს.

**სურათზე:** ოლიმპიური ცეცხლი ათენიდან რომში ჩავიდა.

## ბრიტანული ფეხბურთის მილიონერები

**ჟურნალმა Four Four Two გამოაქვეყნა დიდი ბრიტანეთის ყველაზე მდიდარი ფეხბურთელების სია. მის სათავეში კვლავ აღმოჩნდა ინგლისის ნაკრების კაპიტანი, მადრიდის „რეალის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი, რომლის ქონება შეფასებულია 75 მილიონ გირვანქა სტერლინგად. აღსანიშნავია, რომ მისი ყოველკვირეული ხელფასი 116 ათასი გირვანქაა.**

უმდიდრეს ბრიტანელ ფეხბურთელთა სამეულში მოხვდნენ აგრეთვე „არსენალის" თავდამსხმელი,



ჰოლანდიელი დენის ბერგკამპი (37 მილიონი გირვანქა) და „ნიუკასლის" ფორვარდი მაიკლ იუენი (30 მილიონი).

„ჩელსის" პატრონი რომან აბრამოვიჩი სათავეში უდგას იმ ყველაზე მდიდარი ადამიანების სიას, ვისაც დამოკიდებულება აქვს ბრიტანულ ფეხბურთთან. ჟურნალი მის ქონებას 10 მილიარდ გირვანქად საზღვრავს. საერთო სიაში 2 მილიარდი გირვანქით მეორე ადგილი უკავია ლონდონის „ტოტენჰემისა" და შოტლანდიის „რეინჯერსის" აქციების მსხვილი პაკეტების მფლობელს ჯოზეფ ლიუსის.

ყველაზე მდიდარ მწვრთნელად მიჩნეულია „ჩელსის" დამრიგებელი ჟოზე მურინიო — 20 მილიონი გირვანქა. მდიდარ მწვრთნელთა სიის მწვერვალზე ის გაიყვანა „ჩელსისთან" მსხვილმა კონტრაქტმა და American Express და Samsung-თან სარეკლამო გარიგებებმა.

ბრიტანული ფეხბურთის ყველაზე მდიდარ ადამიანთა ასეულში შევიდნენ აგრეთვე „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი (18 მილიონი) და ინგლისის ნაკრების თავკაცი სვენ-იორან ერიქსონი (12 მილიონი გირვანქა).

## მძლეოსანი — შვედეთში საუკეთესო

**შვედი სიმაღლეზე მხტომელი, 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონი კაისა ბერგკვისტი დააჯილდოვეს ყველაზე პრესტიჟული ეროვნული სპორტული ჯილდოთი — „ბრაგდგულდის" მედლით. გავლენიანი შვედური გაზეთის Svenska Dagbladet მიერ დაწესებული ეს ჯილდო გადაეცემა წლის საუკეთესო ათლეტს.**

სწორედ ასე შეფასდა 29 წლის სპორტსმენი ქალის გამარჯვება ჰელსინკში, როდესაც ის მძლეოსანთა ზაფხულის მსოფლიო ჩემპიონატზე 202 სანტიმეტრზე გადახტა: 2004 წელს მარჯვენა „ამკრავი" ფეხის აქილევსის მყესების ტრავმამ ეჭვქვეშ დააყენა მისი სპორტული კარიერა, მაგრამ მან მაინც შეძლო უძლიერესთა რიცხვში ტრიუმფით დაბრუნება.

მიმავალი წლის საუკეთესო ათლეტის წოდებაში ბერგკვისტს ეცილებოდნენ მსოფლიო ჩემპიონი, სამთო მოთხილამურე ანია პერსონი და ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონი სპიდვეიში ტონი რიკარდსონი.

ეს საპატიო მედალი ზედიზედ მეორედ სიმაღლეზე მხტომელებმა დაისაკუთრეს — შარშან საუკეთესოდ აღიარეს სტეფან ჰოლმი — ათენის ოლიმპიადის გამარჯვებული.

## კენჭისყრისთვის ტანი დაიყენა

**დღეს ლაიფციგში გაიმართება გრანდიოზული შოუ — ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრა. ამ ამბისადმი ინტერესი უდიდესია. 150-ზე მეტმა სატელევიზიო და რადიოარხმა შეიძინა პირდაპირ ეთერში მისი ტრანსლაციის უფლება. გერმანელი სპეციალისტების გაანგარიშებით კენჭისყრის ცერემონიის ხილვა 230-მილიონიან აუდიტორიას შეეძლება.**

ორგანიზატორები გვპირდებიან მრავალფეროვან, მიმზიდველ სანახაობას, რომელშიც ბევრი ცნობილი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. კენჭისყრას გაუძღვებიან გერმანელი ტელეწამყვანი რაინჰოლდ ბეკმანი და გერმანელი სუპერმოდელი ჰაიდი კლუმი, რომელმაც ახლახან მეორე ბავშვი გააჩინა, მისი მამა ბრიტანელი მომღერალი სილაა. პირველი ბავშვის მამა კი „რენოს" ბოსი ფლავიო ბრიტორეა.

იტალიელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰაიდი ჰყვება იმაზე, თუ რას განიცდის მომავალი კენჭისყრის გამო და იმაზეც, თუ მშობიარობის შემდეგ მინიმალურ ვადაში როგორ აღიდგინა ადრინდელი ფორმა.

„მე ვაღმერთებ იტალიას. ეს მშვენიერი ქვეყანაა, სადაც უამრავი ყვავილია. ძალიან მინდა იქ ცხოვრება. და მაინც კენჭისყრის დროს მე ვუქომაგებ გერმანიის გუნდს, — განაცხადა კლუმმა, — ბევრი მეკითხება, თუ როგორ ვახერხებ ასეთი მშვენიერი ფორმის შენარჩუნებას? პასუხი მარტივია: რაციონიდან უნდა გამორიცხოთ ნამცხვარი, ნაყინი და დაუმატოთ შემწვარი ახალი კარტოფილი. ამის შემდეგ ძველი გარეგნობა დაგიბრუნდებათ".




# კონკურსი საუკეთესო სცენარის გამოსავლენად სატელევიზიო სოციალური კლიპისათვის

თემაზე —

**ახალგაზრდები და აივ/შიდსი**

**საქართველოში** აივ/შიდსის გავრცელების ზოგადი მაჩვენებელი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია – 0.13%. თუმცა ამ დაავადების გავრცელების ზრდის ტენდენცია რეალურ საშიშროებაზე მიუთითებს. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (უმუშევრობა, მიგრაცია), დაბალი ინფორმირებულობა და ახალგაზრდებში გავრცელებული სარისკო ქცევები (ინტრავენური ნარკომანია მიზეზია აივ/შიდსის შემთხვევების 70%-ისა). 2005 წლის 1 დეკემბრისათვის აივ ინფიცირების 831 შემთხვევაა დარეგისტრირებული, თუმცა ექსპერტთა მონაცემებით რეალური ციფრი 3,500-ს აჭარბებს. აივ ინფიცირებულთა უმეტესობა მოდის 31-40 და 21-30 ასაკობრივ ჯგუფებზე.

კვლევების მონაცემთა მიხედვით, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი რისკ ფაქტორი, რაც საქართველოს აივ ეპიდემიის გავრცელების საშიშროების წინაშე აყენებს:

- ინტრავენური ნარკომანიის გავრცელების ზრდა;
- მეზობელ ქვეყნებში (უკრაინა, რუსეთი) აივ/შიდსის ფართოდ გავრცელების გამო არსებული არასასურველი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია და საქართველოს მოსახლეობის ხშირი მიგრაცია ამ ქვეყნებში;
- მოსახლეობის და განსაკუთრებით ახალგაზრდების, დაბალი ინფორმირებულობა აივ/შიდსის შესახებ;
- ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება კონდომებზე და ასევე დაბალი მოხმარების დონე;

აივ/შიდსის პრევენცია ახლგაზრდებში გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს. გაეროს მოსახლეობის ფონდი იზიარებს იმ პოზიციას, რომ ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი საინფორმაციო საგანმანათლებლო კამპანიები ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვას და თავის წვლილს შეიტანს აივ/შიდსის პრევენციის საქმეში.

კონკურსი საუკეთესო სცენარის გამოსავლენად სოციალური კლიპისათვის ტარდება UNFPA-ის რეგიონალური პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია გააძლიეროს აივ/შიდსის პრევენციისათვის მხარდაჭერა, აამაღლოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების გაცნობიერება ამ საკითხებზე და პროპაგანდა გაუწიოს ჯანმრთელი ცხოვრების წესს.

ნაშრომების შეფასებისას ყურადღება მიექცევა არა მხოლოდ პროფესიონალიზმს, არამედ იმ მიდგომას, რომელიც გამოყენებული იქნება ამ მეტად რთული და ფაქიზი თემისადმი.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, მიმართოთ

ა/ო თანადგომა:

ტელ: 30 02 03

ელ-ფოსტა: shorena_kuchukhidze@yahoo.com

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 76ბ (ბავშვთა ფედერაციის შენობა);

აივ/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების ახალგაზრდული ცენტრი – "თანადგომა".;

UNFPA ოფისს:

ტელ: 25 11 16/28/31 (+154)

ელ-ფოსტა: bakradze@unfpa.org

**კონკურსის პირობები:**

1. კონკურსი ცხადდება UNFPA-ს რეგიონალური პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებში და მაღალი სარისკო ქცევის ჯგუფებში აივ/შიდსის პრევენციის პროექტებისათვის გაძლიერებული მხარდაჭერა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. საუკეთესო სცენარის/სცენარების საფუძველზე შეიქმნება სატელევიზიო სოციალური კლიპი, რომელიც გადაიცემა საქართველოს საზოგადოებრივი და კომერციული სატელევიზიო არხებით.

2. სატელევიზიო სოციალური კლიპის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წამს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს სცენარის შექმნისას. ყველა ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს 2006 წლის 12 იანვრამდე შემდეგ მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 76ბ (ბავშვთა ფედერაციის შენობა); აივ/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების ახალგაზრდული ცენტრი.

3. სატელევიზიო სოციალური კლიპი უნდა გამოხატავდეს კონკურსის მისიასა და მიზანს, რომელიც წარმოდგენილია პრეამბულაში.

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 15-24 წლის ახალგაზრდებს.

5. იხილეთ მონაწილის ფორმა შესავსებად.

6. კონკურსში გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცემათ ფულადი ჯილდოები. I ადგილი 150 აშშ დოლარი; II ადგილი 100 აშშ დოლარი; III ადგილი 50 აშშ დოლარი.

7. ჟიურის გადაწყვეტილების მიხედვით ფულადი ჯილდო შეიძლება შეიცვალოს განსაკუთრებული პრიზით.

8. UNFPA იტოვებს უფლებას გამოიყენოს საკონკურსო სცენარები სხვა პროექტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო მიზნებისათვის.



# განცხადება

**„სობრანი მარკეტინგ ენდ მენეჯმენტ ეს-ეი"-ს** დირექტორთა საბჭოს მიერ 2005 წლის 20 ოქტომბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „სობრანი მარკეტინგ ენდ მენეჯმენტ ეს-ეი"-ს ფილიალის ლიკვიდაციის შესახებ.

ფილიალის ლიკვიდაციას ახორციელებენ ფილიალის ლიკვიდატორები: დავით არჩვაძე, თამარ ტყეშელაშვილი და შორენა მჟავანაძე.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაც გააჩნიათ რაიმე მოთხოვნა „სობრანი მარკეტინგ ენდ მენეჯმენტ ეს-ეი"-ს ფილიალის მიმართ, შეუძლიათ მათი პრეტენზია წარმოადგინონ ლიკვიდატორების იურიდიულ მისამართზე: თავისუფლების მოედანი № 4, თბილისი, საქართველო (ტელ. 92-38-80, 92-38-82).

კრედიტორმა თავის განცხადებაში უნდა მიუთითოს მისი მოთხოვნის ოდენობა, მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი, აგრეთვე განცხადებას უნდა დაურთოს იმ დოკუმენტების ასლები, რომლებიც რეალურად ადასტურებს მოთხოვნის არსებობას.

**„სობრანი მარკეტინგ ენდ მენეჯმენტ ეს-ეი"-ს ფილიალის ლიკვიდატორები:**

**დავით არჩვაძე, თამარ ტყეშელაშვილი, შორენა მჟავანაძე**


◉ ჩოგბურთი

# „დევისის თასი" აქაც დაალაგა

**გუნდური ჩოგბურთის მთავარი პრიზის „დევისის თასის" გათამაშების, რასაც არაოფიციალურად მსოფლიო პირველობასაც უწოდებენ, წლევანდელი ტრიუმფატორი ხორვატეთის ნაკრები გახდა, რამაც ამ ქვეყანას მსოფლიო რეიტინგში პირველი ადგილი მოუტანა.**



აი, როგორ დალაგდნენ ამ გათამაშებაში მონაწილე ქვეყნები 7 დეკემბრისთვის გამოქვეყნებულ რეიტინგში (ფრჩხილებში მითითებულია მდგომარეობა 2004 წლის ბოლოსთვის).

1(11) **ხორვატეთი** — 25002,5; 2(1) **ესპანეთი** — 23200; 3(16) **სლოვაკეთი** — 13942,5; 4(5) **რუსეთი** — 13643,75; 5(6) **არგენტინა** — 13575; 6(3) **ავსტრალია** — 13500; 7(4) **აშშ** — 12397,5; 8(2) **საფრანგეთი** — 11500; 9(8) **ბელორუსია** — 7110; 10(7) **შვეიცარია** — 7046,88; 11(10) **ჰოლანდია** — 4906,25; 12(9) **შვედეთი** — 4843,75; 13(14) — **რუმინეთი** — 3928,13; 14(13) **ავსტრია** — 2957,5; 15(15) **ჩილე** — 2930; 16(23) — **გერმანია** — 2762,5; 17(18) **ინდოეთი** — 2187,5; 18(12) — **ჩეხეთი** — 2081,25; 19(17) **ტაილანდი** — 1932,5; 20(29) **ეკვადორი** — 1920.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები კი ახალ რეიტინგში ასე განაწილდნენ: 28(27) **უზბეკეთი** — 1155; 41(61) **უკრაინა** — 568,75; 61(73) **ლატვია** — 145; 65(67) **ყაზახეთი** — 95; 66(71) **საქართველო** — 94,5; 81(86) **ლიტვა** — 31,25; 93(81) **სომხეთი** — 21; 98(89) **ესტონეთი** — 17,5; 99(92) **ტაჯიკეთი** — 17,5; 104(95) **მოლდავეთი** — 15; 108(105) **აზერბაიჯანი** — 13; 118(117) **ყირგიზეთი** — 8; 139(143) **თურქმენეთი** — 0.

**ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლი**

# გიორგი ნემსაძე: კარგია, რომ გამორჩეულ ყურადღებას უთმობთ ეროვნულ ჩემპიონატებს



ᲐᲚᲐᲚᲐᲓ ვიტყვი — ჟურნალისტის შრომასა და პროფესიონალიზმს დიდ პატივს ვცემ და ამიტომ მეტნაკლებად ყველა გაზეთს ვეცნობი. დამეთანხმებით, რაც უფრო ფართო არჩევანი ექნება მკითხველს, მით უფრო სწორი საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდება, ეს კი ისევ და ისევ ქვეყნის მომავალზე აისახება სასიკეთოდ.

რაც შეეხება კონკრეტულად „საქართველოს რესპუბლიკას", თავს უფლებას მივცემ და პარალელს უცხოურ პრესასთან გავავლებ — მოგეხსენებათ, კარგა ხნის განმავლობაში საზღვარგარეთულ კლუბებში ვთამაშობდი და გარკვეული წარმოდგენა იქაურ გამოცემებზეც მაქვს. როგორც უნდათ, ისე გამიგონ თქვენმა კოლეგებმა სხვა გაზეთებიდან, მაგრამ საკუთარ თვალსაზრისს თამამად გაგიზიარებთ: მიმაჩნია, რომ კვალიფიციურად აშუქებთ საერთაშორისო, კულტურულ ცხოვრებას, კრიმინალურ თემატიკას და, რაც ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სპორტულ მოვლენებს, თანაც გამორჩეულ ყურადღებას უთმობთ ეროვნულ ჩემპიონატს.

ხომ გაგიგონიათ, მოყვარეს პირში უძრახეო, და მეც გულწრფელად შემოგბედავთ ერთ შენიშვნას: მგონია, რომ მეტისმეტად დიდი ადგილია გამოყოფილი ისტორიული ხასიათის პუბლიკაციებისთვის. თუმცა, ისიც კარგად მესმის, რომ გემოვნებაზე არ დავობენ.


## გამოიწერეთ

### სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა»

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ „საქპრესსას" (ტელ: 35.51.40), „მაცნეს" (37.40.49), „უწყებანს" (93.64.72), „პრეს-ექსპრესს" (96.23.11), „პლანეტა-ფორტეს" (93.38.73), „ინფოსერვისს" (34.09.35), „ელვა-სერვისს" (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის" ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.



ამდენად, გაზეთის გამოწერა ელირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ" — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**


**ნაირ-ნაირი**

## ყველაზე პირველი ლამაზმანების ბედი



**ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ პირველი კონკურსი 1888 წელს ჩატარდა ბელგიის საკურორტო ქალაქ სპეში. კონკურსში 21 ქალიშვილი მონაწილეობდა, პირველობა ერგო 18 წლის ლამაზმანს გვადალუპიდან ბერტე სუკარეს. გამარჯვებულს შემდგომში თუ რა ბედი ეწია და რა მოუტანა მას მოპოვებულმა 5 ათასმა ფრანკმა, ამაზე ისტორია დუმს.**

სამაგიეროდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში სილამაზის კონკურსი „მის მოსკოვი" ჩატარდა 1988 წელს, რომელიც კომკავშირის ინიციატივით მოეწყო. შესარჩევ ტურზე ათიათასობით მოსკოველი გოგონა მოვიდა.

პირველობა მოიპოვა 16 წლის მაშა კალინინამ. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი უცხოეთში წავიდა.

1988 წლის 9 მაისს კი გაიმართა „მის საბჭოთა კავშირის" სილამაზის პირველი კონკურსი. აქ გაიმარჯვა მოსკოველმა მეათეკლასელმა იულია სუხანოვამ, რომელიც სამი თვის შემდეგ აშშ-ში გაემგზავრა. იქ იულია რეკლამას უკეთებდა სხვადასხვა პროდუქტს. შემდეგ კი წამოვიდა უამრავი წინადადება სხვადასხვა სარეკლამო კომპანიიდან. კავშირის პირველ ლამაზმანს აქვს ბინა მანჰეტენში და სახლი ნიუ-იორკის მახლობლად. ამავე დროს მან გახსნა საკუთარი საქმე — ჰყიდის სამედიცინო და სპორტულ საქონელს.

## დათვთან ხუმრობა საშიშია?

**ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ქალაქ ჩერკასკში ზოოპარკის მთვრალი დამთვალიერებელი კინაღამ დაიღუპა დათვთან ჭიდილში.**

ჯერ იგი მაიმუნებს აუხირდა, მათ თავი აარიდეს ხულიგანს და მურა დათვების გალიაში გადაინაცვლეს. თავდამსხმელი არ შეეპუა მხეცს, გადალახა შემოღობილი და შეება ერთ-ერთ დათვს. ცხოველი მას ჯერ თათებით იგერიებდა, მერე გახელდა და ხულიგანს ისეთი ჭრილობები მიაყენა, რომ იგი მძიმე მდგომარეობაში მყოფი გადაიყვანეს საავადმყოფოში.





## მოიტაცეს 400.. მკერდი

**ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ძარცვა მოხდა რიო-დეჟანეიროში. ბანდიტები თავს დაესხნენ მანქანას, რომელსაც გადაჰქონდა... ქალის მკერდში ჩასადები სილიკონის იშვიათი ნაწილები.**

მძარცველები კარგი ნადავლით დაიტვირთნენ — თითოეული მათგანი 400 ამერიკული დოლარი ღირს. მოპარული იმპლატანტები ალბათ იატაკქვეშა ქირურგების ხელში მოხვდება. ბრაზილიაში უკვე კარგა ხანია დადის საშინელი ხმები ასეთ არალეგალურ ოპერაციებზე, რომლის შემდეგაც განგრენები ჩნდება და სიკვდილიანობაც ხშირია.

**დრო ფეხის აწყობას ითხოვს**

## ბიზნესს წაადგება

**ᲛᲪᲘᲠᲔ და საშუალო ბიზნესი ქვეყნის ხერხემალიაო — ტყუილად კი არ ამბობენ. ეკონომიკა უამისოდ ვერ განვითარდება. ამიტომაც აუცილებელია ყველამ ერთიანი ძალით იზრუნოს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის.**

სასიამოვნოა, რომ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო საქართველოში იწყებს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ოთხწლიან პროექტს, რომლის პრეზენტაცია საქართველოს ეროვნული ბანკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. სალამოზე მოწვეულნი იყვნენ ბიზნესასოციაციების, ფინანსური სექტორის (ბანკები და მიკრო-საფინანსო ინსტიტუტები), მთავრობის, ბიზნესსაზოგადოების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პრეზენტაციაზე, როგორც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის რეგიონის მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ ბობ უილსონმა აღნიშნა, „მცირე და საშუალო ბიზნესი, იქნება ეს დამწყები მეწარმე თუ ბაზარზე უკვე დამკვიდრებული საწარმო, პირველ რიგში, საჭიროებს კაპიტალს, რათა შეძლოს საწარმოს ძირითადი საშუალებების შეძენა და სამუშაო კაპიტალის მოძიება. დღესდღეობით, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები ბანკებიდან თუ სხვა მსესხებელი ორგანიზაციებიდან ფინანსების მოპოვებაში რიგ დაბრკოლებებს აწყდებიან. ამის მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საჭირო დაფინანსება არასაკმარისია და ეს პროცესი გაუმჯობესებასა და დახვეწას საჭიროებს. ისტორიულად, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი იყო ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელი ძალა. სამწუხაროდ, გასულ წლებში საქართველოში ეს პერსპექტივა არ იყო სათანადოდ აღქმული.

პროექტი ხელს შეუწყობს მუდმივი დიალოგის წარმართვას კომერციულ ბანკებსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებს შორის, რათა გამოსწორდეს ბაზარზე არსებული შეუსაბამობა და მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის გრძელვადიანი დაფინანსება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ჯემალ ინაიშვილის აზრით, პროექტი ქართველ ბიზნესმენებს დიდად დაეხმარება კერძო ბიზნესის წამოწყებასა და განვითარებაში. თბილისსა და რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება ამ საქმეს კიდევ უფრო წაადგება.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ღლონტმა დაასახელა პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები — საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ბანკების ასოციაცია და საბანკო-საფინანსო აკადემია, რომლებიც უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას პროექტის განხორციელებაში და ბიზნესმენთა პრობლემების გადაწყვეტაში.

ამერიკელი პარტნიორების მიზანია დაეხმარონ საქართველოს ბიზნესის განვითარებაში, ხელი შეუწყონ მას საერთაშორისო ბაზარზე თავისი ადგილის დამკვიდრებაში. ღმერთმა ქნას, ეს მალე მოხდეს.

**ლალი ქინქლაძე**

**ქველმოქმედება**


### პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი „იავნანა"



**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲖᲔ**

**11 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

**ᲯᲣᲖᲔᲞᲔ ᲕᲔᲠᲓᲘ**

**ᲠᲔᲙᲕᲘᲔᲛᲘ**

**ასრულებენ მსოფლიოში აღიარებული ქართველი სოლისტები:**
**ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲥᲐᲡᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
**ᲜᲐᲢᲝ ᲭᲧᲝᲜᲘᲐ**
**ᲑᲐᲓᲠᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ**
**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔ**

**ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი**
**დირიჟორი ᲖᲐᲖᲐ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

**დასაწყისი 19 სთ-ზე**
**ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში**

**კონცერტის მთლიანი შემოსავალი გადაირიცხება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ფონდში**

**ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲩᲘᲜᲝᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ!**


**კრიმინალი**

## ვლადიმერ გუძიევს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

**ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, არცევის პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილეს ვლადიმერ გუძიევს გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.**

პროცესი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში გაიმართა, რომელსაც მოსამართლე გიორგი ჩემია უძღვებოდა. ბრალდებულის ინტერესებს სახაზინო წესით დაქირავებული ადვოკატი ელენე ქობალია იცავდა.

როგორც ადვოკატმა ჟურნალისტებს განუცხადა, ბრალდებული ამჟამად დუმილის უფლებას იყენებს და ჩვენებებს არ იძლევა. ადვოკატის თქმით, გუძიევს ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს არ უწყობს და დუმილის უფლებას ამ მიზეზითაც იყენებს. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებს, რადგან მიაჩნია, რომ გასაჩივრება უშედეგო იქნება.

## წალენჯიხაში ბოროტმოქმედები დააკავეს

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲐᲨᲘ ადგილობრივი მცხოვრების ქარდავას ოჯახს რამდენიმე ნიღბიანი თავს დაესხა. მათ ოჯახიდან გაიტაცეს ფული და ძვირფასეულობა.

წალენჯიხის პოლიციის განყოფილების თანამშრომლები, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაედევნენ თავდამსხმელებს, რასაც ორმხრივი სროლა მოჰყვა. ავტომანქანა, რომელშიც თავდამსხმელები ისხდნენ, სვანეთის მიმართულებით მოძრაობდა. სროლების შედეგად ავტომანქანა ხევში გადაიჩეხა. თავდამსხმელები დააკავეს. ორი მათგანი დაჭრილია, ისინი ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ**

**ანეკდოტები**

**ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ პროფესია** — მეძავეობა.

მეორე უძველესი — ქურდობა.

მესამე უძველესი — პოლიტიკოსობა — პირველისა და მეორის ბუნებრივი სიმბიოზის შედეგი.

* * *

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ამაღლებული, სუფთა და ნათელი გრძნობა — ეს არის მეგობრობა. ამას გამუდმებით ამტკიცებდნენ ხალხური სიბრძნეც და გამოჩენილი მოაზროვნენიც. მაშ რად ღიზიანდებიან ქალები, როდესაც მათ დილაობით მეგობრებად დარჩენას სთავაზობენ?



* * *

ᲩᲔᲛᲘ ინტელექტი ისეთი საშინელი იარაღია, რომ მას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ვიყენებ.

* * *

— რა არის ეკონომიკური რეფორმა?

— პროტეზში გაკეთებული ინექცია.

* * *

— ᲕᲔᲠ მეტყვით, ვინ არის ეს საფრთხობელა?

— ჩემი ცოლია.

— მაპატიეთ, სისულელე ჩავიდინე!

— არა, ეს მე ჩავიდინე სისულელე.

* * *

ᲗᲣ სტუდენტს სწავლა არ სურს, ესე იგი, სამხედრო კომისარიატი ცუდად მუშაობს...

## დღის კალენდარი 9 დეკემბრისთვის

| ☼ | ) |
| --- | --- |
| ამოდის 07.16 | ამოდის 12.55 |
| ჩადის 16.29 | ჩადის 00.12 |

**ᲬᲚᲘᲡ 343-Ე ᲓᲦᲔ, ᲐᲮᲐᲚ ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ 22 ᲓᲦᲔ.**

### საეკლესიო კალენდარი

**ხსენება ღირსი ალვიპი მესვეტისა (VII); ღირსი იაკობ განდეგილისა (457).**

### დაიბადნენ:

**1608 — ჯონ მილტონი,** ინგლისელი პოეტი, გარდაიცვალა 1674 წელს.

**1717 — იოჰან ვინკელმანი,** გერმანელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, კლასიციზმის ესთეტიკის ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1766 წელს.

**1748 — კლოდ ლუი ბერთოლე,** ფრანგი ქიმიკოსი, ბერთოლეს მარილის აღმომჩენი.

**1842 — პიოტრ კროპოტკინი,** რუსი გეოგრაფოსი, ისტორიკოსი, ანარქისტული მოძრაობის ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1921 წელს.

**1844 — ალექსანდრე ცაგარელი,** ფილოლოგი, ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1929 წელს.

**1916 — კერკ დუგლასი,** ცნობილი ამერიკელი კინომსახიობი.

**1917 — ლეო რეინუოტერი,** ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1926 — ლუის მიგელ დომინგინი,** ცნობილი ესპანელი მატადორი.

**1943 — მიხაილ პიოტროვსკი,** რუსი ისტორიკოსი, ერმიტაჟის დირექტორი.

### გარდაიცვალნენ:

**1292 — საადი,** სპარსი მოაზროვნე და მწერალი, დაიბადა 1203 წელს.

**1641 — ანტონის ვან დეიკი,** ფლამანდიელი ფერმწერი, დაიბადა 1599 წელს.

**1814 — ჯოზეფ ბრამანი,** ჰიდრავლიკური წნეხის ინგლისელი გამომგონებელი.

**1937 — ნილს გუსტავ დალენი,** შვედი ინჟინერი, სინათლის ავტომატური რეგულატორის გამოგონებისათვის 1912 წელს ნობელის პრემია მიენიჭა, დაიბადა 1869 წელს.

**1941 — დიმიტრი მერეჟკოვსკი,** რუსი პოეტ-რომანისტი.

**1969 — სერგეი სტოლიაროვი,** ცნობილი რუსი კინომსახიობი, დაიბადა 1911 წელს.

### მოვლენები:

**1824** — პერუში ბოლივარის ხელმძღვანელობით მოხდა გადამწყვეტი შეტაკება ამერიკაში ესპანური კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

**1832** — იასე ფალავანდიშვილმა გასცა 1832 წლის შეთქმულება, რომელიც მიმართული იყო საქართველოში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

**1842** — ინგლისში გამოვიდა პირველი საშობაო ღია ბარათი.

**1909** — ავსტრალიაში თვითმფრინავით პირველი გაფრენა 11 მეტრის სიმაღლეზე შეასრულა ცნობილმა ავტომრბოლმა კოლინ დეფრისმა.

**1948** — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია გენოციდისათვის დასჯის შესახებ და ადამიანის უფლებათა დეკლარაცია.

**1992** — ინგლისელმა პრინცმა ჩარლზმა და პრინცესა დაიანამ ოფიციალურად გამოაცხადეს თავიანთი განშორების შესახებ.

**1993** — ბრიუსელში რფ პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერა ერთობლივ პოლიტიკურ დეკლარაციას ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის თანამშრომლობის შესახებ.

**2000** — გერმანიაში დაანგრიეს „ცივი ომის" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლო — ბერლინის კედელთან მდებარე სადარაჯო კოშკი.

### ღირსსახსოვარი დღე:

**ტანზანია — რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის დღე.**

**ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ.**

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲣᲚᲝ სამსახური — 022;**
**გენერალური პროკურატურა — 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;**
**თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური — 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.**

## გახსენება

### ქეთევან ნუკრაძე-თუშიშვილი



ჩვენო საყვარელო, კეთილო და ვაჟკაცო დედა და ბებია, დღეს შენი დაბადების დღეა, რომელსაც შენი საფიცარი შვილიშვილები ქეთი და მარი, შენი შვილები უშენოდ ვხვდებით. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, ეს დღე ტკივილით სავსე დაბადების დღეა. გვიჭირს უშენოდ, გვენატრება შენი ალერსი, შენი სითბო, შენი გამხნევება, შენი ვაჟკაცური სული, შენი ლამაზი ღიმილი. სულ გვგონია, რომ გვერდით ხარ და გელაპარაკებით. რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ვგრძნობთ, როგორი აუტანელია უშენობით გამოწვეული ტკივილი. როგორ გიხაროდა ჩვენთან ყოფნა, ამაყობდი და ხარობდი შენი შვილიშვილებით, შენ მუდამ ჩვენთან იქნები, იქნები მოუშუშებელი ტკივილი მანამ, სანამ უფალი ინებებს და ერთმანეთს შევხვდებით. ძალიან გვიყვარხარ. ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და კეთილი სული.

**ᲨᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ**

ნინიკო და სოსო კუხიანიძეები თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს რობინზონ თუშურაშვილს მეუღლის
ᲛᲖᲘᲐ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲗᲣᲨᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე თეიმურაზი, შვილები გიორგი, რუსუდან დანგაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ᲚᲘᲙᲐ ᲓᲐᲜᲒᲐᲫᲔ
პანაშვიდი 9, 10 XII 16 სთ, დაკრძალვა 11 XII 14 სთ. მისამართი: გრიბოედოვის 16.

---

შვილი პაატა კერვალიშვილი, რძლები მანანა მარტყოფლიშვილი, ეკა კორძაძე, შვილიშვილები მიშა, გიორგი, შვილთაშვილები ირაკლი, ნიკა კერვალიშვილები, მძახლები ნათელა, მიხეილ მარტყოფლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ᲛᲔᲓᲔᲐ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲘᲙᲜᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ
პანაშვიდი 9, 10 XII 16 სთ, გამოსვენება 11 XII 14 სთ. მისამართი: ფანასკერტელის ქუჩა, კორპ. 6, II სად, II სართული.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ პროფესორ პაატა კერვალიშვილს დედის
ᲛᲔᲓᲔᲐ ᲙᲘᲙᲜᲐᲕᲔᲚᲘᲫᲘᲡ
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

ძმა გივი კვიჭიძე, რძალი ქეთევან გოგუაძე, შვილები ნანა, მანანა, მაია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ᲜᲘᲜᲝ (ᲟᲔᲜᲘᲐ) ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲕᲘᲭᲘᲫᲔ
პანაშვიდი 9, 10 XII 16 სთ, გამოსვენება 11, XII 14 სთ. ნუცუბიძის I მ-რ, კორპუსი 13.

## გახსენება

### მერაბ მეზუკე



გასრულდა ორმოცი დღე.

დღეს შენი ზეციურ სასუფეველში გადასვლის დღეა, **მერაბ.**

რა ძნელი დასაჯერებელია, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. რომ იცოდე, როგორ გვაკლიხარ, ძალიან გვიჭირს უშენოდ. ძნელია, სიტყვებს თავი მოუყარო და გაიხსენო პიროვნება, რომელიც ყველას გულშემატკივარი და კაცთმოყვარე ადამიანი იყო. როგორ ჭირს, ძვირფასი მეგობრის გახსენებაზე ილაპარაკო და წარსულ დროში ისაუბრო. ჭირში თუ ლხინში იგი ხომ მეგობართა და ახლობელთა დამაკავშირებელი და თავშემყრელი კაცი იყო. მისი მეგობრების რიცხვი ულევი, ასაკით შეუზღუდავი და მრავალფეროვანი იყო. ყოველივე ამის საფუძველი კი უბრალო ადამიანური ურთიერთობა და მგრძნობიარე გული გახლდათ, რომელმაც უმტყუნა კიდეც და წაგვართვა მისი თავი.

მის მეგობრებს დღესაც არა გვჯერა ამ მწარე სინამდვილის. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ყურადღება და სიყვარული არ მოვაკლოთ მის შესანიშნავ ოჯახს, მის საფლავს კი მოვლა-პატრონობა.

ყოველ წმინდა დღეს ლოცვას აღვავლენთ შენი სულისთვის. ღმერთს შენ ნათელში ყოფნას შევავედრებთ და ყოველთვის ჩვენ გვერდით გიგულებთ უკვე მარადისობაში გადასულო, მუდამ დაუვიწყარო, ჩვენო საყვარელო მერაბ!

**ᲨᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ**

მანანა არჩვაძე, მარინე ჯიქია, ლია ბურჭულაძე, ერეკლე სალლიანი, პრინცი ჰანს ფონ საქსენ ალტენბურგი, ნანა ანდრონიკაშვილი-ალტენბურგი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ᲜᲘᲙᲐᲚᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲡᲣᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.
ქიზიყის ქ. №12,
ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.